ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

2022

30 ივლისი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022

ISBN 978-9941-36-024-4 (pdf)

სარჩევი

Contenst

ეკა ავსაჯანიშვილი. კონფლიქტ მენეჯმენტის როლი ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში..... 3

Eka Avsajanishvili. The Role of Conflict Management in the Process of Organizational Changes..... 13

თამარ ბარბაქაძე. კრიპტოვალუტა - სამართლებრივი ასპექტები და საგადასახადო რეგულაციები..... 14

Tamar Barbakadze. Cryptocurrency - Judicial Aspects and Tax Regulations..... 22

ბექა ბაიაშვილი. მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და როლი მდგრად განვითარებაში 23

Beka Baiashvili. The Theoretical Basis of Green and Circular Economy and their Role in Sustainable Development 38

ზურა გამთენაძე. მდგრადი განვითარების მიზნების ანალიზი საქართველოს რეგიონებში..... 39

Zura Gamtenadze. Analysis of Sustainable Development Goals in the regions of Georgia..... 47

ნესტან გაფრინდაშვილი. სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების შეფასება საქართველოში..... 48

Nestan Gaprindashvili. Assessment of Public Investment Projects in Georgia..... 62

ცოტნე გოგიშვილი. 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური დ ეკონომიკური კრიზისის არსი, ფორმირება და დასასრული..... 63

Tsotne Gogishvili. The Nature, Formation, and End of 2007-2008 Global Financial Crisis 72

მანანა ებანოიძე. ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში..... 73

Manana Ebanoidze. Statistical study of violence against women in Georgia..... 83

ლუკა კენტელაძე. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები მცხეთა-მთიანეთში 1990-იანი წლებიდან დღემდე 84
Luka Kenteladze. Trends of Natural Population Movement in Mtskheta-Mtianeti from the 1990s to the Present Day 93

ბექა სიმონიშვილი. 2011-2020 წლების მიგრაციის სტატისტიკა საქართველოში 94
Beqa Simonishvili. 2011-2020 Migration Statistics in Georgia 100

სოფიო სტეფანიშვილი. ინფო-ტურში მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში 101
Sopio Stepanishvili. The Role and Importance of Participation in an Info-Tour in the Formation of a Tourist Product 111

ლევან ფაცურია. დემოგრაფიული მდგომარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 112
Levan Patsuria. Demographic Situation in Samegrelo-Zemo Svaneti Region 121

გიორგი ხიდეშელი. სოციალური საწარმოების ტურისტული პოტენციალის ათვისების შესაძლებლობები საქართველოში 122
Giorgi Khidesheli. Tourism Capacity Utilization Possibilities of Social Enterprises in Georgia 132

შავლეგო ხუნაშვილი. დანიელ გოლმანის ემოციური ინტელექტის მოდელი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში 133
Shavlego Khunashvili. Daniel Goleman's Model of Emotional Intelligence and its Importance in Modern Business 140

კონფლიქტ მენეჯმენტის როლი ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში

ეკა ავსაჯანიშვილი
თსუ დოქტორანტი

გლობალური გარემო ორაგნიზაციებს აძლევს შესაძლებლობებს გაზარდონ ბაზრის წილი და მოგება, აწარმოონ უფრო იაფად და ხარისხიანად. თუმცა, ამ ყოველივეს-თან ერთად, გარემო გახდა მუდმივად ცვალებადი და არასტაბილური. ტექნიკური განვითარების სწრაფი ტემპები, მომხმარებლის გემოვნების ცვლილება და მათი ცნობიერების ამაღლება ორგანიზაციებს ყოველდღიურად ახალი გამოწვევების წი-ნაშე აყენებს. ამასთან, ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, კო-ვიდ პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის ბიზნეს-გარემოს. შესაბამისად, ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა მოახდინონ დროული რეაგირება და განახორციელონ შესაბამისის ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებე-ბი მოიცავს არა მხოლოდ საწარმოო პროცესის და ტექნოლოგიების, არამედ დასაქმე-ბული ადამიანების ქცევისა და უნარების ცვლილებებასაც. აღნიშნული კი, ხშირად იწვევს სხვადასხვა სახის კონფლიქტებს დასაქმებულთა შორის. სტატიაში განხი-ლულია ცვლილებების მნიშვნელობა ორგანიზაციაში და ასევე წინააღმდეგობები და კონფლიქტები, რომელიც დასაქმებულების მხრიდან წარმოიქმნება ცვლილებე-ბის განხორციელების პროცესში. წარმოჩენილია მათი გადაჭრის გზები, ეფექტური კომუნიკაციისა და სწორი მენეჯმენტის დახმარებით.

საკვანძო სიტყვები: *ორგანიზაციული ცვლილებები, კონფლიქტ მენეჯმენტი, წინა-აღმდეგობები, კომუნიკაცია, ცვლილებების აგენტი.*

„თანამედროვე ორგანიზაციებს მუდმივად უწევს ადაპტირდნენ არასტაბი-ლურ შიდა და გარე გარემოსთან, რათა მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა და გაზარდონ ბაზრის წილი. ეკონომიკის, ტექნოლოგიების და სოციოლოგიის უწყვეტი განვითარების პირობებში სრულიად აუცილებელია ორგანიზაციებმა შეცვალონ თავიანთი მენეჯმენტი.“ (Halkos & Bousinakis, 2012) გარემო, რომელშიც ორგანიზაციები საქმიანობენ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით კომპლექსური გახდა. კოვიდ პანდემიამ, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ, უმუშევრობის დონის ზრდამ, ორგანიზაციების გაკოტრებამ, ასევე რუსეთ-უკრაინის ომმა, ახალი მომწო-დებლების მოძიების აუცილებლობამ, რესურსების შემცირებამ, კიდევ უფრო აუ-ცილებელი და მნიშვნელოვანი გახადა ორგანიზაციული ცვლილებები.

ნებისმიერი ორგანიზაციის მთავარი მიზანი კონკურეტული უპირატესობის მოპოვება და გარემოსთან ადაპტირებაა. სწორედ, ამიტომ, ცვლილებები უნდა იყოს დროული და შეესაბამებოდეს ორგანიზაციის შესაძლებლობებს, უნარებსა და არსებულ მდგომარეობას.

იქედან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიები და პროცესები სწრაფად ვითარდება და მათზე ხელმისაწვდომობა იზრდება, „ადამიანური რესურსები მიიჩნევა ყველაზე მყარ რესურსად კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.“ (Bhattacharyya, 2011) ამასთან, მთავარი სირთულე ცვლილებების განხორციელების პროცესში სწორედ ადამიანური რესურსების მართვა, მათთვის საჭიროებების სწორად წარმოჩენა, ცვლილებებისთვის მომზადება და კომუნიკაციაა.

ორგანიზაციული ცვლილებები

„1980-იანი წლებიდან ცვლილებები ორგანიზაციული ცხოვრების დომინანტურ ასპექტად იქცა“ (Dupuy, 2002). „შემცირება, შერწყმა, ინოვაციები მენეჯმენტსა და ტექნოლოგიაში, ცვლილებები ადგილმდებარეობის, დროის, ხანგრძლივობის, დავალებებისა და პასუხისმგებლობების მხრივ არის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებმაც რადიკალურად იმოქმედა სამუშაო გარემოზე.“ (Vecchio & Appelbaum, 1995) ორგანიზაციული ცვლილებები თავისი მასშტაბით და შინაარსით განსხვავებულია. ასევე, განსხვავებულია ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები, რომელიც შეიძლება იყოს ეკონომიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური, რომელთაც გარე ფაქტორებს უწოდებენ და ასევე, შეიძლება გამოწვეული იქნას შიდა ფაქტორებიდან, როგორიცაა: ადმინისტრაციული საკითხები, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. ამასთან, ცვლილებები ორგანიზაციაში შეიძლება განახორციელოს ცვლილებების გარე აგენტმა, რომელიც დროებით არის დასაქმებული ორგანიზაციაში, რადგან მათი საქმიანობა მხოლოდ ცვლილებების განხორციელების პროცესით შემოიფარგელბა. „‘‡““ წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით, როგორიცაა უნივერსიტეტები, კონსალტინგური კომპანიები და ტრენინგის სააგენტოები.“ (Trullen & Bartuken, 2007). „როგორც წესი, ცვლილებების გარე აგენტი აქტიურად იღებს ხილულ მხარდაჭერას ტოპ მენეჯერების მხრიდან, რათა ხაზი გაუსვას ცვლილებების აუცილებლობას.“ (Pine, 2007) ცვლილებების შიდა აგენტი კი ორგანიზაციაში მუდმივად დასაქმებულია ადამიანია, ხშირად ცვლილებების შიდა აგენტი არის ახალი მენეჯერი, ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ზოგიერთი ორგანიზაცია მიმართავს როგორც გარე, ასევე შიდა ცვლილებების აგენტს, რომ უფრო ინტენსიური გახადოს პროგრამა და უფრო განავითაროს ის. ეს მეთოდი გულისხმობს იმ ცოდნის და რესურსების გამოყენებას, რომელიც შიდა და გარე ცვლილებების აგენტებს აქვთ.

ინტერვენციის ზემოთ ხსენებულ სამივე მეთოდს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ცვლილებების გარე აგენტი ხშირად დანახულია როგორც გარეშე პირი. „როდესაც ეს შეხედულება დამკვიდრებულია თანამშრომლებს შორის ორგა-

ნიზაციაში, მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს კავშირი აგენტსა და ხელმძღვანელ პირებს შორის. აგენტის ხედვა პრობლემაზე ზოგიერთ შემთხვევაში უპირისპირდება მენეჯერების ხედვას, რაც იწვევს კავშირის პრობლემებს.“ (Trullen & Bartuken, 2007) სხვადასხვა ხედვები გადაწყვეტილების მიმღებ ან მასთან დაკავშირებულ პირებსა და აგენტის შეხედულებებს შორის ხშირად იწვევს უნდობლობას მის მიმართ. ამ უარყოფითი ფაქტორის გარდაქმნა არის ცვლილებების აგენტის შესაძლებლობა კონცენტრირდეს ორგანიზაციულ ურთიერთობებზე. „ცვლილებების გარე აგენტს აქვს შედარებით მეტი უპირატესობა შიდა აგენტთან მიმართებაში, როდესაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცვლილებები უნდა განხორციელდეს.“ (Sheth, 2007) „ცვლილებების შიდა აგენტი ხშირად შესაძლოა დანახულ იქნას, როგორც უფრო მეტად დაახლოებული გარკვეულ გაერთიანებების და ჯგუფების წევრებთან ორგანიზაციაში. ეს მიკერძოებულობის აღქმა წარმოქმნის წინააღმდეგობას იმ პირების მხრდიან, რომლებიც არ შედიან ცვლილებების აგენტის ახლო წრეში, მაგრამ ეს წინააღმდეგობები შეიძლება გახდეს ცოდნის წყარო, მათ დასაძლევად. ცვლილებების შიდა აგენტი შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც პირი, რომელსაც ორგანიზაციის შესაძლებლობები ნათელად ესმის.“ (Beer & Walton, 1987) ინტერვენციის მესამე ფორმა, შიდა და გარე აგენტის კომბინაცია, ყველაზე იშვიათია, თუმცა, როგორც ჩანს, წარამტების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს.

ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები და კონფლიქტები

„ცვლილებების მექანიზმის ირგვლივ გაურკვეველი გარემო მიდრეკილია გაუთვალისწინებელი დამოკიდებულების განვითარებისკენ, რაც იწვევს წინააღმდეგობასა და კონფლიქტს.“ (Raza & Standing, 2011) „არსებობს მიდგომა, რომ ადამიანები ცვლილებებზე უარყოფითად რეაგირებენ და ცვლილებების განხორციელებას ხშირად ორგანიზაცია კონფლიქტებამდე მიჰყავს.“ (Montana & Charnov 2000). „ეს უკუკავშირი განიხილება როგორც ბარიერი ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში, რაც იწვევს ბევრ პრობლემას, როგორიცაა დაძაბულობა, დაბალი კმაყოფილება და ზოგჯერ შემოთავაზებული ორგანიზაციული ცვლილების სრული წარუმატებლობა.“ (Trice & Beyer, 2001).

კონფლიქტის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ტრადიციული მიდგომით კონფლიქტს დესტრუქციული ხასიათი აქვს და მენეჯერებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ მის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ეს შეხედულება შეიცვალა და ახლა ორგანიზაციებს ესმით, რომ კონფლიქტი საზოგადოებაში გარდაუვალი მოვლენაა. „ბიჰევიორისტული მიდგომა კონფლიქტს იღებს, ხოლო ინტერაქციონისტული ხედვა ხელს უწყობს კონფლიქტის წარმოქმნას, რაც ეფუძნება რწმენას, რომ ჰარმონიული, მშვიდი, ზედმეტად კოოპერატიული პროექტის ორგანიზაცია, სავარაუდოდ, გახდება სტატიკური, აპათი-

ური, სტაგნაციური და ვერ შეძლებს რეაგირება მოახდინოს ცვლილებასა და ინოვაციებზე.“(Verma, 1989)

კონფლიქტის საფუძველი ორგანიზაციული ცვლილებების დროს ხდება წინააღმდეგობა, რომელიც ადამიანებს უჩნდებათ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით. „არსებობს 4 ძირითადი მიზეზი თუ რატომ ეწინააღმდეგებიან ადამიანები ცვლილებებს:“ (Ginsberg & Abrahamson, 1991) ვიწრო პირადი ინტერესი, გაურკვევლობა და ნდობის ნაკლებობა, განსხვავებული შეფასებები, დაბალი ტოლერანტობა ცვლილებების მიმართ. თუმცა, „ორგანიზაციები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ ადამიანების წინააღმდეგობა არ არის მიმართული ცვლილებების მიმართ, არამედ იმის მიმართ, თუ როგორ ექცევიან მათ და რა როლებს ასრულებენ ისინი ცვლილებების პროცესში.“ (Raza & Standing, 2011). ორგანიზაციული ცვლილებების დროს წარმოქმნილმა წინააღმდეგობებმა და კონფლიქტმა შესაძლოა დესტრუქციული ხასიათი მიიღოს. სხვადასხვა “კონტრპროდუქტიული ქცევები მოიცავს დეზინფორმაციის გავრცელებას, სამუშაოს განზრახ არასრულფასოვნად შესრულებას, ქურდობას, ქონების, აღჭურვილობის ან პროდუქტების განზრახ დაზიანებას, ქონების შემთხვევით დაზიანებას, მაგრამ ამის დამალვას, მოქალაქის სოციალური როლის შეფერხებას.” (Tavakolia, 2010).

კონფლიქტების გადაჭრის გზები

ცვლილებების განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი დროულობაა, დროული ცვლილების და ზოგადად ცვლილების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მოახერხებს ორგანიზაცია, რომ დაძლიოს წინააღმდეგობები, კონფლიქტები და დაარწმუნოს თანამშრომლები ცვლილებების აუცილებლობაში. აღნიშნულის განსახორციელებლად სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები არსებობს.

ამოსავალი წერტილი ორგანიზაციაში წარმოქმნილი ნებისმიერი კონფლიქტის, უნდობლობისა და გაურკვევლობის არის კომუნიკაციის ნაკლებობა. „ინფორმაციის ნაკლებობა ასტიმულირებს დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას სტრესის ქვეშ მყოფ თანამშრომლებს შორის, ასეთი ინფორმაცია კი თითქმის ყოველთვის მეტ დაძაბულობასა და შფოთვას იწვევს.“ (Tavakolia, 2010). „ღია კომუნიკაცია კონფლიქტში ჩართულ მხარეებს ეხმარება, რომ დაინახონ სიტუაცია ობიექტურად და გაუმკლავდნენ მას.“ (Verma, 1989) სწორი კომუნიკაციით არის შესაძლებელი ორგანიზაციული ცვლილებების დროს წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევა. „წინააღმდეგობის ფაქტორების იდენტიფიცირება ორგანიზაციულ ცვლილებების პროცესში კონფლიქტის მართვის მნიშვნელოვანი

ნაწილი უნდა იყოს.“ (Raza & Standing, 2011) „მას შემდეგ, რაც გაირკვევა, ვინ ეწინააღმდეგება ცვლილებებს და რატომ, შემდეგი საკითხია ამ ინფორმაციის გამოყენება კონფლიქტ მენეჯმენტისთვის.“ (Raza & Standing, 2011).

„ორგანიზაციული ცვლილებები არ არის წინასწარ განსაზღვრული როგორც სტრესი და წინააღმდეგობა. მათ თავიდან ასაცილებლად, ორგანიზაციებს შეუძლიათ განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომლებიც დაეხმარება თანამშრომლებს სჯეროდეთ, რომ მათ აქვთ უნარი, ძალა ან ცოდნა, გაუმკლავდნენ სიტუაციას.“ (Tavakolia, 2010) ამის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა მეთოდები. მაგალითად: (I) *მონაწილეობითი ორგანიზაციული ცვლილება* ხელს უწყობს თანამშრომლების აქტიურ მონაწილეობას ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში გადაწყვეტილების მიღებაში (Schraeder, 2001). (II) *ცვლილებებში სარგებლის დანახვა* გულისხმობს, რომ მენეჯერებმა მკაფიოდ ისაუბრონ თანამშრომლებთან მოსალოდნელი მოგების შესახებ და აღემატება თუ არა მოგება ზარალს (Trice & Beyer, 2001). (III) *ორგანიზაციული სამართლიანობა* ხელს უწყობს მენეჯერების მართებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას თანამშრომლებთან მიმართებაში. (Lind & Tyler, 1988). (IV) *გულწრფელი და მკაფიო კომუნიკაცია* მოიცავს თანამშრომლებისთვის ზუსტი, დეტალური და დროული ინფორმაციის მიწოდებას ცვლილების, მისი შედეგებისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავუმკლავდნენ ცვლილებებს (Lewis, 1975).

„კონფლიქტის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა, რომელიც ცვლილებების შესახებ ლიტერატურაში გხვდევა ისაა, რომ თანამშრომლებმა შეიძლება განსხვავებულად უპასუხონ მენეჯერების ქცევებს რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას მისცემენ მენეჯერის განზრახვას.“ (Furst & Cable, 2008) ეფელბაუმის კვლევაში ნათლად არის წარმოჩენილი მენეჯერის და ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესში. „ეს კვლევა გამოკვეთს ადეკვატური და კომპეტენტური ხელმძღვანელის საჭიროებას ცვლილებებისგან სასურველი ან მოსალოდნელი შედეგების მიღწევის მიზნით.“ (Appelbaum et al, 2015) მართლაც, შუკის (2003) კვლევამ წარმოაჩინა, რომ „ლიდერის უნარები და შესაძლებლობები დადებითად აისახება ცვლილებების წარმატებით განხორციელებაზე - კომუნიკაციის უნარი, ქოუჩინგი, სხვების ჩართვა მოტივაციის, დაჯილდოების და გუნდების შესაქმნელად მოითხოვს კრიტიკულ უნარს, აღიაროს და უპასუხოს ინდივიდუალურ საჭიროებებს ცვლილების დროს.“(Shook et al, 2003) „საშუალო დონის მენეჯერი, რომელიც განისაზღვრება, როგორც მენეჯმენტის შუალედური დონე უმაღლეს მენეჯმენტსა და ქვედა დონის მენეჯმენტს შორის, ხელს უწყობს ფრონტის რესურსებისა და ზედა დონის დაკავშირებას და იერარქიული აღქმის უფსკრულის გადალახვას. ეს დამაკავშირე-

ბელი როლი ეფექტურია სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელებისთვის.“ (Appelbaum et al, 2015). სწორედ საშუალო დონის მენეჯმენტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ცვლილებების განხორციელების პროცესში. ჰერციგის (2006) კვლევაში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ საშუალო რგოლის მენეჯმენტის ჩართულობით შესაძლებელია კონფლიქტების შემცირება და ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში წარმოქმნილი წინააღმეგობების გადალახვა. „საშუალო რგოლის მენეჯერებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ ცვლილებების პროცესში, მათ შორის, დაეხმარონ თანამშრომლებს გარდამავალ პერიოდში.“ (Herzig & Jimmieson, 2006)

დასკვნა და რეკომენდაციები

ნებისმიერი ორგანიზაციის ფუნქციონირება ცვლილებების გარეშე გარდაუვალია. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები იყო დროული და განხორციელდეს ორგანიზაციის არსებული შესაძლებობების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა ცვლილება და ვინ ახორციელებს მას. ცვლილებების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, წარმოიქმნება წინააღმდეგობები და კონფლიქტები, რომელთა გადაჭრის გარეშე ცვლილება წარმატებით ვერ განხორციელდება. სწორედ, ამ შემთხვევაში იკვეთება კონფლიქტ მენეჯმენტის როლი, რომელმაც უნდა დააიდენტიფიციროს კონფლიქტში ჩართული მხარეები, მიზეზები, და ჩამოაყალიბოს ეფექტური კომუნიკაციის გზები. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ მეთოდები, რომლებიც ცვლილებებს პოზიტიური კუთხით წარმოაჩენს, ასევე, მნიშვნელოვანია საშუალო რგოლის მენეჯერების როლი, რომლებიც ერთგვარი დამაკავშირებელია თანამშრომლებსა და ზედა რგოლის მენეჯერებს შორის.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები არ არის ცალსახა და შემდგომი კვლევის საგანია, თუმცა სტატიაში განხილული სხვადასხვა დროის კვლევები და მიდგომები ცხადყოფს, რომ ცვლილებების წარმატებით განხორციელების მიზნით, ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ შესაბამისი მეთოდი, ასევე უნდა უზურნველყონ ეფექტური კომუნიკაცია, გაითვალისწინონ დასაქმებულთა ინტერესები და მისწრაფებები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშუალო რგოლის მენეჯერებსა და მათ უნარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Appelbaum, S. H., Degbe, M. C., MacDonald, O., & Nguyen-Quang, T.-S. (2015). Organizational outcomes of leadership style and resistance to change (part two). Industrial and Commercial Training, 47(3), 135–144.
2. Beer, M., & Walton, A. E. (1987). Organizational change and development. Annual Review of Psychology, 38, 339–367.
3. Bhattacharyya, D.K. (2011) "PERFORMANCE MANAGEMENT SYSTEMS AND STRATEGIES". Delhi: Pearson.
4. Dupuy, F. (2002). The chemistry of change: Problems, phases and strategy. New York: Palgrave.
5. Furst, S.A., & Cable,D.M. (2008). Employee Resistance to Organizational Change: Managerial Influence Tactics and Leader–Member Exchange. Journal of Applied Psychology ,Vol. 93, No. 2. 453– 462.
6. Ginsberg, A., & Abrahamson, E. (1991). 'Champions of change and strategic shifts. The role of internal and external change advocates', Journal of Management Studies, 28(2).173-190.
7. Halkos, G., & Bousinakis, D. (2012). Importance and influence of organizational changes on companies and their employees. Journal of Advanced Research in Management, 3(2), 90–104.
8. Herzig, S. E., & Jimmieson, N. L. (2006). Middle managers' uncertainty management during organizational change. Leadership & Organization Development Journal, 27(8), 628–645.
9. Lewis, P. V. (1975). Organizational communication: The essence of effective management (3rd ed.). New York: John Wiley & Sons.
10. Lind, E. A., & Tyler, T. R. (1988). The Social Psychology of Procedural Justice. New York & London: Plenum.
11. Montana, P.J. and Charnov, B.H. (2000), Management, 3rd ed., Barron's Educational Series, Hauppauge, NY.
12. Pine, T. A. (2007). Enabling excellence: The seven elements essential to achieving competitive advantage. Milwaukee, WI: Quality Press.
13. Raza, S.A., & Standing, C. (2011). A systemic model for managing and evaluating conflicts in organizational change. Systemic Practice and Action Research, 24, 187–210.
14. Schraeder, M. A. (2001). An analysis of employee attitudes, reactions to events related to a strategic alliance, and reactions to technological changes. Auburn, Alabama: UMI.
15. Sheth, J.N. (2007) "The self-destructive habits of good companies … and how to break them". Philadelphia, PA: Warton school publishing.
16. Shook, C.L., Priem, R.L. and McGee, J.E. (2003), "Venture creating and the enterprising individual: a review and synthesis", Journal of Management, Vol. 29 No. 3. 379-99.
17. Tavakoli, M. (2010). A Positive Approach To Stress, Resistance, And Organizational Change.Social And Behavioral Sciences, 5. 1794- 1798.
18. Trice, H. M., & Beyer, J. M. (2001). Changing organizational cultures, In J. M. Shafritz, & J. S. Ott (Eds.), Classics of organization theory. Fourth Worth: Harcourt College Publishers.
19. Trullen, J., & Bartuken, J. M. (2007). "What a design Approach offers to organizational development." The journal of applied behavioral science, Vol. 43 No. 1, 23-40.
20. Vecchio, R. P., & Appelbaum, S. H. (1995). Managing organizational behaviour. Toronto: Dryden.
21. Verma, V.K. (1998). "Conflict management", The Project Management Institute: Project Management Handbook. 353-364.

The Role of Conflict Management in the Process of Organizational Changes

Eka Avsajanishvili
TSU PhD Student

SUMMARY

The global environment provides opportunities for organizations to increase market share and profits, to produce at lower expenses, with higher quality. However, with all this, the environment has become unstable. The rapid pace of technical development, changing consumer tastes and increasing their awareness present new challenges for organizations. In addition, recent world events, the Covid pandemic and the Russia-Ukraine war, make the business environment even more tangled. Accordingly, the main task of organizations is to respond in time and make appropriate changes. These changes include not only manufacturing process and technology, but also changes in the behavior and skills of the employees. This often causes various conflicts. The article discusses the importance of changes in the organization, as well as the resistances and conflicts that arise from the employees in the process of implementation. Ways to solve them are presented, with the help of effective communication and proper management.

Key words: Organizational changes, Conflict management, Resistance, communication, Change agent.

კრიპტოვალუტა - სამართლებრივი ასპექტები და საგადასახადო რეგულაციები

თამარ ბარბაქაძე
თსუ დოქტორანტი

ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში ჩვენი ცხოვრება მეტწილად ციფრული გახდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობთ. ამ ფაქტმა გამოიწვია კრიპტოვალუტის გამოყენებისა და პოპულარობის ზრდა.
კრიპტოვალუტა არის ციფრული, დაშიფრული და დეცენტრალიზებული გაცვლის საშუალება, რომელიც შექმნილია კერძო პირების ან ჯგუფების მიერ. მათი ღირებულება და მიწოდება კონტროლდება არა ცენტრალური ბანკების, სამთავრობო ორგანოების ან სხვა მარეგულირებელი სტრუქტურების გადაწყვეტილებებით, არამედ მომხმარებლების საქმიანობით და მათ მმართველ კოდებში ჩაშენებული რთული პროტოკოლებით. სწორედ ამიტომ, ისინი განიხილება ალტერნატიულ ვალუტებად - ფინანსური გაცვლის საშუალებები, რომლებიც არსებობს სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის საზღვრებს გარეთ.
კრიპტო სამყაროში ბევრი რამ სწრაფად იცვლება, მათ შორის საგადასახადო წესები. კრიპტოვალუტების დაბეგვრის მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ვირტუალური ვალუტების გაყიდვა, გაცვლა, მათი გამოყენება საქონლის ან მომსახურების შესაძენად, ინვესტიციის სახით შენახვა - თავისთავად მოიაზრებს საგადასახადო ვალდებულებას. მათმა ნაწილმა ვირტუალური ვალუტების დაბეგვრაში გარკვეული სიახლეები შემოიტანა და იგი განიხილა, როგორც შემოსავლის წყარო ან აქტივი, რომელიც ქმნის კაპიტალურ ამონაგებს. ამასთან, ჯერ კიდევ არსებობს დებატები, ვირტუალური ვალუტა არის თუ არა ვალუტა, შემოსავლის წყარო, აქტივი თუ ფასიანი ქაღალდი. ციფრული ვალუტების სამართლებლივი და საგადასახადო სტატუსი დღემდე გაურკვეველია.
ნაშრომში განხილულია კრიპტოვალუტის ირგვლივ არსებული სამართლებლივი ასპექტები და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები, ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: *კრიპტოვალუტა; კრიპტოაქტივი; ვირტუალური ვალუტა; საგადასახადო კოდექსი; დასაბეგრი ოპერაცია.*

ვირტუალური ვალუტა (VC) არის ელექტრონული ვალუტა, რომელიც არ კონტროლდება მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მიერ. 2013 წელს, ფინანსური დანაშაულის აღსრულების ქსელმა (FinCEN), განსაზღვრა ვირტუალური ვალუტა, როგორც „გაცვლის საშუალება, რომელიც მოქმედებს როგორც ვალუტა ზოგიერთ გარემოში, მაგრამ არ გააჩნია რეალური ვალუტის ყველა ატრიბუტი. კერძოდ, ვირტუალურ ვალუტას არცერთ იურისდიქციაში არ აქვს იურიდიული გადახდის საშუალება“. (Torres, 2022)

ზოგიერთი ვირტუალური ვალუტა გამოიყენება, როგორც ვალუტა ციფრულ სამყაროში, თუმცა მათთვის არ არსებობს ექვივალენტური ღირებულება ფიატის ვალუტაში (Fiat Currency), სხვა სიტყვებით - არაკონვერტირებადია. მეორე მხარეს, არის ვირტუალური ვალუტა, რომლის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია ლეგალური გადახდისთვის - იგივე კონვერტირებადი ვალუტა. კონვერტირებადი VC-ების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტიპია კრიპტოვალუტა. ისინი იყენებენ უსაფრთხოების მექანიზმებს, როგორიცაა კრიპტოგრაფიული პროტოკოლები ან უკიდურესად რთული კოდური სისტემები, რომლებიც შიფრავს მონაცემთა გადაცემებს, რათა უზრუნველყონ მათი გაცვლის ერთეულები. ეს პროტოკოლები იქმნება უმაღლესი მათემატიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის პრინციპებზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ გატეხვას, დაცული ვალუტების დუბლირებას ან გაყალბებას. (Martucci, 2022)

კრიპტოვალუტა მუშაობს Blockchain ტექნოლოგიაზე. ბლოკჩეინი წარმოდგენისთვის არის დეცენტრალიზირებული მონაცემთა ბაზა, სადაც არ არსებობს მართვის ერთი ცენტრი და ერთი კომპიუტერი, ინფორმაციის შესანახად. ინფორმაცია გადანაწილებულია უამრავ კომპიუტერზე, რომლებსაც ბლოკებად მოიხსენიებენ. ბლოკები ფუნქციონიერებენ ზუსტად ისე, როგორც ბიტკოინის ალგორითმშია გაწერილი (SHA-256 hash algorithm) - ანუ ქსელში არსებობს ვალუტის ყველა ერთეულის მხოლოდ ერთი ვერსია. (Mark, 2022) აქ შეუძლებელია ინფორმაციის გაყალბების მცდელობა, რადგან მიუხედავად ერთ კვანძზე თეორიულად ინფორმაციის გაყალბების შანსისა, მთელს ქსელში სხვა ბლოკებზე ინფორმაცია მაინც უცვლელია.

კრიპტოვალუტები იყენებენ Peer-to-peer (P2P - დეცენტრალიზებული პლატფორმა, რომლის დროსაც ორი პირი უშუალოდ ურთიერთობს ერთმანეთთან, მესამე მხარის, შუამავლობის გარეშე) ტექნოლოგიებს და არ იყენებენ ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მონაწილეობენ ტრანზაქციებში. ეს უნიკალური თვისება უზრუნველყოფს მომხმარებლის ანონიმურობის დონეს. საინტერესო ფაქტია, რომ ბიტკოინის შექმნის დღიდან, ჯერ ვერცერთმა ჰაკერმა შეძლო მისი სისტემის გატეხვა. ოპერაციების შინაარსის დანახვა თითქმის შეუძლებელია, რადგან იგი შედგება ასოებისა და ციფრების კომბინაციით აწყობილი კომპიუტერული კოდებისგან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბიტკოინების რაოდენობა უსასრულო არ არის. მსოფლიოს მასშტაბით 21 მლნ ბიტკოინზე მეტი ვერ შეიქმნება, სწორედ ამიტომ, შესაძლებელია მისი გაყიდვა მცირე ნაწილებად (0,3 ბიტკოინი, 0,48 ბიტკოინი და ა.შ.) (Hayes, 2022)

ვირტუალური ვალუტები გამოწვევაა ფედერალური სააგენტოებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფინანსურ რეგულირებაზე, სამართალდამცავ ორგანოებზე, მომხმარებელთა და ინვესტორების დაცვაზე. ეს გამოწვევები ნაწილობრივ გამომდინარეობს ვირტუალური ვალუტების გარკვეული მახასიათებლებისგან, მა-

გალითად, ანონიმურობის მაღალი ხარისხი. ანონიმურობა ხელს უშლის კრიპტოვალუტის ტრანზაქციების ადეკვატურ მონიტორინგს, რითაც საშუალებას აძლევს ფარული ტრანზაქციების განხორციელებას მარეგულირებელ საზღვრებს გარეთ, რაც უზრუნველყოფს ფულის გათეთრების ხელმისაწვდომობას. ასევე, ანონიმურობა გადასახადებისგან თავის არიდების მთავარი პრობლემაა.

არ არსებობს ორგანო, რომელიც იცავს ვიურტუალური ვალუტის მომხმარებლების ინტერესებს. მაინერები და ტრეიდერები სრულიად დაუცველები არიან ნებისმიერი პრობლემის წინაშე, რაც შეიძლება წარმოიშვას კრიპტო ბირჟებთან ან კრიპტოაქტივების მიმოქცევასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017 წლის განცხადებით, მოსახლეობას მოუწოდებს ვირტუალური ვალუტის გამოყენებისას გამოიჩინონ სიფრთხილე. გამომდინარე იქიდან, რომ ვირტუალური ვალუტის ფასები არასტაბილურია და მათი სამართლებლივი სტატუსი გაურკვეველი, იგი პოტენციური სამართლებლივი და ფინანსური რისკის მომტანია. განცხადებაში ხაზგასმულია ინფორმაცია ცენტრალური ორგანოს არარსებობაზე, რაც გაართულებს პრობლემური საკითების პროცესს, ფაქტიურად შეუძლებელი იქნება მათი გადაჭრა. სებ-ის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, ვირტუალური ვალუტა საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას, ის არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისად, კრიპტოვალუტა არ რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017)

ვირტუალური ვალუტების ფინანსური და სამართლებლივი საკითხების ბუნდოვანობიდან გამომდინარე გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

კრიპტოვალუტის დეცენტრალიზებული ბუნება - ცენტრალიზებული გაცვლისგან განსხვავებით, დეცენტრალიზებლი გაცვლის (DEX) მთავარი პრობლემა ანონიმურობაა. ისინი არ ექვემდებარებიან რომელიმე ცენტრალიზებულ ორგანოს და სრულიად გამორიცხავს მესამე პირის არსებობას და დღესდღეობით სულ უფრო პოპულარული ხდება.

ვირტუალური ვალუტების ცვალებადობა - სამართლებლივი რეგულაციის არარსებობა განაპირობებს ვირტუალური ვალუტის ფასის არასტაბილურობას. დღესდღეობით, კრიპტოვალუტის ფასი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც განპირობებულია რეგულაციის საკითხის წინ წამოწევით.

ფულის გათეთრება - კრიპტოვალუტის სამართლებრივი უკონტროლობის და ქვეყნებს შორის მოძრაობის სიმარტივის მთავარ საგადასახადო პრობლემად შეგვიძლია განვიხილოთ ფულის გათეთრება.

ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა - არაბუნებრივად დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანა ან შემოტანა იწვევს საგადასახადო პრობლემებს და ქვეყნის ეკონომიკის დესტაბილიზაციას.

ელექტროენერგიის პრობლემები - კრიპტო მაინინგისას ელექტროენერგიის ხარჯი იწვევს ელექტროენერგიის პრობლემებს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში ელექტროენერგიის ხარჯმა 12,406 მილიარდი კვტ. სთ შეადგინა, რაც 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდს 13.4%-ით აღემატება. ყოველწლიურად ქვეყანას სულ უფრო მეტი იმპორტი სჭირდება. (ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო), 2021)

კრიპტოვალუტის კონტროლი შეუძლებელია, რაც ართულებს მისი მოპოვების და გავრცელების აკრძალვას. მნიშვნელოვანია მსოფლიოს ქვეყნების მხრიდან მოხდეს მისი რეგულირება, დაბეგვრის რეჟიმების განსაზღვრა და მისი ლეგალურ ბრუნვაში მიმოქცევა.

კრიპტოვალუტის რეგულაცია ევროკავშირში

ვირტუალური ვალუტები, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფინანსური და სამართლებლივი ასპექტებით გამოირჩევა. ერთ ქვეყანაში ის თუ კლასიფიცირებულია, როგორც ფული, მეორეში აღიქმება, როგორც აქტივი, ზოგიერთი ქვეყანა კი, მათ აფასებს როგორც ლეგალურს, თუმცა სამართლებრივი ჩარჩოების გარეშე. ბიტკოინისა და სხვა ალტკოინების (ბიტკოინის ალტერნატიული მონეტების) იურიდიული სტატუსი არსებითად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთმა ქვეყანამ დააწესა ჯარიმები კრიპტოვალუტის გამოყენებაზე, ზოგიერთ ქვეყანაში ბანკები კრძალავენ კრიპტოვალუტით ტრანზაქციების განხორციელებას, ზოგი კი - სრულად კრძალავს ბიტკოინისა და კრიპტოვალუტების გამოყენებას, განსხვავებით ელ სალვადორისგან, რომელიც 2021 წლის სექტემბერში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ბიტკოინი გადახდის ლეგალურ საშუალებად აღიარა, რასაც მოჰყვა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მიმდინარე წლის აპრილში. (Orji, 2022)

ევროკავშირის მასშტაბით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი გაიდლაინები და რეგულაციები კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით, იურისდიქცია და საგადასახადო დაბეგვრა, მაინც ცალკეულ ქვეყნებზეა დამოკიდებული.

კრიპტოვალუტა, როგორც წესი, იბეგრება როგორც კაპიტალის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ან დღგ (მიმდინარე ფიატის ვალუტაში გადაყვანის შემდეგ). ევროკავშირში არსებობს კრიპტოვალუტის გადასახადებისგან თავისუფალი ქვეყნები, როგორიცაა: მალტა, გერმანია და პორტუგალია. მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს პორტუგალია, რომელიც ყველაზე აქტიურად უწყობს ხელს ბლოკჩეინის გამოყენებას. პორტუგალია, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც კრიპტო-მეგობრული ქვეყანა საგადასახადო თვალსაზრისით. პორტუგალიის საგადასახადო კანონმდებლობით, კრიპტოვალუტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავა-

ლი არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს, თუ ეს საქმიანობა გადასახადის გადამხდელის პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობას არ წარმოადგენს. ასევე, კრიპტოვალუტით ტრანზაქციები გათავისუფლებულია დღგ-სგან, რადგან ქვეყანა კრიპტოვალუტას განიხილავს როგორც გადახდის ფორმას და არა აქტივს. ხოლო, კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ კრიპტოვალუტასთან დაკავშირებულ სერვისებს, თავის მხრივ, იბეგრებიან კაპიტალის მოგებაზე 28-დან 35 პროცენტამდე მასშტაბით. (Santos, 2022)

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გადასახადების მქონე ქვეყანაა, ძალიან საინტერესო მიდგომა აქვთ კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით. გერმანია არ განიხილავს კრიპტოვალუტას, როგორც აქტივს. გერმანიაში, საგადასახადო ვალდებულებებისგან განთავისუფლებულია პირი, რომლის კალენდარული წლის გაყიდული ტრანზაქციებიდან მთლიანი მოგება 600 ევროზე ნაკლებია. ასევე არ იბრეგრება კრიპტოვალუტით ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში. გერმანიას ასევე აქვს უნიკალური მიდგომა, როდესაც საქმე ეხება მაინინგის და სტეიკინგის (Staking) დაბეგვრას. თუ თქვენ აჩერებთ კრიპტოვალუტას მეტი შემოსავლის გამომუშავებისთვის, ეს კრიპტო დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით - 45%-მდე, პლუს 5,5%-იანი სოლიდარობის გადასახადით (Solidarity Tax), 10 წლის განმავლობაში. (Crypto Tax Guide Germany, 2022)

კრიპტოვალუტის დაბეგვრა ჯერ კიდევ დაურეგულირებელია იტალიაში. იტალიის საგადასახადო ორგანო (Agenzia delle Entrate) ცდილობდა კრიპტო აქტივების დაბეგვრის საკითხის მოგვარებას იმით, რომ ისინი ტრადიციული აქტივების და ფიატის ვალუტის განმარტებას დაუქვემდებარა. ამის საფუძველზე გამოიყენა შესაბამისი ტრადიციული საგადასახადო რეჟიმები - მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და დღგ. (Cacioppoli, 2021)

კრიპტოვალუტა ლეგალურია ევროკავშირის მასშტაბით, წევრი ქვეყნების ინდივიდუალური რეგულაციებით. კრიპტოვალუტის საგადასახადო დაბეგვრა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, სადაც საგადასახადო განაკვეთი 0-50%-მდეა.

კრიპტოვალუტის რეგულაცია საქართველოში

საქართველოში 2019 წლის 28 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გამოსცა საჯარო გადაწყვეტილება N201. ეს არის პირველი ნორმატიული აქტი, სადაც განმარტებულია თუ რა არის კრიპტოაქტივი და მასთან დაკავშირებული საგადასახადო დაბეგვრის ოპერაციები. (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201, 2019). დოკუმენტში კრიპტოაქტივი მოიცავს კრიპტოვალუტასაც - *„...კრიპტოგრაფიული ვალუტა (კრიპტოაქტივი)...“* და განმარტებულია,

როგორც *„...ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გაცვლა ხორციელდება ელექტრონულად, ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო შუამავალს, და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. კრიპტოაქტივი წარმოადგენს ღირებულების ციფრულ გამოხატულებას, მისი გამოშვება და გაცვლა ხორციელდება დეცენტრალიზებული კონსენსუსის მექანიზმით, ცენტრალური სანდო ემიტენტი და ზედამხედველი/მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე, ხოლო მასზე საკუთრების უფლება დასტურდება კრიპტოგრაფიული მეთოდებით...“*

აღნიშნული განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ემხრობა ევროპის ცენტრალური ბანკის ვირტუალური ვალუტების განმარტებას, რაც თავისთავად მოიცავს კრიპტოაქტივსაც. (European Central Bank, 2015)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებით, კრიპტოვალუტა, ისევე როგორც კრიპტოაქტივი, არ არის საქონელი *„...ელექტროენერგია, გაზი, წყალი, თბოენერგია, გაგრილების ენერგია და სხვა მსგავსი ქონება განიხილება მატერიალურ ქონებად. ფული (გარდა საკოლექციო ნიმუშის ან/და ნუმიზმატური დანიშნულების მონეტისა), აგრეთვე, კრიპტოგრაფიული ვალუტა (კრიპტოაქტივი), საქონლად არ განიხილება.“* (სსკ. მუხლი 160. ნაწილი 2). ასევე მომსახურების გაწევად არ განიხილება მათზე საკუთრების გადაცემა (სსკ. მუხლი 160[1]. ნაწილი 4.ბ.)

ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობით (საჯარო გადაწყვეტილება N201) ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს კრიპტოაქტივის მიწოდებით, გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. ასევე, კრიპტოვალუტის გაცვლა უცხოურ ვალუტაზე არ იბეგრება დღგ-თი. გარდა ამისა: *„გ) კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება:*

გ.ა) არ ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ ამ მომსახურების მიმღები წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ პირს ან საქართველოში არ გააჩნია მართვის ადგილი ან მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მიღებული მომსახურება.

...

გ.ბ) ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ ამ მომსახურების მიმღები წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ პირს ან საქართველოში გააჩნია მართვის ადგილი ან მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მიღებული მომსახურება.“ (საჯარო გადაწყვეტილება N201. ნაწილი 3. გადაწყვეტილება).

დღესდღეობით 8000-ზე მეტი სახეობის კრიპტოვალუტა არსებობს, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო კოდექსის ზემოთ მოყვანილ დაბეგვრის წესებს. გარდა ამისა, ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა არა გადაცვლადი ტოკენები (NFT), მაინინგი, სტეიკინგი (Staking), მეტავერსი და სხვა, დღესდღეობით არარეგულირებადი ან ნაკლებად რეგულირებადია.

მნიშვნელოვანია, რომ კრიპტოვალტის მაინინგზე, საქართველოში შეზღუდვები არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გადაწყვეტილება N201 დეტალურად განმარტავს კრიპტომაინინგის მნიშვნელობას, რთულია ბრძანებაში მაინინგის დაბეგვრის წესების ამოკითხვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ჩაითვლება თუ არა მაინინგიდან მიღებული შემოსავალი საქართველოდან მიღებული შემოსავლის წყაროდ, რომ გაირკვეს დასაბეგრი საქმიანობაა თუ არა ფიზიკური პირებისთვის.

მოგების (15%) და დივიდენდის (5%) გადასახადით იბეგრება იურიდიული პირის ყველა სახის საქმიანობა, კრიპტო მაინინგის ჩათვლით. დღგ-ს მიზნებისთვის კი, კრიპტოვალუტა ისევე აღიქმება როგორც ფული - ფული და კრიპტოაქტივები არ არის საქონელი და მათი გადარიცხვა არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას.

საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში (თიზ) ბევრი კომპანია მოიძებნება, რომელიც ახორციელებს კრიპტომაინინგს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თიზ-ში არსებული კომპანიები განთავისუფლებულია მოგების, დივიდენდის, ქონების და დღგ-ს გადასახადისგან. (საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიულიზონის შესახებ. მუხლი 9).

კრიპტოვალუტა შეიქმნა 2008 წელს და მისი გამოყენება 2009 წელს დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მხოლოდ 2019 წელს გამოსცა ოფიციალური დოკუმენტი, სადაც განმარტებულია კრიპტოაქტივი, კრიპტომაინინგი და მათი დაბეგვრის სახეები, მაინც ბუნდოვანია მასთან დაკავშირებული საგადასახადო და სამართლებრივი საკითხები. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კრიპტოსამყარო არ რჩება კანონის ფარგლებს გარეთ და გატარებული იქნა გარკვეული საგადასახადო და სამართლებლივი რეგულაციები.

დასკვნა

ციფრული აქტივების ინდუსტრია აგრძელებს განვითარებას დიდი სისწრაფით, რაც ქმნის საგადასახადო გაურკვევლობის კიდევ უფრო მაღალ დონეს. ვირტუალური ვალუტის გამოყენება ჯერ კიდევ ვაკუუმშია სამართლებლივი და საგადასახადო კონტროლის თვალსაზრისით მსოფლიოს მასშტაბით. წარმოშობილ გაურკვევლობას იწვევს კრიპტოვალუტის ბუნება და გაურკვეველი ხასიათი. ევროკავშირის შეხედულების თანახმად არსებობს დირექტივა, რომლის საფუძველზე

ვირტუალური ვალუტა შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ფული, თუმცა მას არ გააჩნია დირექტივით განსაზღვრული ფულადი აღიარება მისი მოპოვების ნაწილში. (DIRECTIVE 2009/110/EC, 2009) გამომდინარე იქიდან, რომ იგი არ არის შექმნილი მარეგულირებელი საბჭოს მიერ, ვერ ხერხდება მისი ვალუტად აღიარება, რაც ართულებს მისი სამართლებლივი საკითხების რეგულირებას.

კრიპტოვალუტის მაინინგი, სტეიკინგი და თრეიდინგი, როგორც ბიზნესი არ უნდა აიკრძალოს, პირიქით სახელმწიფომ უნდა შეუქმნას განვითარების პირობები, სწორმა და სამართლიანმა საგადასახადო რეჟიმმა უნდა დაარეგულიროს. ამისთვის მნიშვნელოვანია კრიპტოვალუტების შესახებ საგადასახადო დაბეგვრის მუხლების სრულყოფილად გაწერა, არაკონვერტირებადი ტოკენების, მეტავერსების და სხვა ვირტუალური ვალუტების მარეგულირებელი კანონპროექტის შექმნა. მისი კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევა შეამცირებს ისეთ რისკებს, როგორიცაა: ფულის გათეთრება, ანონიმურობა, კაპიტალის გატანა ქვეყნის გარეთ, ელექტროენერგიის პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო). საქართველოს 2021 წლის ელექტროენერგიის ბალანსი. 2021 https://esco.ge/files/data/Balance/energobalans_2021_geo.pdf
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკის გაფრთხილება. დეკემბერი. 2017 https://nbg.gov.ge/media/news/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94-2
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201. ივნისი. 2019 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4601215?publication=0
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 160. მუხლი 160¹. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part_201?publication=185
5. Cacioppoli V. Taxes and cryptocurrencies in the US and Italy. October. 2021 https://en.cryptonomist.ch/2021/10/24/taxes-cryptocurrencies-us-italy/)
6. Crypto Tax Guide Germany 2022. May. 2022 https://koinly.io/guides/crypto-tax-germany/
7. European Central Bank. Virtual currency schemes – a further analysis. February. 2015 https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemesen.pdf
8. EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL DIRECTIVE 2009/110/EC. September. 2009 https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:267:0007:0017:EN:PDF
9. Hayes A. What Happens to Bitcoin After All 21 million Are Mined? March. 2022 https://www.investopedia.com/tech/what-happens-bitcoin-after-21-million-mined/
10. Mark. Bitcoin Algorithm Explained. May. 2022 https://www.mycryptopedia.com/bitcoin-algorithm-

explained/#:~:text=Bitcoin%20Algorithm%3A%20Proof%20of%20work&text=Miners%20will%20use%20data%20from,variations%20of%20the%20input%20data

11. Martucci B. What Is Cryptocurrency – How It Works, History & Bitcoin Alternatives. April. 2022 https://www.moneycrashers.com/cryptocurrency-history-bitcoin-alternatives/
12. Official Journal of the European Union. DIRECTIVE 2009/110/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL September. 2009 https://eur-lex.europa.eu/Lex-UriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:267:0007:0017:EN:PDF
13. Orji C. Bitcoin ban: These are the countries where crypto is restricted or illegal. April. 2022 https://www.euronews.com/next/2022/04/27/bitcoin-ban-these-are-the-countries-where-crypto-is-restricted-or-illegal2
14. Santos R. Cryptocurrency Taxation in Portugal. 2022 https://fslegal.pt/en/cryptocurrency-taxation-in-portugal/
15. Torres O. FinCEN Crypto & Ransomware Guidance: Will 2022 Bring More Changes? January. 2022 https://www.jdsupra.com/legalnews/fincen-crypto-ransomware-guidance-will-2556933/#-:~:text=FinCEN%20defines%20the%20term%20%E2%80%9Cvirtual,attributes%20of%20'real'%20currency%E2%80%A6

Cryptocurrency - Judicial Aspects and Tax Regulations

Tamar Barbakadze
TSU PhD Student

SUMMARY

Our life has largely become digital in the era of technological development, in other words, we live in a virtual world. This fact has led to an increase in the use and popularity of cryptocurrency.

Cryptocurrency is a digital, encrypted and decentralized medium of exchange created by individuals or groups. Their value and supply are controlled not by the decisions of central banks, government bodies or other regulatory structures, but by the actions of users and complex protocols built into their governing codes. That is why they are considered alternative currencies - means of financial exchange that exist outside the boundaries of government monetary policy.

Many things change rapidly in the crypto world, including tax rules. Approaches to the taxation of cryptocurrencies vary significantly from country to country. Selling virtual currencies, exchanging them, using them to purchase goods or services, keeping them as an investment - in itself involves tax liability. Some of them introduced some innovations in the taxation of virtual currencies and considered it as a source of income or an asset that creates capital formations. However, there is still debate whether virtual currency is

currency, source of income, asset or security. The legal and tax status of digital currencies is still unclear.

The legal aspects surrounding crypto-currency and taxation issues are discussed in the paper, using the examples of EU countries and Georgia.

Keywords: cryptocurrency; crypto asset; virtual currency; Tax Code; taxable operation.

მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და როლი მდგრად განვითარებაში

ბექა ბაიაშვილი
თსუ მაგისტრანტი

მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ორგანიზაციების მკვლევრები და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის დედამიწაზე რესურსების მოხმარების დონე საგრძნობლად გაიზრდება. პროგნოზების მიხედვით ზრდამ შეიძლება პროპორციულად სამჯერ დიდი მასშტაბის პლანეტის რესურსები მოითხოვოს. ეს გამოიწვევს რესურსების დეფიციტს, საკუთრების უფლებათა პრობლემს და ბაზრების დერეგულირებას. აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, მსოფლიოში პოპულარული გახდა მდგრადი განვითარების, წრიული და მწვანე ეკონომიკის კონცეფციები. საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, აუცილებელია მათ შორის სწორი თეორიული კავშირების წარმოჩენა, რათა, შემდგომ ეტაპზე, სწორად განისაზღვროს დანერგვის პოლიტიკა. ნაშრომში წარმოდგენილია წრიული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და როლი მდგრად განვითარებაში. აღნიშნულის მისაღწევად, გადაწყდა შემდეგი დასახული ამოცანები: შესაბამის თეორიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მდგრადი განვითარების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა; მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული მოდელის საფუძვლების წარმოჩენა და მათი შედარება ტრადიციულ სწორხაზოვან ეკონომიკასთან და ბოლოს, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მდგრად განვითარებაში მწვანე და წრიული ეკონომიკის როლის და მათ შორის კავშირის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: *წრიული ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება*

მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ორგანიზაციების მკვლევრები და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის დედამიწაზე რესურსების მოხმარების დონე საგრძნობლად გაიზრდება. პროგნოზების მიხედვით ზრდამ შეიძლება პროპორციულად სამჯერ დიდი მასშტაბის პლანეტის რესურსები მოითხოვოს (UN, 2020). ეს გამოიწვევს რესურსების დეფიციტს, საკუთრების უფლებათა პრობლემს და ბაზრების დერეგულირებას (Jackson, 2009; Sachs, 2015).

აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, მსოფლიოში პოპულარული გახდა მდგრადი განვითარების, წრიული და მწვანე ეკონომიკის კონცეფციები. საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, აუცილებელია მათ შორის სწორი თეორიული კავშირების წარმოჩენა, რათა, შემდგომ ეტაპზე, სწორად განისაზღვროს დანერგვის პოლიტიკა.

ბიზნეს სექტორის როლის მონიტორინგი და მათი საქმიანობის მოდელების შეცვლა სწორხაზოვანიდან მდგრადი მოდელებისაკენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოდელი ამ კუთხით არის წრიული (ცირკულარული) ეკონომიკა. ტრადიციული ეკონომიკური ხედვის მთავარ შემცვლელად კი მწვანე ეკონომიკა მოიაზრება.

კვლევის მიზანია, ბიბლიოგრაფიული ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და როლი მდგრად განვითარებაში. აღმოაჩინოს მწვანე და წრიული ეკონომიკის კავშირი როგორც მდგრად განვითარებასთან, ასევე ერთმანეთთან. მიზნის მისაღწევად დავისახეთ ამოცანები: შესაბამის თეორიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მდგრადი განვითარების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა; მწვანე და წრიული ეკონომიკის თეორიული მოდელის საფუძვლების წარმოჩენა და მათი შედარება ტრადიციულ სწორხაზოვან ეკონომიკასთან და ბოლოს, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მდგრად განვითარებაში მწვანე და წრიული ეკონომიკის როლის და მათ შორის კავშირის დადგენა.

კვლევის თეორიული, მეთოდოლოგიური და ემპირიული საფუძვლებია საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მაკკინზის გლობალური ინსტიტუტი) ანგარიშები და უცხოელი და ქართველი მეცნიერ-მკვლევრების ნაშრომები, კერძოდ: ჯ. ელკინგტონის, ნ. ბოკენის, პ. სავაგეტის, ე. ჰულსინკის, პ, ლეისის, ი. რუთქვისტის, ნ. მეის, კ. შაბაზის, ე. გულდმანის, ი. გაგნიძის, დ. ადეიშვილის ნაშრომები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, ინდუქციისა (კონკრეტულად, მსგავსებისა და განსხვავების დაკავშირების მეთოდი) და დედუქციის, ანალოგიისა და კორელაციის, ასევე შედარების მეთოდი.

მდგრადი განვითარება - მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

გაეროს მდგრადი განვითარების მიმართულებით ოფიციალურ საიტზე[1] 2015 წელს გამოქვეყნებულ სამგვერდიან პუბლიკაციაში „მდგრადი განვითარების ცნება: განმარტება და პრინციპების განსაზღვრა“, ვკითხულობთ, რომ მსოფლიოში მდგრადი განვითარების არაერთი განმარტება არსებობს, მაგრამ ამ მოდელის

[1] sustainabledevelopment.un.org

ძირითადი მიზანია ეკონომიკისა და გარემოს გრძელვადიანი სტაბილურობა. ამის მიღწევა მხოლოდ ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების ინტეგრაციითაა შესაძლებელი (Emas, 2015).

დიაგრამაზე 1 წარმოდგენილია მდგრადი განვითარების სამი საკვანძო, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტის ურთიერთკავშირი. ერთმანეთთან გადაკვეთის ადგილებში ეს სამი მახასიათებელი წარმოქმნის სოციო-ეკოლოგიურ, გარემოსდაცვით ეკონომიკურ და სოციო-ეკონომიკურ ასპექტებს. სამივეს გადაკვეთის წერტილი კი მდგრად განვითარებას ასახავს.



დიაგრამა 1. მდგრადი განვითარების გრაფიკული გამოსახულება (ეფუძნება ჯ. ელკინგტონის „3P-ის“ კონცეფციას) [2]

სამეცნიერო განხილვებში, მდგრადი განვითარება აღწერილია როგორც მუდმივი შემოსავლების შენარჩუნება, სამარაგო რესურსების უკონტროლო განადგურების გარეშე. ეს ხედვა, შეგვიძლია, ეკოლოგიურ ასპექტად მივიჩნიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემოსდაცვითი ასპექტის გარდა, გასათვალისწინებელია სოციალურიც, რომელიც გულისხმობს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მათი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, ხელი მიუწვდებათ აუცილებელ რესურსებზე, როგორებიცაა საკვები, საცხოვრებელი, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და ა.შ. (civiceducation.ge). ეკონომიკური ასპექტის მიხედვით კი, საზოგადოება ეკონომიკურ განვითარებას აღწევს ისე, რომ არ აზიანებს არც სოციუმს და არც ეკოლოგიას.

2015 წელს, მსოფლიოს მდგრადი განვითარების სამიტზე ქვეყნების ლიდერებმა მიიღეს გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი 169 ინდიკატორით. აღ-

[2] https://www.investopedia.com/terms/t/triple-bottom-line.asp

ნიშნული მიზნების მიღწევა დაგეგმილია 2030 წლისთვის. მდგრადი განვითარების მიზნებმა ჩაანაცვლა ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs) და დაეფუძნა მათი 15-წლიანი ციკლის (2000-2015წწ.) საბოლოო შედეგებს.

წარმოებაში მდგრადი განვითარების როლის საჩვენებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, ევროკომისიის ვებგვერდზე არსებულ პოლიტიკურ და სამეცნიერო სტატიებში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ (ინდუსტრიული რევოლუცია 5.0, Industry 5.0).

მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია კვლევასა და ინოვაციებს მდგრადი, ადამიანზე კონცენტრირებული და მედეგი ინდუსტრიის შექმნისკენ მიმართავს, რითაც ავსებს ინდუსტრიულ რევოლუცია 4.0-ს (European Commission, 2022).



დიაგრამა 2. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის ძირითადი მახასიათებლები ევროკომისიის დოკუმენტის მიხედვით[3]

დიაგრამაზე 2 ასახულია მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის სამი ძირითადი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც რევოლუციის ეს ეტაპი ხასიათდება ადამიანის განათლებაზე, მრავალფეროვნებასა და გაძლიერებაზე ზრუნვით. ასევე, უზრუნველყოფს დედამიწის მდგრად განვითარებას და არის კრიზისებისადმი მედეგი.

მწვანე და წრიული ეკონომიკის კონცეფციის თეორიული საფუძვლები

ტერმინი, „მწვანე ეკონომიკა“ ახალია და პირველად 1989 წელს ნაშრომში „მწვანე ეკონომიკის პროექტი“ („Blueprint for a Green Economy“) დ. პირსმა, ა.

[3] წყარო: ევროკომისიის ბროშურა, https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/aed3280d-70fe-11eb-9ac9-01aa75ed71a1

მარკანდიამ და ე. ბარბიერმა გამოიყენეს. მას შემდეგ, ტერმინი და კონცეფცია სულ უფრო პოპულარული გახდა (დათუნაშვილი, 2019).

საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აქტიურობა ამ მიმართულებით. მაგალითად, 2020 წელს ე.წ. „ევროპული მწვანე გარიგების“ მიზნების მისაღწევად შეიქმნა წრიული (ცირკულარული) ეკონომიკის დანერგვის გეგმა (Switch2Green, 2020). მნიშვნელოვან საკითხად იქცა მწვანე დაფინანსების საკითხიც. 2021 წლის ანგარიშის თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მწვანე დაფინანსებამ რეკორდულ, 5,4 მლრდ ევროს მიაღწია და მთლიანი ბიზნესმოცულობის 51% შეადგინა. 2020 წლის 29%-იანი მაჩვენებლიდან შესამჩნევი ზრდა განაპირობა EBRD-ის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის (GET) მიდგომამ. 2021 წლის ივლისში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესდა ორმაგი ვალდებულება, რომელიც თითოეულ ინვესტიციას პარიზის შეთანხმების ჩარჩოებით შეზღუდავს. EBRD-ის მიზანია, 2025 წლის ბოლოსთვის მისი ინვესტიციების დიდი ნაწილი მწვანე იყოს (გერგედავა, 2022).

მწვანე ეკონომიკის კონცეფციის მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, მისი ახსნის არაერთი გზა არსებობს. ამ კონცეფციის გააზრების საუკეთესო მიდგომა, სავარაუდოდ მისი პრინციპების განხილვაა. ეს დაგვანახებს ტერმინისა და მნიშვნელობის იმაზე უკეთეს სურათს, ვიდრე რაიმე ერთი სპეციფიკური განმარტების ჩამოყალიბება. მაგალითად, გაეროს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა დეპარტამენტმა (United Nations Department of Social and Economic Affairs - UNDESA) განიხილა მწვანე ეკონომიკის პრინციპების რვა სხვადასხვა ჩამონათვალი (Allen, 2012) და ჩამოაყალიბა სიხშირით ყველაზე აქტუალური თერთმეტი პრინციპი: 1. მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიღწევის საშუალებაა; 2. მწვანე ეკონომიკამ უნდა შექმნას ღირსეული და „მწვანე“ სამუშაო ადგილები; 3. მწვანე ეკონომიკა არის რესურს- და ენერგოეფექტიანი; 4. მწვანე ეკონომიკა პატივს სცემს პლანეტის შესაძლებლობებს, ეკოლოგიურ შეზღუდვებს და რესურსების სიმცირეს; 5. მწვანე ეკონომიკა იყენებს გადაწყვეტილების ინტეგრირებულად მიღების მეთოდს; 6. მწვანე ეკონომიკა პროგრესს ზომავს მშპ-ისგან განსხვავებული შესაბამისი ინდიკატორებით; 7. მწვანე ეკონომიკის მიდგომა არის სამართლიანი, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი ქვეყანაში, ქვეყნებს და ასევე თაობებს შორის. 8. მწვანე ეკონომიკა იცავს ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემას; 9. მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს სიღარიბის შემცირებას, კეთილდღეობას, საარსებო წყაროს, სოციალურ დაცვასა და აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობას; 10. მწვანე ეკონომიკა აუმჯობესებს მმართველობას და კანონის უზენაესობას. ის არის ინკლუზიუ-

რი, დემოკრატიული, მონაწილეობითი, ანგარიშგებითი, ღია და სტაბილური; 11. მწვანე ეკონომიკა გარე ფაქტორებს შიდა ფაქტორებად გარდაქმნის (Allen, 2012).

მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ზრდის კონცეფციის გამოჩენა ცვლის ტრადიციულ ეკონომიკურ პარადიგმას ისეთი განვითარების მიმართულებით, რომელიც წინა პლანზე წევს მდგრად გარემოსდაცვით საკითხებს. ტრადიციული ეკონომიკური მოდელები მიდრეკილია, იქითკენ, რომ მწვანე ეკონომიკის საკითხები ეკონომიკურ ტვირთად განიხილოს და თვლის, რომ გარემოს დაცვა ანელებს ეკონომიკური ზრდის ტემპს. მწვანე ზრდის მოდელის თანახმად კი, გარემოს დაცვისა და რესურსების შენარჩუნებისკენ გადადგმული ნაბიჯები გლობალური ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალად შეიძლება იქცეს. ეკონომიკური ზრდა რისკის ქვეშ აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ მწვანე ეკონომიკის პარადიგმა ეკონომიკურ მეცნიერებაში წამყვან მიმართულებად დღევანდელი დღიდანვე არ დაინერგა (Stevens, 2011).

COVID-19-ის პანდემიის შემდეგ ეკონომიკური აღდგენა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. იმ შემთხვევაში, თუ აღდგენის პროცესი დაეფუძნება მწვანე პრინციპებს, შეგვიძლია მას „მწვანე აღდგენა“ (Green Recovery) ვუწოდოთ. მწვანე აღდგენა მწვანე ეკონომიკის მიღწევისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება. პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. ზემოქმედება ვრცელდება მწვანე ეკონომიკაზეც.

გრძელვადიან პერსპექტივაში, მწვანე ზრდა უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, როგორც მომავალი თაობების საარსებო წყაროს. მთელ მსოფლიოში, სახელმწიფო დიდი მოცულობის ინვესტიციები იხარჯება ეკონომიკური აღდგენისთვის. ეს ქმნის შესაძლებლობას დააჩქაროს გადასვლა მდგრად, მომავალზე დაცულ ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებზე, ეს კი ორმაგი დივიდენდის მიღების შესაძლებლობაა (GIZ, 2022).

წრიული ეკონომიკის კონცეფციას საფუძველი 1970-იანი წლებიდან ჩაეყარა (Ellen MacArthur Foundation, 2013). ბიძგის მიმცემი იყო კენეტ ბოულდინგის 1966 წლის პუბლიკაცია, რომელშიც დედამიწა განხილულია როგორც ჩაკეტილი და წრიული სისტემა შეზღუდული რესურსებით. ავტორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს შენარჩუნების თანხვედრით, რაიმე წონასწორული წერტილის აღმოჩენა (Boulding, 1966).

დიაგრამაზე 3 ასახულია სწორხაზოვანი და წრიული ეკონომიკის მოდელები, რომელთა შორის განსხვავება ისაა, რომ წრიული ეკონომიკის მთავარი არსია რესურსების ეფექტიანი გამოყენებისკენ სწრაფვა ჭარბი მოხმარების შემცირების; პირველხარისხოვანი რესურსების გრძელვადიანი გამოყენების, ფლანგვის შეჩერების; პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების წრიული გამოყენების

გზით. აქედან გამომდინარე, ეს მოდელი ბოულდინგის წონასწორული წერტილის მიღწევის იდეალისტური ვარიანტია.



დიაგრამა 3. სწორხაზოვანი და წრიული ეკონომიკების შედარება
(შემუშავებულია ავტორის მიერ)

წრიულ ეკონომიკას შეუძლია მდგრადი განვითარების მთავარ მოდელად იქცეს, რადგან სწორხაზოვანი ეკონომიკა გარემოზე მავნედ ზემოქმედებს და იწვევს რესურსების ამოწურვას (ZeroWIN, 2010). იგივეს იმეორებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014 წლის მოხსენება „წრიული ეკონომიკისაკენ“ (WEF, 2014).

ევროპარლამენტის სტატიის „Circular economy: definition, importance and benefits“ მიხედვით, პრაქტიკაში წრიული ეკონომიკა გულისხმობს ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას. როდესაც პროდუქტი სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე მიაღწევს, მისი შემადგენელი მასალა უნდა დარჩეს ეკონომიკაში რაც შეიძლება დიდხანს. ამ მასალის ხელახალი ნაყოფიერი გამოყენებით იქმნება დამატებითი ღირებულება (EP, 2022).

2022 წლის 30 მარტს ევროკავშირმა დაიწყო მუშაობა ახალ კანონზე, რომლის მიხედვითაც, ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე ახალი რეგულაციები დაწესდება. კერძოდ, წარმოებულ სმარტფონებს, ტანსაცმელს და ავეჯს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი, მარტივად ეცვლებოდეს დაზიანებული ნაწილი და მარტივად შეიძლებოდეს მათი გადამუშავება. მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შეძლებს მწარმოებელი, საკუთარი პროდუქტის ევროპის ბაზარზე რეალიზაციას (Euractiv, 2022).

მწვანე და წრიული ეკონომიკის როლი მდგრად განვითარებაში, არსობრივი და მიზნობრივი კავშირები

სხვადასხვა ლიტერატურაში წრიულ ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის სხვადასხვა სახეობის კავშირია დანახული, რომელთა ძირითადი ნაწილიც წარმოდგენილია დანართში 1.

დანართში 1 მოცემული ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ამ მოდელებს შორის არსებობს უშუალო პირობითი კავშირი, რომელიც შესაძლოა იყოს **არამკაცრი** (Läpple, 2007; Rashid, 2013), **მკაცრი** (Bakker & Hollander, 2014; UNEP, 2006) და **არასაკმარისი** (Nakajima, 2000).

გარდა ამისა, სხვადასხვა ლიტერატურაში ზემოაღნიშნულ მოდელებს შორის კავშირი დანახულია როგორც ურთიერთსასარგებლო ან უკიდურესად ქვესიმრავლური. არის მოსაზრებები, რომ მდგრად განვითარებასა და წრიული ეკონომიკის ფუნდამენტებს შორის საზოგადოებას გარკვეული არჩევანის გაკეთება მოუწევს და ეს ორი მოდელი კომპრომისულ კავშირშია.

წრიული ეკონომიკის კონცეფციაზე დაკვირვებით და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ის მდგრადი განვითარების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომელიც ორიენტირებულია ბიზნეს სექტორზე.

იმისათვის, რომ მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის არსებული კავშირი დავინახოთ, გაეროს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ ჩამოყალიბებული მწვანე ეკონომიკის პრინციპები შევადაროთ გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანს.

დანართში 2 მოცემულია მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის კავშირი. პირველ სვეტში მოცემულ მწვანე ეკონომიკის ნებისმიერ პრინციპს შეიძლება მოეძებნოს მდგრადი განვითარების მინიმუმ ერთი შესაბამისი მიზანი. ეს კი ადასტურებს მწვანე ეკონომიკის პირველ პრინციპს, რომელიც ცხრილში შეგნებულად არის გამოტოვებული. კერძოდ, „მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიღწევის საშუალებაა“. ცხრილის ანალიზით ვადგენთ, რომ რადგან მწვანე ეკონომიკის ნებისმიერ პრინციპს მოეძებნება მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზანი, ის ნამდვილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მდგრადი განვითარების მიღწევის საშუალებად.

მწვანე ეკონომიკა გულისხმობს ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დიაგრამაზე 1 გამოსახული ურთიერთკავშირის ეკონომიკის მიმართულების დანარჩენ ორ კომპონენტთან შესაბამის ბმას.

მდგრადი განვითარების მისაღწევად და აღნიშნული სამი საკვანძო საკითხის ერთმანეთთან ეფექტიანი კავშირისთვის აუცილებელია ერთგვარი დამაკავშირებელი კონცეფციების შემუშავება. კვლევამ აჩვენა, რომ სწორედ ასეთ კონცეფციებს წარმოადგენს წრიული და მწვანე ეკონომიკა.



დიაგრამა 4. მწვანე და წრიული ეკონომიკის როლი მდგრადი განვითარების კონცეფციაში[4]

წრიული ეკონომიკა ფარავს გარემოსდაცვით-ეკონომიკურ ასპექტებს, ვინაიდან გულისხმობს ისეთი ბიზნეს მოდელების წარმოებაში დანერგვას, რომელიც გარემოს ნაკლებ ზიანს მიაყენებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიაგრამაზე 4, წრიული ეკონომიკა მდგრადი განვითარების მოდელში არის ორმხრივად დაშტრიხული A არეალი.

იმისათვის, რომ მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების კონცეფციების კავშირი დავინახოთ, დავუბრუნდეთ დანართს 2. დანართის ცხრილის მეორე სვეტში მოცემულია ის, თუ მწვანე ეკონომიკის რომელი პრინციპი, თეორიულად, დიაგრამაზე 1 მოცემულ რომელ არეალში მდებარეობს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ პრინციპები მოიცავს გარემოსდაცვით-ეკონომიკურ და ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებს ერთად. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ დიაგრამაზე 4 მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკას შორის კავშირი წარმოდგენილია დაშტრიხული არეალების ჯამით, ანუ A+B.

იმის გათვალისწინებით, რომ A არეალი ეკუთვნის A+B არეალს ($A \in \{A, B\}$), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წრიული ეკონომიკა მწვანე ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, რადგან ფარავს გარემოსდაცვით-ეკონომიკურ ასპექტებს.

დასკვნა

ამრიგად, მდგრადი განვითარება თანამედროვეობის უალტერნატივო განვითარების ვარიანტია, რადგან რესურსების არაეფექტიანი გამოყენება პლანეტის სიცოცხლისუნარიანობას საფრთხეს უქმნის. მდგრადი განვითარება კი გვთავაზობს მიდგომას რომლის არსიც აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზაა და გულის-

[4] გრაფიკული გამოსახულება დაფუძნებულია ჯონ ელინგტონის „3P-ის კონცეფციაზე და განვითარებულია ავტორის მიერ.

ხმობს ეფექტიანობის ზრდას მაქსიმალურად ნაკლები რესურსის გამოყენების პარალელურად. კონცეფციის სამი ძირითადი საწყისია გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები, როგორც ეს ჩანს დიაგრამაზე 1.

გამოყენებულ ლიტერატურაში არ მოიძებნება წრიული და მწვანე ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან თეორიული კავშირი, თუმცა საკმარისი ინფორმაცია ამ კავშირის კვლევაში საჩვენებლად არსებობს და წარმოდგენილია.

კვლევამ აჩვენა, რომ მდგრად განვითარებას, წრიულ ეკონომიკასა და მწვანე ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. კერძოდ, მწვანე ეკონომიკა მოიცავს გარემოსდაცვით-ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. წრიული ეკონომიკა კი — მხოლოდ გარემოსდაცვით-ეკონომიკურ ასპექტს. ეს კავშირი ნაჩვენებია დიაგრამაზე 4.

წრიული და მწვანე ეკონომიკის მოდელების როლის დანახვა მდგრად განვითარებაში, პოლიტიკის დაგეგმვის უკეთეს საშუალებას მოგვცემს. უკვე ნათელია, რა ასპექტებზე იმოქმედებს აღნიშნული ორი მოდელი და, შესაბამისად, გვაძლევს შესაძლებლობას, მეტი სიზუსტით დავგეგმოთ მათი დანერგვის პოლიტიკა. ტრადიციული ეკონომიკური მიდგომების წრიული და მწვანე ეკონომიკით შეცვლა კი აუცილებელი და უალტერნატივოა, რაზეც მეტყველებს კვლევაში წარმოდგენილი საგანგაშო მონაცემები ნარჩენების მართვის და რესურსების არაეფექტიანად გამოყენების მიმართულებით.

საბოლოოდ, წრიული და მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიღწევის საშუალება და ნაწილია. თავის მხრივ, წრიული ეკონომიკა კი მწვანე ეკონომიკის შემადგენელი თეორიაა და ბიზნეს სექტორის მდგრადი განვითარების საკითხებს მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელერდაშვილი, ა. (2006). *უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად].* თბილისი: ფანტაზია.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021ა). *გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება.* მოპოვებული 2022 წლის 04, საქართველოს ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure-დან
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2021ბ). *მდგრადი დაფინანსების ანგარიში.* მოპოვებული 2022 წლის 04, საქართველოს ეროვნული ბანკი: https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%-დან

4. Allen, C. (2012). *A guidebook to the green economy. Issue 2: exploring green economy principles.* United Nations Department of Economic and SocialAffairs (UNDESA): United Nations Division for Sustainable Development.
5. Allwood, J., & Cullen, J. (2012). *Sustainable materials: With both eyes open.* Cambridge: UIT Cambridge Ltd.
6. Andersen, M. (2007). *An introductory note on the environmental economics of the circular economy.*
7. Bakker, C., & Hollander, M. (2014). *Products That Last - Product design for circular business models.* Delft.
8. Barbier, E. (2009). *A global green new deal. United Nations Environment Programme - Economics and Trade Branch.* New York.
9. Bocken, N. (2015). *Value mapping for sustainable business thinking.*
10. Boulding, K. (1966). *The Economics of the Coming Spaceship Earth.* მოპოვებული 2020 წლის 1 მაისი, http://www.ub.edu: http://www.ub.edu/prometheus21/articulos/obsprometheus/BOULDING.pdf-დან
11. Brown, Becky, J., Mark, E., Liverman, D., & Merideth, R. (1987). *Global Sustainability: Toward Definition.*
12. Cambridge Econometrics. (2018). *Impacts of circular economy policies on the labour market.*
13. Carlowitz, H. (1713). *Sylvicultura Oeconomica: Hausswirthliche Nachricht.*
14. civiceducation.ge. (თ. გ.). *მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები* . მოპოვებული 2020 წლის 1 მაისი, www.civiceducation.ge: https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27-დან
15. Ellen MacArthur Foundation. (2013). *the Circular Economy.* Isle of Wight.
16. Emas, R. (2015). *The Concept of Sustainable Development: Definition and Defining Principles.*
17. EP. (2022 წლის 26 04). *Circular economy: definition, importance and benefits*. მოპოვებული 2022 წლის 04, European Parliament: https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/economy/20151201STO05603/circular-economy-definition-importance-and-benefits-დან
18. EU. (2020). *A new Circular Economy Action Plan For a cleaner and more competitive Europe.* Brussels.
19. Euractiv. (2022). *EU pushes new "circular economy" rules for everyday items*. მოპოვებული 2022 წლის აპრილი, Euractiv: https://www.euractiv.com/section/circular-economy/news/eu-pushes-new-circular-economy-rules-for-everyday-items/-დან
20. European Commission. (2015). *Closing the loop - An EU action plan for the Circular Economy.* Brussels: European Commission.
21. European Commission. (2022). *Industry 5.0*. მოპოვებული 2022 წლის 04, ec.europa.eu: https://ec.europa.eu/info/research-and-innovation/research-area/industrial-research-and-innovation/industry-50_en?fbclid=IwAR0nzjNde43kr0aVTAjlq778Dp0HHEidhyEJamT7oOw1RK-Qj5UE8yeXp3WI-დან
22. Geissdoerfer, M., Bocken, N., Savaget, P., & Hultink, E. (2017). The Circular Economy – A new sustainability paradigm? *Journal of Cleaner Production*, 757–768.
23. GIZ. (2022). *Green Recovery*. მოპოვებული 2022 წლის 06, giz.de: https://www.giz.de/en/our-services/99580.html-დან
24. Jackson, T. (2009). *Prosperity without growth. Economics for a finite planet.* London, New York.: Earthscan.
25. Lacy, P., & Rutqvist, J. (2015). *Waste to Wealth.* Palgrave Macmillan.

26. Läpple, F. (2007). *Abfall- und kreislaufwirtschaftlicher Transformationsprozess in Deutschland und in China: Analyse, Vergleich, Übertragbarkeit.* Heidelberg: Universität Heidelber.
27. Murray, A., & Skene, K. (2015). *The Circular Economy: An Interdisciplinary Exploration of the Concept and Application in a Global Context.*
28. Nakajima, N. (2000). *A Vision of Industrial Ecology: State-of-the-Art Practices for a Circular and Service-Based Economy.*
29. Ocampo, J., Cosbey, A., & Khor, M. (2011). *The transition to a green economy: benefits, challenges and risks from a sustainable development perspective.*
30. OECD. (2009). *Sustainable Manufacturing and Eco-Innovation: Framework, Practices and Measurement.* Paris: Organisation for Economic Cooperation and Development.
31. Partners for Inclusive Green Economies. (2020). *Global institutions unite for a green and fair COVID recovery*. მოპოვებული 2022 წლის 06, Green Recovery: https://www.greeneconomycoalition.org/news-and-resources/global-institutions-unite-for-a-green-and-fair-covid-recovery-დან
32. Rashid, A. (2013). *Resource Conservative Manufacturing: an essential change in business and technology paradigm for sustainable manufacturing.*
33. Sachs, J. (2015). *The Age of Sustainable Development.* Columbia University Press.
34. Seliger, G. (2007). *Sustainability in manufacturing: Recovery of resources in product and material cycles.* Heidelberg.
35. Stevens, C. (2011). *Agriculture and Green Growth.* OECD.
36. Switch2Green. (2020). *The EU leads global efforts on the Circular Economy with its new Action Plan (2020)*. მოპოვებული Switch2Green: https://www.switchtogreen.eu/the-eu-leads-global-efforts-on-the-circular-economy-with-its-new-action-plan/-დან
37. The European Green Deal. (2020). *Circular Economy Action Plan.*
38. UN. (2020). *Goal 12: Ensure sustainable consumption and production patterns.* მოპოვებული 2020 წლის აპრილი, www.un.org: https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-consumption-production/-დან
39. UNEP. (2006). *Circular Economy. An alternative model for economic development.* United Nations Environment Programme.
40. UNEP. (2011). *Towards a green economy: pathways to sustainable development and poverty eradication*. მოპოვებული 2022, http://www.unep.org/greeneconomy-დან
41. WEF. (2014). *Towards the Circular Economy: Accelerating the scale-up across global supply chains.* WEF.
42. www.sustainability.com. (2022). *Green New Deals: The Role of Business*. მოპოვებული 2022, www.sustainability.com: https://www.sustainability.com/thinking/green-new-deals-the-role-of-business/-დან
43. Zero Waste. (2022). *Zero Waste*. მოპოვებული 2020 წლის 04, www.addisoncountyrecycles.org: https://www.addisoncountyrecycles.org/recycling/reduce-reuse/zero-waste?fbclid=IwAR32boerxjRFVKJucuti_zzMfCUWmG_2B45rDVjx5CBjJE1mOmb3P0kulDQ-დან
44. ZeroWIN. (2010). *Towards Zero Waste in Industrial Networks. "Approaches to Zero Waste". .*
45. ადეიშვილი, დ. (1992). საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის. *ჟურნალი „ეკონომისტი"*, #12.

46. გერგედავა, მ. (2022). *მდგრადი ფინანსები – ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა.* მოპოვებული 2022 წლის 05, sustainability.ge: https://sustainability.ge/sustainable-fin/-დან
47. დათუნაშვილი, ლ. (2019). „მწვანე ეკონომიკა“ და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. *Researchgate*. მოპოვებული 2022 წლის 04, https://www.researchgate.net/publication/334747322_mtsvane_ekonomika_da_soplis_meurneobis_mdgradi_ganvitareba-დან

კავშირის სახეები წრიულ ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას (მგ) შორის

ძირითადი მიმართულება	კავშირის ტიპი	წრიული ეკონომიკა დანახულია, როგორც...	მაგალითი ლიტერატურაში	გრაფიკული გამოსახვა
პირობითი	პირობითი კავშირი	...მგ-ის ის ერთ-ერთი პირობა	(Läpple, 2007) (Rashid, 2013)	
	მკაცრი პირობითი კავშირი	...მგ-ზე გადასვლის ძირითადი პირობა	(Bakker & Hollander, 2014) (UNEP, 2006)	
	საჭირო მაგრამ არასაკმარისი პირობითი კავშირი	...აუცილებელი მაგრამ არასაკმარისი პირობა მგ-ისთვის	(Nakajima, 2000)	
სასარგებლო	ურთიერთსასარგებლო კავშირი	...სარგებლის მომტანად მგ-ისთვის, პირობითი კავშირის გარეშე	(European Commission, 2015)	
	ქვესიმრავლური კავშირი	...მგ-ის ერთ-ერთი ქვესიმრავლე	(Allwood & Cullen, 2012) (Bocken, 2015) (Seliger, 2007)	
	ხარისხობრივი კავშირი	მგ-ის მიღწევის ხარისხის მაჩვენებელი	(OECD, 2009)	
კომპრომისული	ხარჯი/მოგება კავშირი	...გარკვეულად დადებითი და უარყოფითი შედეგის მომტანი მგ-ისთვის	(Andersen, 2007)	
	არჩევითი კავშირი	...მგ-ის გარკვეული ასპექტების წამახალისებელი და დამაზიანებელი სხვებისა	(Murray & Skene, 2015)	

წყარო: Geissdoerfer, Bocken, Savaget, & Hultink, 2017

მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის კავშირი

მწვანე ეკონომიკის პრინციპი	მწვანე ეკონომიკის პრინციპის თეორიული სახეობა	მდგრადი განვითარების მიზანი
მწვანე ეკონომიკამ უნდა შექმნას ღირსეული და „მწვანე“ სამუშაო ადგილები	სოციო-ეკონომიკური	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
მწვანე ეკონომიკა არის რესურს- და ენერგოეფექტიანი	გარემოსდაცვით-ეკონომიკური	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
მწვანე ეკონომიკა პატივს სცემს პლანეტის შესაძლებლობებს, ეკოლოგიურ შეზღუდვებს და რესურსების სიმცირეს	გარემოსდაცვით-ეკონომიკური	მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება
მწვანე ეკონომიკა იყენებს გადაწყვეტილების ინტეგრირებულად მიღების მეთოდს	სოციო-ეკონომიკური	მიზანი 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად
მწვანე ეკონომიკა პროგრესს ზომავს მშპ-ისგან განსხვავებული შესაბამისი ინდიკატორებით	სოციო-ეკონომიკური	**მდგრადი განვითარების 17 მიზანს ჯამში 169 ინდიკატორი აქვს.**
მწვანე ეკონომიკის მიდგომა არის სამართლიანი, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი ქვეყანაში და ქვეყნებს, ასევე თაობებს შორის	სოციო-ეკონომიკური	მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები
მწვანე ეკონომიკა იცავს ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემებს	გარემოსდაცვით-ეკონომიკური	მიზანი 14 - ოკეანისა და ზღვის რესურსი მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები
მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს სიღარიბის შემცირებას, კეთილდღეობას, საარსებო წყაროს, სოციალურ დაცვასა და ხელმისაწვდომობას აუცილებელ სერვისებზე	სოციო-ეკონომიკური	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა
მწვანე ეკონომიკა აუმჯობესებს მმართველობას და კანონის უზენაესობას. ის არის ინკლუზიური, დემოკრატიული, მონაწილეობითი, ანგარიშგებითი, ღია და სტაბილური	სოციო-ეკონომიკური	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები მიზანი 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად
მწვანე ეკონომიკა გარე ფაქტორებს შიდა ფაქტორებად გარდაქმნის	გარემოსდაცვით-ეკონომიკური, სოციო-ეკონომიკური	მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

The Theoretical Basis of Green and Circular Economy and their Role in Sustainable Development

Beka Baiashvili
TSU Master Student

SUMMARY

Researchers and scientists of world-renowned research organizations assume that by 2050 the level of consumption of resources on earth will increase significantly. According to projections, growth may require three times as much of the planet's resources. This will lead to resource scarcity, property rights problems, and deregulation of markets. To deal with the mentioned challenges, the concepts of sustainable development and circular and green economy have become popular worldwide. Due to the urgency of the issues, it is necessary to present the correct theoretical connections between them to define the implementation policy at the next stage correctly. The paper presents the theoretical basis of the circular economy and its role in sustainable development. To achieve this, the following tasks were decided: a bibliographic review of sustainable development based on relevant theoretical literature; Presenting the basis of the theoretical model of the green and circular economy and comparing them with the traditional linear economy, and finally, based on this information, determining the role of the green and circular economy in sustainable development and the relationship between them.

Keywords: circular economy, green economy, sustainable development

მდგრადი განვითარების მიზნების ანალიზი საქართველოს რეგიონებში

ზურა გამთენაძე
თსუ დოქტორანტი

საქართველო ერთ-ერთი ის პირველი ქვეყანაა, რომელიც პირველი შეუერთდა გაეროს რეზოლუციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაიწყო ამ მიზნების შესრულება ეროვნულ დონეზე. განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით შეიქმნა უწყებათშორისი საბჭო და შესაბამისი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მდგრადი განვითარების 17 მიზნის ეტაპობრივ შესრულებას, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ვინაიდან მდგრადი განვითარების მიზნები უნივერსალური და ინკლუზიურია, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა მათ განხორციელებაში. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში მნიშვნელოვანია გაანალიზდეს მუნიციპალიტეტების როლი, ფუნქცია და რამდენად აქტიურად არიან ჩართული ეროვნული გეგმის განხორციელებაში. სტატია სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული გეგმის განხორციელების პროცესში ჩართულობას იკვლევს.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს რეგიონები, მდგრადი განვითარება, ადგილობრივი*

2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია A/RES/70/1 „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმირება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის ოქტომბერში (United Nations - General Assembly 2015). საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა რეზოლუციას და დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების პროცესი. მიზნების განხორციელებისა და ამ პროცესის მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები. გარდა ამისა, შემუშავდა 2030 წლის ეროვნული დღის წესრიგის დოკუმენტი - SDG-ს მატრიცა, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს. მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური და ინკლუზიური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მათ განხორციელებაში ჩაერთოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება, რადგან სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია მოსახლეობისთვის სერვისი მიაწოდოს ყველაზე ეფექტური და სწრაფი გზით.

2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ SDG-ების განხორციელების მზადყოფნის აუდიტის დროს გამოვლინდა, რომ SDG მატრიცა არ იყო ინტეგ-

რირებული მუნიციპალურ პრიორიტეტულ დოკუმენტებში (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში; 2019). მუნიციპალიტეტები არ იყვნენ ჩართულნი SDG-ების განხორციელებაში. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ეროვნული დოკუმენტი საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 12 ნოემბერს №2328 დადგენილების საფუძველზე დაამტკიცა (საქართველოს მთავრობა 2019). იგი მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მონაცემთა წყაროებს და პასუხისმგებელ უწყებებს, რომლებშიც 2030 წლის დღის წესრიგისთვის საქართველოს კონტექსტი ასახულია. ადგილობრივი ხელისუფლება მატრიცაში მხოლოდ ოთხი მიზნის კონტექსტშია მოხსენიებული. დოკუმენტში განსაზღვრული 93 მიზნიდან თითოეულს ჰყავს შესაბამისი წამყვანი უწყება, მათ შორის მთავრობის ადმინისტრაცია, სახელმწიფო უშიშროების საბჭო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაციის კომისია, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, პროკურატურა, საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვადასხვა სამინისტროები. ადგილობრივი თვითმმართველობის არცერთი ორგანო არ არის დასახელებული, როგორც წამყვანი სააგენტო რომელიმე მიზნის შესრულებაში.

ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკის მიმოხილვა

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (საქართველოს პარლამენტი 2014) და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია (Council of Europe 1985).

ქარტიის რატიფიცირებით საქართველომ აღიარა თითქმის ყველა ძირითადი მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და სრული განხორციელებისთვის. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საქართველოში დამკვიდრდა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის კონსტიტუციური გარანტიები, რაც, იმავდროულად, ქარტიის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი შესაბამისობაში მოვიდა ქარტიასთან, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ცნებას საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურასა და კომპეტენციის ფარგლებს, ადგილობრივი ბიუჯეტის გამოყოფას ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობას (საქართველოს პარლამენტი 2014).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიასთან. კოდექსის მი-

ხედვით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში მიღებულ გადაწყვეტილებში მაქსიმალურად აისახოს თითოეული მოქალაქის საჭიროებები და მოსაზრებები. ეს პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროპორციულობის პრინციპთან. სუბსიდიარობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება ფედერალურ მთავრობებშიც. იქ ეს პრინციპი გულისხმობს გარკვეული ფუნქციებისა და კომპეტენციების განხორციელებას ხელისუფლების ყველაზე დაბალ დონეზე.

კოდექსი განასხვავებს ადგილობრივი ხელისუფლების ორ ტიპს: საკუთრივ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, რომლებსაც იგი ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით და მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები, ანუ სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც კანონის საფუძველზე გადაეცა მუნიციპალიტეტს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერით.

კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირებს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს. მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს სრულ და ექსკლუზიურ ჩამონათვალს, რაც გულისხმობს, რომ ამ უფლებამოსილებების განხორციელება მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა. მაგალითად:

● მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;

● საბიუჯეტო სახსრების განკარგვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

● მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;

● ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების (წყლის, ტყის და მიწის რესურსების) მართვა;

● მუნიციპალური სივრცითი დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განვითარების გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

● მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

● მუნიციპალური ნარჩენების მართვა;

● წყალმომარაგებისა და კანალიზაციის უზრუნველყოფა;

● ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

● უსახლკაროების თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი რეგისტრაცია.

გარდა მოცემული უფლებამოსილებების არასრული ნუსხისა, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შედის საქართველოს კანონმდებლობით სხვა ხელისუფლების ორგანოს კომპეტენციაში და ამის გაკეთება არ არის აკრძალული კანონით. გარდა ამისა, მე-16 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამო-

სილია სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოსთან კოორდინირებულად მიიღოს ზომები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების გაწევის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის და სხვა მიზნებისთვის.

როდესაც საქმე ეხება დელეგირებულ უფლებამოსილებებს, შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შეუძლია მუნიციპალიტეტს გადასცეს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება უფრო ეფექტურია ადგილობრივ დონეზე. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს/სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებას შორის იდება შესაბამისი შეთანხმება. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს დელეგირებული უფლებამოსილებები ადგილობრივი პირობების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

ლოკალიზაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე, მიჩნეულია წამყვან რგოლად SDG-ის განხორციელების პროცესში. (საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2020). გარდა ამისა, საბჭო ქმნის სამუშაო ჯგუფებს მდგრადი განვითარების კონკრეტული დარგობრივი მიზნების შესრულების კოორდინაციისა და ეფექტიანი მონიტორინგის მიზნით. პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულების თანახმად საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირს უფლება აქვს დააინიციროს პროექტი საბჭოს წინაშე. აღსანიშნავია, რომ საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს 4 სამუშაო ჯგუფი (დემოკრატიული მმართველობის, სოციალური ჩართულობის, ეკონომიკური განვითარების და მდგრადი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის). თითოეულ სამუშაო ჯგუფს აქვს შესაბამისი გაიდლაინები, რომლის მიხედვითაც ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა SDG-ების ინტეგრაციის ხელშეწყობა ეროვნული და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკაში. ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით, სამუშაო ჯგუფში შედიან სამინისტროების, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მიზნების განხორციელებაზე.

2019-2021 წლებში მომზადდა 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა საქართველოს რეგიონული გან-

ვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით და დაინტერესებული ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ჩართულობით (საქართველოს მთავრობა 2019). სტრატეგიის მიზნებია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილების გაზრდა, თვითმმართველობის ფინანსური დეცენტრალიზაცია და უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია პირველი მიზანი, რომლის უმთავრესი ამოცანა ეხება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გარანტიების პრაქტიკაში არაჯეროვნად გამოყენების პრობლემას. მეორე ამოცანა ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების გაზრდას სუბსიდიარობის პრინციპით. მეორე მიზანი ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობასა და სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსავლების წილი მშპ-სთან მიმართებით საკმაოდ დაბალია და მუნიციპალიტეტებს შორის ფინანსური უთანასწორობის საფუძველია. ბოლოს, მესამე მიზანი ეხება ადგილობრივ დონეზე მენეჯმენტისა და ხარისხის სერვისის მიწოდების ეფექტური და ინოვაციური სისტემების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვას, ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ არც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და არც საბიუჯეტო კოდექსი პირდაპირ SDG-ებზე არაფერს ამბობს. თუმცა, ამ საკანონმდებლო აქტებში გვხვდება ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა თუ ბიუჯეტის მიღების პროცედურებთან და პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფასთან. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს. კოდექსი ასევე ადგენს უფლებამოსილებას შექმნას სათათბირო ორგანოები, მათ შორის საბჭოები, კომისიები და სამუშაო ჯგუფები მერის უფლებამოსილებაში შემავალი გარკვეული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდგრადი განვითარების საბჭოები არ შეიქმნა. SDG-ის განხორციელების სხვა საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხ-

ლის მე-8 ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისობას.

საინტერესოა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება, „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ“, თანახმად, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესები დგინდება. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების საერთო პროცედურები, მეთოდოლოგიები და სტანდარტები და მიზნად ისახავს შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დანერგვას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებას ამ სფეროებში (საქართველოს მთავრობა 2019). ის ეხება პოლიტიკის დოკუმენტებს, რომლებიც წარდგენილია საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე დადგენილების შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების გზამკვლევი ითვალისწინებს პოლიტიკის დოკუმენტებში წარმოდგენილი თითოეული მიზნის დაკავშირებას მდგრადი განვითარების მიზნებთან (საქართველოს მთავრობა 2019).

მუნიციპალიტეტების გამოწვევები და საჭიროებები

ეროვნულ მატრიცაში ადგილობრივი თვითმმართველობა მდგრადი განვითარების მიზნებიდან მხოლოდ 4-შია ნახსენები. გამოვლენილი 93 ამოცანიდან თითოეულს ჰყავს წამყვანი სააგენტო, თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო არცერთ ამოცანაზე არ არის დასახელებული. სამუშაო ჯგუფების სრულ სიაში შედის გაიდლაინებში ნახსენები ყველა სხვა აქტორი, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა. აღსანიშნავია, რომ SDG-ების ლოკალიზაციის გეგმა ითვალისწინებს სიაში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების დამატებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თემატურ სამუშაო ჯგუფებში ჩართული უწყებების/ორგანიზაციების როლები და პასუხისმგებლობები. SDG საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმების შემუშავება, მოკლე და საშუალოვადიანი აქტივობების, ვადებისა და საჭირო რესურსების დასახვა.

2019 წელს ჩატარებული აუდიტის ანგარიშის მიხედვით, SDG-ების მატრიცას არ ჰქონდა ფორმალური ფორმა და მასში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები მხოლოდ ფრაგმენტულად იყო ინტეგრირებული ქვეყნის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებში (BDD), 2019 - სამინისტროების 2022 წლის მედიანური სამოქმედო გეგმები და მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული დოკუმენტები (სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2019). მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვი-

თარების რამდენიმე მიზანი ცალსახად არის ნახსენები ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოცემულ BDD დოკუმენტებში, მათი განხილვა ჯერ კიდევ ფრაგმენტულია და ჯერ არ არის ნაპოვნი მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტებში (საჯარო ინ-ფორმაციის მოთხოვნაზე პასუხების საფუძველზე). SDG ლოკალიზაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნუ-ლი ასოციაციის ჩართვა, ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს. ასოციაციის მიზანია ქვეყანაში ადგი-ლობრივი თვითმმართველობის სისტემის გაუმჯობესება და ადგილობრივი დემოკ-რატიის ხელშეწყობა, სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ადგი-ლობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების განვითარება. ამ და სხვა ადგილობ-რივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და აკადემიის წარმომადგენ-ლებთან კონსულტაციები, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი უზ-რუნველყოფს ლოკალიზაციის პროცესის უფრო დასრულებას და სრულყოფილებას.

დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახუ-რის შესაძლებლობები და მონაცემები საკმაოდ ძლიერია რეგიონულ კონტექსტში, აუ-ცილებელია არსებული სტატისტიკის ანალიზი და მუნიციპალურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების დაყოფა. ეს მოითხოვს ცენტრალური ხელი-სუფლების მიერ ცალკე დოკუმენტის შექმნას, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხა-რეს და გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას მისცემს ნახონ და გააანალიზონ საბა-ზისო და მიზნობრივი მონაცემები ყველა მხარის/მუნიციპალიტეტის შესახებ გეოგრა-ფიული რუკის მიხედვით. მაგალითად, თუ ცენტრალური დოკუმენტის 1 მიზანი მო-იცავს ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკას: „უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახ-ლეობის პროპორცია: 2015 წ. - 3.8%," რეგიონულ დონეზე დაშლილ დოკუმენტში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ამ ინდიკატორის მონაცემებზე. მაგალითად, სიღარიბის მაჩვენებელი – 2015 – გურია, კახეთი, რაჭა და ა.შ.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოში უნდა გააქტიურდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობა როგორც გადაწყვეტილების მიმღებ (საბჭოში), ისე სამუშაო დონეზე (საბჭოს სამუშაო ჯგუ-ფები). ეს მოითხოვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრუ-ლებას და მუნიციპალიტეტების ეფექტურ ჩართულობას ცენტრალური ხელისუფ-ლების მდგრადი განვითარების მიზნების პლატფორმებში. მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის გაზრდა მუნიციპალური პოლი-ტიკის შემუშავებაში. ვინაიდან მიზნების განხორციელება არ არის პარალელური პროცესი და არ არის გამიჯნული ქვეყნის საშინაო პოლიტიკის შემუშავებისგან,

აუცილებელია ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება მუნიციპალურ დონეზე: სტრატეგიების განსაზღვრისა და შექმნის პროცესში, სამოქმედო გეგმები, კონცეფციები და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება. ეს გულისხმობს, რომ ყველა პრიორიტეტი და გეგმა უნდა შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებს და პირდაპირ ან ირიბად ეხმაურებოდეს მათ განხორციელებას, ხოლო აღნიშნული კავშირი და შესაბამისობა უნდა დადასტურდეს პოლიტიკის ყველა შესაბამის მუნიციპალურ დოკუმენტში.

მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული და ადაპტირებული მიზნები/ამოცანები-/ინდიკატორები უნდა იყოს ინტეგრირებული მუნიციპალურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, რათა დადგენილი სამიზნე ინდიკატორები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მუნიციპალური თემატური დაგეგმვის პროცესში. ეროვნული ამოცანები უნდა იყოს დაკავშირებული მუნიციპალიტეტების მიერ უკვე მიღებულ სტრატეგიებთან, მათ სამოქმედო გეგმებთან და შედეგების ინდიკატორებთან, კერძოდ, ამ დოკუმენტების განხილვის/შეფასების და მათი შესრულების მონიტორინგის დროს. მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს ამ დოკუმენტის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც თავიდან შეიძლება იყოს მხოლოდ მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულება მონიტორინგს გაუწევს მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და შედეგებს რეალურ დროში შეაფასებს. მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებისთვის აუცილებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ყველა ინდიკატორის გათვალისწინება, რომელიც ზომავს SDG-ების მიღწევას. მიზნის მისაღწევად განხორციელების პროცესს სჭირდება შესაბამისი ფინანსური რესურსები, რაც მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სახელმწიფო აუდიტის ანგარიში;. 2019. *ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.* ანგარიში, თბილისი: სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის ვებგვერდი.
2. საქართველოს მთავრობა. 2019. *საქართველოს მთავრობის განკარგულება N2328 - მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე.* განკარგულება, თბილისი: საქართველოს მთავრობის ვებგვერდი.
3. საქართველოს პარლამენტი. 2014. *ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.* კანონი, თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
4. საქართველოს პრემიერ-მინისტრი. 2020. "მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება." *საქართველოს პრემიერ მინისტრის N14 ბრძანება.* თბილისი: მდგრადი განვითარების საბჭოს ვებგვერდი, იანვარი 23.

5. საქართველოს მთავრობა. 2019. "პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ." *საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N629.* თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20 დეკემბერი.
6. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2019. *მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.* თბილისი: სახელწმიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდი.
7. საქართველოს მთავრობა. 2019. "დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ." *საქართველოს მთავრობის დადგენილება №678.* თბილისი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდი, 31 დეკემბერი.
8. IDFI. 2021. *მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები.* თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
9. United Nations - General Assembly. 2015. "Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development." *Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015.* New York: UN, 25 September.
10. Council of Europe. 1985. "European Charter of Local Self-Government." *European Treaty Series - No. 122.* Strasbourg: Council of Europe, 15 October.

Analysis of Sustainable Development Goals in the regions of Georgia

Zura Gamtenadze
TSU PhD Student

SUMMARY

Georgia was one of the first countries to join the UN Resolution on Sustainable Development Goals and to start achieving those goals at the national level. An inter-agency council was set up for implementation and monitoring, and a relevant plan was set up to ensure the phased implementation of the 17 Sustainable Development Goals, both at national and local levels. Since the goals of sustainable development are universal and inclusive, this is why it is important to involve local governments in their implementation. In achieving the goals of sustainable development, it is important to analyze the role and function of municipalities and how actively they are involved in the implementation of the national plan. The article examines the involvement of local governments in the implementation of the National Plan for Sustainable Development Goals.

Keywords: Regions of Georgia, Sustainable Development, Local Development, Decentralization.

სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების შეფასება საქართველოში

ნესტან გაფრინდაშვილი
თსუ დოქტორანტი

საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტების ეფექტიანად განხორციელება ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია. საინვესტიციო პროექტები სხვა სახის პროექტებისგან იმით განსხვავდება, რომ მათი მართვა, მათ შორის, წინასწარი შერჩევისა და შეფასების ეტაპები, ასევე განხორციელება და მონიტორინგი მოითხოვს დეტალურ ანალიზს და შესაბამისად, დიდ დროსა და პროფესიონალურ ადამიანურ რესურსს. კაპიტალური პროექტების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიურ საფუძველს საერთაშორისო პრაქტიკაში ხარჯ-სარგებლის ანალიზი (CBA) წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც პროექტების ერთმანეთთან შედარებისთვის და საუკეთესო პროექტის შერჩევისთვის სამი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება: წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV), სარგებელი/ხარჯების შეფარდების მაჩვენებელი (BCR) და უკუგების შიდა ნორმა (IRR).

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში სახელმწიფო კაპიტალური პროექტების შეფასების მეთოდოლოგიური და საკანონმდებლო ჩარჩოები და საერთაშორისო შეფასებები. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყანაში კაპიტალური პროექტების ანალიზისთვის საჭირო ინსტიტუციური უნარები არსებობს, თუმცა გასაძლიერებელია. რაც შეეხება პროექტების პრაქტიკულ ეფექტიანობას, ამ თვალსაზრისით ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე შემდეგ პროექტის მთელი ციკლის თითქმნის ყველა საკვანძო ეტაპზე. გარდა ამისა, უკვე მესამე წელია (2020-2022) რიგი საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასებები სახელმწიფო ბიუჯეტს თან ერთვის, თუმცა ეს შეფასებები ჯერ კიდევ პილოტურ რეჟიმში კეთდება და მწირია როგორც მოცული პროექტების რაოდენობით და მასშტაბით, ასევე დარგობრივი მრავალფეროვნებითაც. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ იმის გაცნობიერება, რომ არაეფექტიანად მართული სახელმწიფო ინვესტიციები საზოგადოებისთვის დიდი ხარჯია და აუცილებელია კაპიტალური პროექტების მართვის სისტემის გაუმჯობესება სახელმწიფოს ყველა დონეზე.

საკვანძო სიტყვები: *ეფექტიანობა, სახელმწიფო ინვესტიციები, ხარჯ-სარგებლის ანალიზი, ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი, სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასება.*

საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტების ეფექტიანად განხორციელება წარმოადგენს ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს და ეკონომიკური ზრდის ერთგვარ კატალიზატორს. ზოგადი განმარტებით, საინვესტიციო ეწოდება ისეთ კაპიტალ-ინტენსიურ პროექტებს, რომლებსაც გრძელვადიანი სასიცოცხლო ციკლი და მაღალი ღირებულება აქვთ. ისინი ხშირად გამიზნულია იმისთვის, რომ გააფართოვონ, შეინარჩუნონ ან/და გააუმჯობესონ ესა თუ ის რესურსი და ქონება

და მათი შესაბამისი გამოყენება; მათზე „დაშენდეს“ ახალი პროექტები. კაპიტალური პროექტების მაგალითებია გზები, ტრანსპორტი, რკინიგზები, ენერგეტიკული პროექტები (კაშხლები, ნავთობისა და გაზის მილსადენები, ელექტროენერგიის სადგურები და გადამცემი ხაზები), მიწა და წიაღისეული, შენობები და ა.შ. გარდა ამისა, ასევე კაპიტალურად მიიჩნევა ისეთი პროექტები, რომლებიც ისეთ სისტემურ და სტრუქტურულ ცვლილებებს უკავშირდება, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის/აუმჯობესებს ეფექტიანობას, იქნება ეს კერძო კომპანიების თუ სახელმწიფოების დონეზე. საინვესტიციო პროექტებისგან მიღებული სარგებელი სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში ხორციელდება პროექტი, თუმცა, ასეთი პროექტების სარგებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე „თავს არიდებული“ ან/და შემცირებული ხარჯებია. თუ პროექტისგან მოსალოდნელია, რომ ერთული სარგებლის მისაღებად, არსებულთან შედარებით, ნაკლები რესურსი დაიხარჯება, მიიჩნევა, რომ ასეთი პროექტი ეფექტიანია საბაზისო მდგომარეობასთან შედარებით.

კაპიტალური პროექტები ჰქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ეკონომიკური ურთიერთობები წარიმართოს სათანადო საბაზისო პირობების უზრუნველყოფით (მოწესრიგებული გზები, კომუნიკაცია, ენერგიის მიწოდება და ა.შ.) და მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური საქმიანობების გააქტიურებისთვის შრომითი და კაპიტალური რესურსების მობილობა უნდა იყოს თავისუფალი, ამის ერთ-ერთ საფუძველს კი წარმატებული კაპიტალური პროექტები ჰქმნის. თეორიაში ცნობილია ეკონომიკური ზრდის შეფასებისა და პროგნოზების რიგი განსხვავებული მოდელები (ეგზოგენური და ენდოგენური, ნეო-კლასიკური ზრდის მოდელები და კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის მოდელები და ა.შ.) და თითოეული მათგანი ასახავს, რომ საინვესტიციო პროექტების როლი და გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ეს ეხება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ინვესტიციებსაც. თუმცა, მიიჩნევა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე ორი მიმართულებით: სამთავრობო ხარჯების (Government Spending) ზრდის შედეგად ერთობლივი მოთხოვნის ზრდით და საწარმოო ფუნქციაში კაპიტალის ფაქტორის გაუმჯობესების შედეგად ერთობლივი მიწოდების ზრდით. ასევე მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ინვესტიციებმა სტიმულირება გაუწიოს კერძო ინვესტიციებსაც (თუ ეკონომიკაში ე.წ. „გამოდევნის ეფექტს“/crowding out effect არ აქვს ადგილი) და ამ სახითაც დადებითი გავლენა იქონიოს ზოგად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

საინვესტიციო პროექტები სხვა სახის პროექტებისგან იმითაც განსხვავდება, რომ მათი წინასწარი შერჩევისა და შეფასების ეტაპები მოითხოვს დეტალურ ანა-

ლიზს და შესაბამისად, დიდ დროსა და პროფესიონალურ ადამიანურ რესურსს. იმისათვის, რომ საინვესტიციო პროექტი წარმატებული იყოს, აუცილებელია, პროექტის სასიცოცხლო ციკლის შესაბამისი პერიოდის შეფასებების ჩატარება და პროგნოზების გაკეთება. ბუნებრივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დღეს უკვე მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა, ყოველი შემდეგი კაპიტალური პროექტის ზღვრული სარგებელი ნაკლები იქნება, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველ დამატებით ასეთ პროექტს ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. დღეს საქართველოს წინაშე არსებული არაერთი გამოწვევის საპასუხოდ, კაპიტალური პროექტების წინასწარი შეფასებიდან (appraisal) დაწყებული, მათი განხორციელებით (implementation) გაგრძელებული და სათანადო საბოლოო შეფასებებით (evaluation) დასრულებული მთელ ციკლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დიდია სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების გავლენა ეკონომიკაზე და შესაბამისად, მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში. სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანი მართვის არაერთი სახელმძღვანელო არსებობს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორობით გამოცემული, ასევე სპეციფიკური ქვეყნების მიერ და შერჩეული დარგების მიხედვით შემუშავებული. საქართველოში სახელმწიფო კაპიტალური პროექტების (ანუ პროექტები, რომელთა დაფინანსებაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) შეფასება ხდება ორი მთავარი დოკუმენტის საფუძველზე: პროგრამული ბიუჯეტის (რომელიც მოიცავს მათ შორის კაპიტალურ ანუ საინვესტიციო ხასიათის პროგრამებს) მეთოდოლოგია (2011) და საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (2016). საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ 2018 წელს მოხდა საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასება (PIMA) ტექნიკური დახმარების ანგარიშის ფარგლებში. ამ დოკუმენტში შეფასებულია როგორც სახელმწიფო ინვესტიციების, ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის ეფექტიანობა კაპიტალური პროექტების მართვასთან მიმართებაში PIMA[1] ჩარჩოში. დამატებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს 2020 წლიდან თან ერთვის საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის და შეფასების პილოტური ანალიზის დოკუმენტები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს, რა მდგომარეობა არის დღეისათვის საქართველოში საინვესტიციო პროექტების შერჩევისა და შეფასების მიმართულებით, კერძოდ: (ა) რა საერთაშორისო სტანდარტები და შეფასებები არსებობს, (ბ) რა საკანონმდებლო და მეთოდოგოლიური საფუძველი არის ქვეყანაში, (გ) ხდება თუ არა კაპიტალური პროექტების პრაქტიკული ეკონომიკური შეფასებები საქართველოში და (გ) რა ინდიკატორებს ეყრდნობა პროექტის შერ-

[1] https://infrastructuregovern.imf.org/content/PIMA/Home/PimaTool/What-is-PIMA.html

ჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია შედეგების ანალიზი და გაცემულია რეკომენდაციები.

საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიური ჩარჩო

საინვესტიციო პროექტების შეფასების ფართოდ დანერგილ მეთოდს წარმოადგენს ხარჯ-სარგებლის ანალიზი (CBA) და მისი ალტერნატივები, მათ შორის, როგორიც არის, ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი (CEA) და მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA). CBA-ს, როგორც კაპიტალური პროექტების შეფასების ძირითადი მეთოდის შესახებ აღნიშნულია, მაგალითად, ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტში საინვესტიციო პროექტების ხარჯ-სარგებლის ანალიზის შესახებ (European Commission, 2014) და მის განახლებულ გამოცემაში (European Commission, 2021), ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკის სახელმძღვანელოში კაპიტალური პროექტების ეკონომიკური ანალიზის შესახებ (European Investment Bank, 2020) და სხვ.

CBA-ს თანამედროვე ეკონომიკური საფუძველი ჩაუყარა ფრანგი ინჟინერ-ეკონომისტის ჟულ დიუპუს (Jules Dupuit) ჯერ კიდევ 1844 წლის ნაშრომმა მომხმარებლის დანაზოგის შესახებ და ვილფრედო პარეტოს (Vilfredo Pareto) კვლევებმა შემოსავლებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის განაწილების შესახებ (1896). პარეტოს ნაშრომებიდან მოდის „პარეტო გაუმჯობესების“ კონცეფცია, რომელიც დგება მაშინ, როდესაც რესურსების განაწილების შედეგად მინიმუმ ერთი ადამიანის მდგომარეობა უმჯობესდება და არც ერთი ადამიანის მდგომარეობა არ უარესდება. პრაქტიკაში „პარეტო ეფექტიანობის“ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ყველა საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილების შედეგად ჩნდებიან „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“. პარეტოს კრიტერიუმის შედარებით უფრო პრაგმატული ჩამანაცვლებელი აღმოჩნდა ე.წ. „პოტენციური პარეტო“ ანუ „კალდორ-ჰიკსის“ კრიტერიუმი (Kaldor-Hicks), რომელიც 1930-იან წლებში წარმოიშვა ბრიტანელ ეკონომისტებს შორის. ამ კრიტერიუმის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა მიიღწევა და პროექტი მისაღებად ჩაითვლება, თუ „გამარჯვებულების“ მიერ მიღებული სარგებელი აჭარბებს „დამარცხებულების“ მიერ გაწეულ ხარჯებს, ვინაიდან პოტენციურად იარსებებს ამ ორ მხარეს შორის ტრანსფერის შესაძლებლობა და დაკმაყოფილდება პარეტოს კრიტერიუმი. ხარჯ-სარგებლის ანალიზის თეორიები დღემდე ვითარდება, თუმცა „კალდორ-ჰიკსის“ კრიტერიუმი კვლავ თანამედროვე CBA-ის სტანდარტად მიიჩნევა (Zebre, Davis, Garland, & Scott, 2013).

თავისი არსით, CBA წარმოადგენს გადაწყვეტილებების ფინანსური შედეგების შეფასების ჩარჩოს. ამ მხრივ, იგი ემსგავსება ინდივიდებისა და კომპანიების მიერ ყოველდღიურად მისაღები გადაწყვეტილებების პროცესს. თუმცა, CBA

მათგან ორი მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება: 1. CBA-ის მიზანი არის საზოგადოების კეთილდღეობის გაზრდა. ეს კი საკითხს მატებს ტექნიკურ და პოლიტიკურ კომპლექსურობას, ვინაიდან თვითონ ტერმინი „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“ ხშირად შეუფასებელია, თავისი არსით. 2. CBA ხშირად მოიცავს არასაბაზრო საქონლისა და მომსახურებების (მაგალითად, რეკრეაცია, ფლორა და ფაუნა და ა.შ.) შეფასებებსაც, რის შესახებაც საბაზრო ტრანზაქციებით ვერ მოიპოვება მონაცემები და მოითხოვს უფრო სიღრმისეულ სტატისტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

„თან-და-გარეშე“ (with-and-without) მიდგომა არის CBA-ის მთავარი ღერძი და ამასთანავე, ხაზს უსვამს ალტერნატიული ხარჯის (opportunity cost) მნიშვნელოვან კონცეფციას. მაგალითად, კაშხლის აშენების ნაცვლად („გარეშე“) მიწის, შრომის, კაპიტალისა და სხვა რესურსების გამოყენება მოხდა ალტერნატიული გზით და საკვების წარმოება გაიზარდა. ამ საკვების ღირებულება წარმოადგენს კაშხლის აგების ალტერნატიულ ხარჯს (თუ დავუშვებთ, რომ იგი წარმოადგენს აღნიშნული შეზღუდული რესურსების საუკეთესო, ყველაზე მაღალი ღირებულების ალტერნატივას). თუ კაშხლის პროექტი განხორციელდა („თან“), ამით ვთმობთ დამატებითი საკვების წარმოების შესაძლებლობას. კაშხლის პროექტის სარგებელი არის წარმოებული ელექტროენერგიის ის ნამატი, რომელიც მომავალში დადგება „გარეშე“ სიტუაციასთან შედარებით, ანუ პროექტი რომ არ განხორციელებულიყო („გარეშე“ სიტუაცია იგივეა, რაც ე.წ. საბაზისო სცენარი ანუ „არაფრის კეთების“ ალტერნატივა/“Do nothing scenario“). CBA-ის მიზანი არის, შესაბამისი ხარჯებისა და სარგებლის შედარების შედეგად, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია, „თან“ სიტუაცია (ანუ პროექტის სხვადასხვა ალტერნატივა, გარდა „საბაზისო სცენარისა“) უმჯობესია თუ „გარეშე“. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ცალკე აღებული ხარჯები და სარგებელი, არამედ გადანაწილებითი გავლენებიც (distributional impacts) - ვინ იღებს სარგებელს და ვინ წევს ხარჯებს?

ძირითადად ყველა სტანდარტული ხარჯ-სარგებლის ანალიზში პროექტების ერთმანეთთან შედარებისთვის და საუკეთესო ალტერნატივის შერჩევისთვის გამოიყენება სამი მთავარი კრიტერიუმი:

I. **წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV)** - შესაბამის დროით ჩარჩოში მთლიანად დისკონტირებული სარგებლის მიმდინარე ღირებულების ჯამსა და დისკონტირებული ხარჯების მიმდინარე ღირებულების ჯამს შორის სხვაობა: **NPV = PV (სარგებელი) – PV (ხარჯები)**. ბუნებრივია, რომ როდესაც ვადარებთ პროექტებს, ვირჩევთ იმ პროექტს, რომლის NPV დადებითია, ხოლო თუ ყველა მოცემული პროექტის NPV დადებითია, ვირჩევთ მას, რომელსაც ყველაზე NPV აქვს.

II. **სარგებელი/ხარჯების შეფარდების მაჩვენებელი (BCR)** - ამ შემთხვევაში შესაბამის დროით ჩარჩოში მთლიანად დისკონტირებული სარგებლის მიმდინარე ღირებულების ჯამსა ვაფარდებთ დისკონტირებული ხარჯის მიმდინარე ღირებულების ჯამთან: **BCR = PV (სარგებელი) / PV (ხარჯი)**. ამ კრიტერიუმის შემთხვევაში ვირჩევთ იმ პროექტს, რომლის მაჩვენებელიც 1-ზე მეტია. ხოლო როდესაც რამდენიმე პროექტის BCR არის 1-ზე მეტი, ვირჩევთ ყველაზე მაღალი BCR-ის მქონე პროექტს. ბუნებრივია, რომ როდესაც NPV დადებითია, BCR იქნება 1-ზე მეტი, ხოლო როდესაც NPV უარყოფითია, BCR იქნება 1-ზე ნაკლები.

III. **უკუგების შიდა ნორმა (IRR)** - ეს არის ის **ნორმა (%), სადაც პროექტის NPV ნულდება** ანუ შესაბამის დროით ჩარჩოში მთლიანად დისკონტირებული სარგებლის ჯამის და დისკონტირებული ხარჯის ჯამი ერთმანეთის ტოლია. ამ მაჩვენებელს ადარებენ შემდეგ დისკონტის განაკვეთს (r), რითაც შესაბამისი სარგებლისა და ხარჯების ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებების შეფასება მოხდა შესაბამის დროით ჩარჩოში და შესაბამისად იგი პროექტის კაპიტალის ღირებულების მაჩვენებელს წარმოადგენს. შედეგად, პროექტი მისაღები იქნება მაშინ, როდესაც IRR>r, ხოლო უარყოფილი იქნება პროექტი მაშინ, როდესაც IRR<r. ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ალტერნატივების შედარებისას, IRR-ის და NPV-ს მაჩვენებლების ერთმანეთს უპირისპირდება. ასეთ დროს პრაქტიკაში მიღებულია, რომ არჩევანი გაკეთდეს NPV-ის კრიტერიუმის სასარგებლოდ.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ CBA-ის, როგორც საინვესტიციო პროექტების გამოყენება დრამატულად გაიზარდა ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში (Jiang & Marggraf, 2021). ეს ზრდა ფიქსირდება როგორც ცალკეული ქვეყნების შემთხვევაში, ასევე დარგების მრავალფეროვნებაში, სადაც CBA ინერგება. აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნების საინვესტიციო პროექტების შეფასების ცალკეული ასპექტები და თუნდაც სახელმძღვანელო დოკუმენტების განვითარების დონე განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა ამ შეფასებებში მაინც იყენებს ხარჯ-სარგებლის ანალიზს (Odgaard, Kelly, & Laird, 2006). მნიშვნელოვანია, არ დარჩეს ყურადღების მიღმა CBA-თან დაკავშირებული გამოწვევები განვითარებად ქვეყნებში (Quah, Tan, & Lee, 2021).

საინვესტიციო პროექტების შეფასების ჩარჩო საქართველოში

სახელმწიფო კაპიტალური პროექტების ეკონომიკური ანალიზი და შეფასება ხდება ორი მთავარი მეთოდოლოგიური დოკუმენტის საფუძველზე საქართველოში:

1) **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №385 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე**[2] - აღნიშნული ბრძანების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება სავალდებული გახდა პროგრამული ბიუჯეტირების ფორმატში, რაც, თავის მხრივ, კაპიტალური პროგრამების ცალკე წარმოდგენასაც გულისხმობს: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად *კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია,* შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ბიუჯეტის კანონის ერთ-ერთ დანართად იქნება წარმოდგენილი". 2016 წლის 22 ივლისის ცვლილებით[3], „საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია" (რომლის შესახებაც შემდგომ პუნქტში წერია) გახდა აღნიშნული ბრძანების შემადგენელი ნაწილი.

2) **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №191 საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე**[4] - ამ დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მხარჯავ დაწესებულებებს გაუჩნდათ ვალდებულება, საინვესტიციო პროექტების მომზადებისას უზრუნველყონ დადგენილებით დამტკიცებული გზამკვლევით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა იმ საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში, რომელთა საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მილიონ ლარს. გზამკვლევმა წარმოადგინა სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ექვსი ეტაპი: (1) პროექტების გაცხრილვა/წინასწარი შერჩევის სტადია, (2) პროექტის შეფასება, (3) პროექტის შერჩევა/ბიუჯეტის შედგენა, (4) პროექტის განხორციელება, (5) პროექტის მონიტორინგი და (6) დასკვნითი შეფასება. ჩამოთვლითაგან პროექტის შეფასების ეტაპზე ხდება ეკონომიკური ანალიზის განხორციელება ორი ძირითადი საშუალებით: „ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი" (იგულისხმება CBA) და „ხარჯთეფექტიანობის ანალიზი" (იგულისხმება CEA). პროექტის ეკონომიკური და ფინანსური გავლენების ფართო სპექტრთან ერთად, დადგენილებით მოთხოვნილია პროექტის გარემოზე ზემოქმედების და სოციალური

---

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №385 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400751?publication=0

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის ბრძანება №165 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3348189?publication=0

[4] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №191 საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745?publication=0

მდგრადობის შეფასებაც. დადგენილება ასევე განსაზღვრავს პროექტის შეფასების პროცესში გადანაწილებულ როლებს, პასუხისმგებლობებს და გადაწყვეტილების მიღების წესს.

PIMA შეფასება

სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება (PIMA[5]) არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ წარმოებული მეთოდოლოგია ქვეყნების კაპიტალური პროექტების შეფასებისთვის. PIMA აფასებს 15 კატეგორიას საჯარო ინვესტიციების ციკლის სამ ძირითად ეტაპზე:

1) ინვესტიციების დაგეგმვა საჯარო სექტორში (Planning)

2) ინვესტიციების განაწილება შესაბამის სექტორებსა და პროექტებზე (Allocation)

3) საინვესტიციო პროექტების განხორციელება პროდუქტიული აქტივების შექმნისთვის (Implementation)

აღსანიშნავია, რომ PIMA-ს დაემატა ახალი კატეგორიები კლიმატზე რეაგირების განზომილების ჭრილში (C-PIMA[6]), რომელიც აფასებს ქვეყნების შესაძლებლობებს კლიმატთან დაკავშირებული ინვესტიციების მართვისთვის.

PIMA-ს ჩარჩოს შესაბამისად, შესაბამისი საჯარო დაწესებულებები ფასდება როგორც ინსტიტუციური სიძლიერის (ორგანიზაცია, პოლიტიკა, წესები და პროცედურები), ასევე პრაქტიკული ეფექტიანობის (დასახული მიზნის პრაქტიკაში მიღწევა ან სასარგებლო ზემოქმედება) მიხედვით. PIMA ასევე მოიცავს სამი დამატებით მნიშვნელოვანი ფაქტორის (cross-cutting issues) ხარისხობრივ შეფასებას, რომლებიც ხშირად გავლენას ახდენს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის საერთო ეფექტიანობაზე: (1) საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო, (2) ადამიანური რესურსები / პერსონალის შესაძლებლობები და (3) საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სისტემები.

PIMA შეფასებებმა სხვადასხვა ქვეყნებში (IMF, 2019) აჩვენა, რომ საშუალოდ ქვეყნები ინვესტიციებიდან უკუგების 30%-ს კარგავენ სწორედ სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესში არსებული არაეფექტიანობის გამო. ეს დანაკარგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე და შესაბამისად,

მაჩვენებელი განსხვავებულია ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებულ ქვეყნებში (LIDC) ეს დანაკარგი 40%-ია,

[5] https://infrastructuregovern.imf.org/content/PIMA/Home/PimaTool/What-is-PIMA.html#tab_7

[6] https://infrastructuregovern.imf.org/content/PIMA/Home/PimaTool/C-PIMA.html

გარდამავალი ეტაპის საბაზრო ეკონომიკებში (EME) - 27%, ხოლო წამყვან განვითარებულ ქვეყნებში (AE) - მხოლოდ 13% (**Error! Reference source not found**.).



დიაგრამა 3. ინვესტიციებიდან უკუგების დანაკარგი სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესში არსებული არაეფექტიანობის გამო (IMF, 2019)

საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასება (PIMA) ტექნიკური დახმარების ანგარიშის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდა (IMF, 2018). შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველო ინსტიტუციური სიძლიერის მიხედვით მსოფლიოს შესადარ ქვეყნებს შორის ბევრ ასპექტში დაწინაურებულია, განსაკუთრებით ფისკალური წესებისა და მიზნების, აქტივების მონიტორინგის, დაფინანსების ხელმისაწვდომობისა და შესყიდვების კომპონენტებში. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს კომპონენტები პრაქტიკაში („in practice“) განხორციელების თვალსაზრისით ნაკლებ ეფექტიანობას აჩვენებს, ვიდრე დოკუმენტური უზრუნველყოფით („on paper“). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტიტუციური სიძლიერე მაღალია, თუმცა პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობა - მასთან შედარებით დაბალი.

ცხრილი 1. PIMA შეფასება საქართველოსთვის (IMF, 2018)

ეტაპი		ინსტიტუციური სიძლიერე	პრაქტიკული ეფექტიანობა	რეფორმის პრიორიტეტულობა
დაგეგმვა (Planning)	ფისკალური პრინციპები და წესები	მაღალი	საშუალო	საშუალო
	ეროვნული და სექტორული გეგმები	დაბალი	დაბალი	მაღალი
	უწყებებს შორის კოორდინაცია	საშუალო	საშუალო	დაბალი
	პროექტის წინასწარი შეფასება	დაბალი	დაბალი	მაღალი
	ალტერნატიული ინფრასტრუქტურული დაფინანსება	საშუალო	საშუალო	მაღალი
განაწილება (Allocation)	მრავალწლიანი ბიუჯეტირება	საშუალო	დაბალი	საშუალო
	ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა და ერთიანობა	საშუალო	საშუალო	დაბალი
	ინვესტიციების ბიუჯეტირება	საშუალო	საშუალო	საშუალო
	დაფინანსების შენარჩუნება	დაბალი	საშუალო	მაღალი
	პროექტის შერჩევა	დაბალი	დაბალი	მაღალი
განხორციელება (Implementation)	შესყიდვები	მაღალი	საშუალო	საშუალო
	დაფინანსების ხელმისაწვდომობა	მაღალი	მაღალი	დაბალი
	პორტფელის მართვა და ზედამხედველობა	საშუალო	საშუალო	მაღალი
	პროექტის განხორციელება	დაბალი	დაბალი	მაღალი
	სახელმწიფო აქტივების მართვა	საშუალო	საშუალო	საშუალო

როგორც ამას

ცხრილი *1* აჩვენებს, საქართველო, ძირითადად, საშუალო მაჩვენებლით შეფასდა PIMA-ს მოცემული 15 კატეგორიის მიხედვით. დაბალი შეფასებები აღსანიშნავია როგორც პროექტის წინასწარი შეფასებების, ასევე პროექტის შერჩევისა და განხორციელების ეტაპებზე. დაბალი შეფასებებია ასევე ეროვნული და სექტორული გეგმების კატეგორიაში. მაღალი შეფასებები მხოლოდ სამ კატეგორიაში დაფიქსირდა: ფისკალური წესებისა და პრინციპებისა და შესყიდვების კატეგორიაში ინსტიტუციური სიძლიერის კუთხით და დაფინანსების ხელმისაწვდომობაში როგორც ინსტიტუციური, ასევე პრაქტიკული ეფექტიანობით.

საინვესტიციო პროექტების შეფასების პრაქტიკა საქართველოში

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს 2020-2022 წლებში თან ერთვის საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის და შეფასების პილოტური ანალიზის დოკუმენტები[7]. ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანია, რამდენადაც ასახავს, რამდენად ხდება კაპიტალური პროექტების შეფასება ზემოაღნიშნული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის შესაბამისად. დოკუმენტებს ახლავს დანართები, სადაც მოცემულია ეკონომიკური ანალიზისა და CBA-ის დეტალური კალკულაციები შესაბამისი დაშვებებით. 2020-2022 წლებში საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი საშუალოდ წლიურად მხოლოდ 12-13 პროექტზე განხორციელდა (



):

[7] საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი / https://mof.ge/5261
საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი / https://mof.ge/5355
საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი / https://mof.ge/5477

_ **2020** - განხორციელდა 14 საინვესტიციო პროექტის შეფასება (4 პროექტის ინიციატორია თბილისის, ბათუმის, ფოთის მუნიციპალიტეტები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო 10 პროექტის ინიციატორია სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები).

_ **2021** - გაკეთდა 11 კაპიტალური პროექტის შეფასება (ინიციატორები იყვნენ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სახალხო დამცველის აპარატი).

_ **2022**[8] - შესრულდა 13 საინვესტიციო პროექტის შეფასება. (9 პროექტი ინიცირდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 1 პროექტი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ხოლო 3 პროექტი - დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში).



გრაფიკი 1. საინვესტიციო პროექტების შეფასება საქართველოში, 2020-2022 (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)

წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტები მოიცავს მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციასა და კონცეფციის ბარათებს ყველა პროექტზე. ეკონომიკური ანალიზის ასპექტში დოკუმენტი დანართებთან ერთად წარმოადგენს ხარჯ-სარგებლის შეფასებებს, შესაბამის კალკულაციებს, ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, B/C, IRR), რის საფუძველზეც მიიღება გა-

[8] გარდა აღნიშნული 13 პროექტისა, 2022 წლის პროექტების ჩამონათვალში წარმოდგენილია დამატებით GIZ-ის მხარდაჭერით მომზადებული 8 პროექტი, რომელთაგან 1 პროექტი მისაღები აღმოჩნდა და 1 წამგებიანი, ხოლო დანარჩენ 6-ზე გაკეთდა შეფასება, რომ წარმოდგენილი პროექტები ეკონომიკურად მისაღებია მხოლოდ გრანტის პირობებში. თუმცა, თუნდაც გრანტის პირობებში მიზანშეწონილია პროექტის შეფასება განხორციელდეს სხვა ალტერნატიური პროექტის ეკონომიკურ შედეგებთან მიმართებაში.

დაწყვეტილება. ეს შეფასებები ეფუძნება ძირითადად ინიციატორი უწყებების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციებსა და დაშვებებს. პროექტების ნაწილი, შეფასების შედეგად, გადავიდა შემდგომ ეტაპზე ხარჯების საშუალოვადინ პროგნოზებში, ნაწილისათვის რეკომენდირებული იყო დამატებითი ანალიზი, ხოლო დანარჩენი პროექტებისთვის არ იყო მიზანშეწონილი ხარჯების პროგნოზებში ასახვა. ზოგიერთ შემთხვევაში ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმების (NPV, B/C, IRR) მიუღებელი მაჩვენებლების მიუხედავად, გაკეთებული იყო შეფასება, რომ პროექტის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტის მიღება მაინც მოხდა. უშუალოდ ასეთი სოციალური გავლენების მონეტიზაცია წარმოდგენილი არ არის შესაბამის კალკულაციებში. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სიაში ასახული პროექტების უმეტესობა მუნიციპალურია და ეხება განათლების სფეროს, კერძოდ სკოლების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებელობა/გაუმჯობესებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე საქართველოში საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასების პროცესი ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენს 2011 წელს ბიუჯეტის პროგრამული მეთოდოლოგიისა და 2016 წელს საინვესტიციო პროექტების გზამკვლევების დამტკიცება. მათ საკანონმდებლო საფუძველი შექმნეს იმისთვის, რომ სახელმწიფო პროექტების ეფექტიანობის ანალიზისთვის საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის გათვალისწინება მოხდეს და დაინერგოს ხარჯ-სარგებლის ანალიზი და მისი შესაბამისი ალტერნატიული მეთოდები. თუმცა, აუცილებელია ამ მეთოდოლოგიების არა მხოლოდ დოკუმენტური არსებობა, არამედ პრაქტიკაში აქტიური დანერგვა და გამოყენება. ეს დაადასტურა ასევე 2018 წელს IMF-ის მიერ საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის ანალიზმა PIMA ჩარჩოში. ამ ანგარიშმა ასევე აჩვენა, რომ ქვეყანა შესაბამისი კრიტერიუმების უდიდეს წილს მხოლოდ საშუალო დონეზე აკმაყოფილებს და ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება რიგი მიმართულებებით, მათ შორის, პროექტის წინასწარი შეფასებების, შემდეგ შერჩევისა და განხორციელების ეტაპებზე.

2020 წლიდან საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის და შეფასების პილოტური ანალიზის დოკუმენტები თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს. ამ პროექტების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2020-2022 წლებში საშუალოდ მხოლოდ 12-13 პროექტის შეფასება ხდებოდა წლიურად, მაშინ როდესაც მთლიანი კაპიტალური პროექტების რაოდენობა 7-8 ათეულს აღწევდა იმავე პერიოდში. გარდა

ამისა, შეფასებული პროექტების უმეტესობა დიდწილად მოიცავდა სასკოლო და ზოგადად, საგანმანათლებლო ხასიათის პროექტებს და ნაკლებად იყო წარმოდგენილი სხვა მნიშვნელოვანი და მასშტაბური ხასიათის პროექტები. მიზანშეწონილია, რომ მომდევნო წლებში ამ კუთხით შეფასებების მასშტაბი გაფართოვდეს და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მრავალფეროვანი იყოს შეფასებული პროექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **European Commission. (2014). Guide to Cost-Benefit Analysis of Investment Projects (Economic appraisal tool for Cohesion Policy 2014-2020). European Commission, Directorate-General for Regional and Urban policy. Brussels: European Union. Retrieved July 15, 2022, from https://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/studies/pdf/cba_guide.pdf**
1. European Commission. (2021). *Economic Appraisal Vademecum (EAV) 2021-2027: General Principles and Sector Applications.* European Commission, Directorate-General for Regional and Urban Policy. Luxembourg: European Union. Retrieved July 15, 2022, from https://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/guides/vademecum_2127/vademecum_2127_en.pdf
2. European Investment Bank. (2020). *The Economic Appraisal of Investment Projects at the EIB.* European Investment Bank. European Investment Bank. Retrieved July 15, 2022, from https://www.eib.org/attachments/thematic/economic_appraisal_of_investment_projects_en.pdf
3. IMF. (2018). *Public Investment Management Assessment (PIMA) of Georgia - Technical Assistance Report.* IMF Country Report No. 18/306, International Monetary Fund (IMF). Retrieved July 15, 2022, from https://infrastructuregovern.imf.org/content/dam/PIMA/Countries/Georgia/Documents/GeorgiaPIMATAR.pdf
4. IMF. (2019). *Public Investment Management Assessment (PIMA) - Strengthening Infrastucture Governance.* International Monetary Fund (IMF), Fiscal Affairs Department, Washington, DC 20431, USA. Retrieved July 15, 2022, from https://www.imf.org/external/np/fad/publicinvestment/-pdf/PIMA.pdf
5. Jiang, W., & Marggraf, R. (2021). The origin of cost–benefit analysis: a comparative view of France and the United States. *Cost Effectiveness and Resource Allocation*. Retrieved July 15, 2022, from https://resource-allocation.biomedcentral.com/articles/10.1186/s12962-021-00330-3#citeas
6. Odgaard, T., Kelly, C., & Laird, J. (2006). *Current Practice in Project Appraisal in Europe. Deliverable 1 of the HEATCO project.* University of Leeds , Institute for Transport Studies. Retrieved July 15, 2022
7. Quah, E., Tan, T. S., & Lee, Z. J. (2021). Chapter Nine - Cost-benefit analysis in developing countries. In *Advances in Transport Policy and Planning* (pp. 235-260). Retrieved July 15, 2022, from https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S2543000921000056
8. Zebre, R. O., Davis, T. B., Garland, N., & Scott, T. (2013). *Toward Principles and Standards for Benefit Cost Analysis.* Retrieved July 15, 2022, from https://www.researchgate.net/publication/236200915_Principles_and_Standards_for_Benefit_Cost_Analysis

Assessment of Public Investment Projects in Georgia

Nestan Gaprindashvili
TSU PhD Student

SUMMARY

Effective implementation of investment (capital) projects is an important basis for the country's development and economic progress. Investment projects differ from other types of projects because their management, including pre-selection and appraisal stages, as well as implementation and monitoring, require detailed analysis and, therefore, a lot of time and professional human resources. The methodological basis of the economic assessment of capital projects in international practice is cost-benefit analysis (CBA), according to which three main criteria are used to compare projects and select the best option: net present value (NPV), benefit/cost ratio (BCR) and internal rate of return (IRR).

The paper presents the methodological and legal frameworks and international assessments for Georgia regarding public investment/capital projects. The obtained results show that the necessary institutional skills (design) for the analysis of capital projects exist in the country, although they need to be strengthened. As for the practical efficiency of the projects, there are significant challenges in the country both in strategic planning stage and in almost all key steps of the entire project cycle. In addition, during the recent three years (2020-2022), the economic analysis of a number of investment projects are attached to the state budget project, although these valuations are still being done in pilot mode and are scarce both in terms of the number and scope of the projects covered, as well as in the variety of sectors. It is important for decision-makers to realize that inefficiently managed public investments are a huge cost to society, and it is necessary to improve the management system of capital projects at all levels of government.

Key words: efficiency, public investment, cost-benefit analysis, cost-effectiveness analysis, public investments management assessment.

2007-2008 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის არსი, ფორმირება და დასასრული

ცოტნე გოგიშვილი
თსუ დოქტორანტი

ნაშრომის მიზანია განიხილოს 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის ძირითადი გამომწვევი მიზეზები და მათი გავლენა მსოფლიოსა და საქართველოზე. კრიზისის მთავარ ფაქტორებად განხილულია ფინანსური ინსტრუმენტები, სადაზღვეო კომპანიები, საინვესტიციო ბანკებისა და სარეიტინგო კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, აშშ-ს მონეტარული პოლიტიკა. ასევე, ნაშრომში შეჯამებულია მთავრობებისა და რეგულატორების მხრიდან კრიზისის დასაძლევად გადადგუმული ნაბიჯები. საბოლოოდ კი დასკვნის სახით გავარკვევთ თუ რამ გამოიწვია 2007-2008 წლების კრიზისი და რა უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური კრიზისი, 2007-2008 წლების კრიზისი, გლობალური რეცესია, სეკურიტიზაცია, იპოთეკური სესხის კრიზისი, ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები.*

ფინანსური კრიზისები საუკუნოვან ისტორიას ითვლის და მრავალი კვლევა დაწერილა მათ შესახებ. მიუხედავად ამისა, 2007-08 წლების საბანკო კრიზისს მსოფლიო მოუმზადებელი შეხვდა და გლობალურ ეკონომიკას დიდი დარტყმა მიაყენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ 2008-2009 წლების გლობალური კრიზისი იყო ერთ-ერთი უმძიმესი მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში (Thakor 2015, 155-156).

კრიზისი სათავეს ჯერ კიდევ 2000 წლიდან იღებს, როცა ზედმეტმა ინვესტიციებმა ტექნოლოგიური აქციების ბაზარზე შექმნა „ინტერნეტ ბუშტი“, რაც საბოლოოდ აქციებზე ფასების ვარდნით დასრულდა. ამას ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (FED) შერბილებული მონეტარული პოლიტიკით უპასუხა და საპროცენტო განაკვეთი 6.5-დან 3.5 პროცენტამდე შეამცირა. ამის შემდეგ იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგედია. FED-მა კვლავ გადაწყვიტა ეკონომიკის სტიმულირება და 2003 წლის ივლისისთვის საპროცენტო განაკვეთი 1 პროცენტამდე შეამცირა (Singh 2021). სავსებით ლოგიკურია, რომ როცა ფული იაფია მსესხებლები ეცდებიან რაც შეიძლება მეტი გაასესხონ, რეგულაციების ნაკლებობა კი დამატებით უწყობს ხელს ფულის არარაციონალურ გაცემას. ასევე შერბილდა იპოთეკის გაცემის სტანდარტები, საკრედიტო რისკის მნიშვნელობამ უკანა პლანზე გადაიწია და შეიქმნა მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები, რათა სესხების გაცემა გაადვილებულიყო. საინვესტიციო ბანკები, სარეიტინგო კომპანიები და სადაზღვეო კომპანიები თამამად იღებდნენ რისკებს და უარყოფით სცენარებს არ განიხილავდნენ. ამ ყოვე-

ლივემ იპოთეკური კრიზისი საბანკო კრიზისად გადააქცია, ხოლო საბანკო კრიზისი მრეწველობის კრიზისში გადავიდა.

ფინანსური კრიზისის დროს 3.3 პროცენტით შემცირდა მსოფლიო ეკონომიკა, ბევრი საფინანსო ინსტიტუტი გაკოტრდა. ხოლო, ვინც არ გაკოტრდა, ან ძალიან დაზარალდა, ან ნაციონალიზაციას დაექვემდებარა. კრიზისთან გასამკლავებლად ცენტრალურმა ბანკებმა საპროცენტო განაკვეთები შეამცირეს, რეგულაციები შემოიღეს და სხვადასხვა ღონისძიებები დაგეგმეს. თუმცა, კრიზისიდან გამოსვლას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდა.

კრიზისმა საქართველოს ეკონომიკასაც მიაყენა ზიანი, ამას რუსეთ-საქართველოს ომიც დაემატა და ქვეყანა ორმაგი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, დანაკარგი შედარებით ნაკლები იყო.

ნაშრომში განვიხილავთ თუ რა უძღოდა წინ 2008-09 წლების გლობალური ფინანსურ კრიზისს, მის გამომწვევ მიზეზებს და ცენტრალური ბანკების საპასუხო ქმედებებს. ასევე, ვიმსჯელებთ რა გავლენა ჰქონდა კრიზისს მსოფლიოსა და საქართველოზე.

1. უძრავი ქონების ბუშტის შექმნა

2008-09 წლების კრიზისის მთვარი მიზეზი აშშ-ში უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფი ზრდა იყო, რაც უძრავი ქონების ბუშტის სახელითაა ცნობილი. კრიზისის დადგომის ნიშნები 2007 წლის დასაწყისშივე იგრძნობოდა, როდესაც კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციამ ფრედი მაკმა (Freddie Mac) განაცხადა, რომ მაღალი რისკის შემცველ იპოთეკებს აღარ შეიძენდა. იმავე წელს გაკოტრდა ამერიკული კომპანია „New Century Financial Corporation“, რომლის ძირითადი საქმიანობა რისკიანი სესხის გაცემა იყო (Marshall 2009, 7).

ABX ინდექსი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარომეტრი სუბსტანდარტიზებული (Subprime) საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორში, 2007 წლის დასაწყისში დეფოლტის დონის გაზრდას პროგნოზირებდა (Fender and Scheicher 2008, 67-74). მრავალი ეკონომისტი (ნორიელ რუბინი, მაიკლ მაიო, ვილიამ პული, უორენ ბაფეტი და სხვა) პროგნოზირებდა უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფ ვარდნას, თუმცა მათ არავინ დაუჯერა. 2006 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ნორიელ რუბინმა საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) მიმართა და დაუსაბუთა, რომ ახლო მომავალში აუცილებლად დადგებოდა გლობალური კრისიზი და ამის მიზეზი უძრავი ქონების ბუშტი იქნებოდა, თუმცა ამას დიდი რეაგირება არ მოჰყოლია (Brockes 2009).

1980-იან წლებში, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს, ფინანსური დერეგულაციების მხრივ გადადგმულმა ნაბიჯებმა დიდი წვლილი შეიტანა უძრავი ქონების ბუშტის შექმნაში. 1980 წელს აშშ-ში მიიღეს „სადეპოზიტო ინსტიტუტების

დერეგულაციისა და მონეტარული კონტროლის აქტი“. ამ აქტის მიხედვით ბანკებს შეეძლოთ ერთმანეთს შერწყმოდნენ, შესაბამისად საბანკო დაწესებულებების რიცხვი შემცირდა და სექტორის კონცენტრაცია გაიზარდა. ამასთანავე, გრან-სენ-ჟერმენის აქტის თანახმად, ბანკებს შეეძლოთ დაეწესებინათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი და გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტის მიხედვით, საინვესტიციო და კომერციულ ბანკებს შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ. მრავალი ეკონომისტი და მათ შორის ნობელის პრემიის ლაურიანტები, ჯოზეფ სტიგლიცი (Stiglitz 2010) და პოლ კრუგმანი (Krugman 2009), სწორედ გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტს ასახელებდნენ უძრავი ქონების ბუშტის შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად.

2000 წელს შემოღებულმა სუბსტანდარტულმა იპოთეკებმა დიდი როლი ითამაშეს უძრავი ქონების ბუშტის შექმნაში. ამ პერიოდამდე ბანკები სესხის მხოლოდ 80 პროცენტს (LTV=0.8) აფინანსებდნენ და საპროცენტო განაკვეთები ძირითადად ფიქსირებული იყო. 2000 წლიდან კი ბაზარზე გამოჩნდა სუბსტანდარტული სესხები, სადაც მსესხებლის თანამონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ბანკი დიდ საკრედიტო რისკს იღებდა. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ის მხოლოდ რამდენიმე წელი იყო ფიქსირებული, ხოლო, შემდეგ ხდებოდა მცურავი და ებმოდა ან LIBOR-ს ან სხვა ინდექსს. ბანკირები რისკებს აღარ უყურებდნენ და გასცემდნენ ისეთ აბსურდულ სესხებს, როგორებიცაა „Ninja“ (No income, no job, and no assets) სესხები, რომლებიც შეეძლოთ აეღოთ შემოსავლის, სამსახურის და აქტივების არმქონე ადამიანებსაც (Garriga, Noeth და Schlagenhauf 2017, 183).

2004 წლის ივნისიდან აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (FED) საპროცენტო განაკვეთების ზრდა დაიწყო და 2 წლის შემდეგ განაკვეთმა 5.25 პროცენტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 2007 წლის აგვისტომდე შენარჩუნდა (The Federal Reserve Bank of New York 2020). შესაბამისად, ყოველთვიური გადასახადები გაიზარდა, ამას კი დეფოლტების და საბანკო სისტემაში უმოქმედო სესხების დონის ზრდა მოჰყვა. უძრავი ქონების ფასების კლებამ კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია სუბსტანდარტული იპოთეკების გამცემი ბანკებისთვის.

2. კრიზისის გამომწვევი მიზეზები და საპასუხო ღონისძიებები

2008-09 წლების ფინანსური კრიზისიდან ბევრი დრო გავიდა, თუმცა მის გამომწვევ მიზეზებზე კამათი დღემდე აქტუალურია. კრიზისის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ: ფინანსური ბაზარზე ინოვაციური პროდუქტების განვითარება, საფინანსო სექტორის მხრიდან ფინანსური რისკების არაჯეროვნად გააზრება, მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა და ამ ყველაფრის კომპლექსური ნაერთი.

2.1. ფინანსური ინოვაციები

აშშ-ს ფინანსურ სექტორში გავრცელებული ინოვაციები საბანკო კრიზისის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფინანსური სექტორი კოლოსალურად მზარდი სფერო იყო, რომლის მაშტაბი 2008 წელს 48 ტრლნ დოლარს შეადგენდა და ამერიკის მთლიანი შიგა პროდუქტს სამჯერ აღემატებოდა (ჩიქობავა და კაკულია 2017). ფინანსური სექტორის ზრდასთან ერთად მრავალფეროვანი გახდა ფინანსური ინსტრუმენტებიც. სუბსტანდარტული იპოთეკების გარდა ინოვაცია იყო იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები (mortgage-backed securities, იგივე MBS) და სავალო ვალდებულებებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (collaterized debt obligation, იგივე CDO). ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდები 1980-იან წლებში შეიქმნა, თუმცა პოპულარობა უძრავი ქონების ბუშტის შექმნის პერიოდში მოიპოვა. CDO-ების და MBS-ების ზოგადი დახასიათება შემდეგნაირია: ფინანსური ინსტიტუტები იპოთეკებს კერძო დაწესებულებებს ან კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციებს (ამერიკის შემთხვევაში Fanny Mae ან Freddie Mac) მიჰყიდიან, შემდეგ ისინი ახდენენ ამ იპოთეკების სეკურიტიზაციას (Securitization) და ერთ ფასიან ქაღალდად გარდაქმნიან, რომლის საბოლოო მყიდველი უკვე ინვესტორია. მიყიდვას ახორციელებს არა საინვესტიციო ბანკი, არამედ ბანკის მიერ შექმნილი ვიწრო სპეციალიზაციის ცალკე კომპანია (SPV), რომელიც ბანკს ფინანსური და იურიდიული რისკისგან იცავს. გაყიდვამდე ფასიან ქაღალდებს სარეიტინგო კომპანიები ანიჭებენ რეიტინგს. ფინანსური კრიზისის დროს კი მინიჭებული რეიტინგები რეალურზე ბევრად მაღალი იყო.

2000 წლიდან ამ ტიპის ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ინვესტორებს სხვა ობლიგაციებსა თუ ფასიან ქაღალდებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდნენ. თანაც სარეიტინგო ორგანიზაციების მიხედვით უსაფრთხოდ ითვლებოდა მათში ფულის დაბანდება. შესაბამისად, აშშ-ს და სხვა ქვეყნების ინვესტორებისთვის, რომელთაც ჭარბი ლიკვიდობა ჰქონდათ, MBS-ებში და CDO-ებში ფულის დაბანდება საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა. შედეგად, ამ ტიპის ობლიგაციებზე მოთხოვნა გაიზარდა და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი.

2.2. საინვესტიციო ბანკები, სარეიტინგო კომპანიები და მათ შორის დამოკიდებულება

აშშ-ში საბანკო და საინვესტიციო სექტორებს დიდხნიანი ისტორია აქვთ. 1980-იანი წლებიდან საივნესტიციო ბანკებმა ამერიკის და ზოგადად გლობალურ ბაზარზე ზრდა დაიწყეს. მოძლიერებულმა საინვესტიციო ბანკებმა შეძლეს შერწყმოდნენ ერთმანეთს ან სხვა საინვესტიციო ბანკები შეეძინათ. შედეგად, ამერიკის ბაზარზე მივიღეთ მონოპოლია და ბაზარზე გავლენის მოხდენა უფრო გაადვილდა.

წინა ქვეთავში როგორც აღვნიშნეთ, საინვესტიციო ბანკები ქმნიდნენ CDO-ებს, შემდეგ კი ინვესტორებზე ყიდდნენ. თუმცა დროდადრო სუბსტანდარტული

სესხების რიცხვი, რომლებიც დეფოლტის მაღალი ალბათობით გამოირჩეოდნენ, მთლიან „შეფუთულ“ სესხების კალათაში იზრდებოდა. ბანკები სარეიტინგო კომპანიებს ფულს უხდიდნენ რათა CDO-ებისთვის კარგი შეფასება (AAA) დაეწერათ და შემდეგ სესხები ადვილად გაეყიდათ. შედეგად, სარეიტინგო კომპანიების მოგება საგრძნობლად გაიზარდა (Mihaelajméno 2015, 638-639). ბაზარზე სამ უმსხვილეს სარეიტინგო კომპანიას შორის კონკურენცია მაღალი იყო და თითოეული ცდილობდა საინვესტიციო ბანკებთან პარტნიორობის გაძლიერებას. შესაბამისად, თუ კარგ რეიტინგს არ დაწერდნენ, ბანკები თავისუფლად შეძლებდნენ მათთვის სასურველი რეიტინგის სხვა კომპანიისგან მიღებას. ამიტომ, სარეიტინგო კომპანიები თვალს ხუჭავდნენ CDO-ებში არსებულ ცუდ სესხებზე. არავინ იცოდა ზუსტად როგორი სესხებისგან შედგებოდა CDO-ები და ინვესტორები ბრამად ენდობოდნენ მაღალ რეიტინგებს. ასევე, FED ბანკებს CDO-ების გადეფოლტების დასაზღვევად კაპიტალის გადანახვას არ ავალდებულებდა. ბანკები აქტიურად ცდილობნენ გაეყიდათ დიდი რაოდენობით CDO-ები და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი, რომლის გასკდომა უკვე დროის საკითხი იყო და ინვესტორთა დანაკარგების პირველივე ტალღა ამას აუცილებლად გამოიწვევდა. ჩანართი №1 კარგად ასახავს ფინანსური კრიზისის გამომწვევ მოვლენებს და FED-ის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

ჩანართი №1:

ფინანსურ კრიზისამდე მიმავალ მოვლენათა ჯაჭვი



3. კრიზისის შედეგები

3.1. კრიზისი

2006 წლიდან მოყოლებული, უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნამ ამერიკის ეკონომიკაზე დიდი ზეგავლენა იქონია. ადამიანებს გაუჭირდათ სესხის მომსახურება და იძულებულნი გახდნენ სახლები გაეყიდათ. უძრავი ქონების ბუშტის გასკდომის შემდეგ მოთხოვნა სახლებზე აღარ არსებობდა, და სამშენებლო სექტორი დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. იპოთეკის გამცემი კომპანიები თანდათანობით კოტრდებოდნენ და იპოთეკური კრიზისი უკვე ფინანსურ კრიზისად გადაიქცა.

2008 წელს ორ უმსხვილეს კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციას Fannie Mae-ს და Freddy Mac-ს შეექმნა ლიკვიდობის პრობლემა და ფედერალური სარეზერვო სისტემის (FED) მფლობელობაში გადავიდა. Bear Sterns შეიძინა J.P Morgan-მა და შემდეგ, 2008 წლის 15 სექტემბერს, გაკოტრდა უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი Lehman Brothers, რაც მანამდე შეუძლებლად მიაჩნდათ. ფინანსური სექტრი არეულობამ მოიცვა, აქციებზე ფასები ეცემოდა, ბანკები კი უიმედოდ ეძებდნენ მსესხებლებს, რათა ლიკვიდობა ჰქონოდათ. უმსხვილესმა სადაზღვეო კომპანია AIG-მ გაცემული CDS-ების გამო მომსახურების გაწევა ვეღარ შეძლო და ამერიკის მთავრობა იძულებული გახდა კოპმანია გაკოტრებიგან დაეხსნა.

3.2. ინვესტორების ზარალი

უძრავი ქონების ბუშტის გასკდომის შემდეგ ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ ინვესტორებმა მიიღეს. საინვესტიციო ფირმებმა, ჰეჯ ფონდებმა და ასევე ყველა კერძო ინვესტორმა ვინც ფული CDO-ებში ჩადო დიდი დანაკარგი ნახა. საპენსიო ფონდებმა, რომელთაც გადაწყიტეს CDO-ების ნაკლებად სარისკო ნაწილი ეყიდათ, ფული სრულად დაკარგეს.

3.3. გლობალური რეცესია

აშშ-ს ფინანსური კრიზისის გაღრმავება და რეცესია გადამდები აღმოჩნდა მსოფლიოსთვისაც. 21-ე საუკუნეში ინვესტორები და კომპანიები ბევარდ უფრო დაკავშირებულები არიან ვიდრე აქამდე იყვნენ, შესაბამისად, კრიზისის გლობალური ეფექტი უფრო სწრაფი და მძიმეა. 2008 წლიდან კრიზისმა გლობალური სახე მიიღო. მაგალითისთვის, გერმანიაში ბანკები, რომელთაც ინვესტიცია ჰქონდათ გაკეთებული ამერიკის უძრავი ქონების სექტორში გაკოტრებასთან ახლოს იყვნენ და მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო (Hodson and Quaglia 2009, 940). ნეგა-

ტიური მოლოდინების გამო ადამიანები ცდილობდნენ ნაკლები დაეხარჯათ, რომ მომავალში ფულის ან სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში მეტად დაზღვეულები ყოფილიყვნენ და ამან მოთხოვნაზე ზეგავლენა იქონია. მოთხოვნის შემცირებას მოჰყვა აშშ-ს ექსპორტის ჩამოშლა, რაც უმძიმესი აღმოჩნდა ჩინეთისა და იაპონისთვის. 2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, გერმანიში კლება იყო 14.4 პროცენტი, იაპონიაში - 15.2 პროცენტი, დიდ ბრიტანეთში 7.4 პროცენტი, ევროზონისთვის კი - 9.8 პროცენტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, ევროპულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა ამერიკულ საფინანსო სექტორზე მეტი იზარალეს (Baily and Elliott 2009, 17).

3.4. კრიზისის გავლენა საქართველოზე

შავი-ზღვის რეგიონში ფინანსური ბაზრები ნაკლებად განვითარებული იყო, ამიტომ ფინანსური კრიზისის გავლენა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებად დამაზიანებელი აღმოჩნდა (Gavras and Manoli 2015, 15). შავი-ზღვის რეგიონის ქვეყნები გადაურჩნენ ფინანსურ კოლაფსს, თუმცა ფინანსური ბაზრების განუვითარებლობამ ეკონომიკა კრიზისის ზეგავლენისგან ვერ დაიცვა. ამ რეგიონის ქვეყნებზე ანალიზი ცალ-ცალკე შეიძლება გაკეთდეს, თუმცა ჩვენ ყურადღებას საქართველოზე გავამახვილებთ.

საქართველოს ამ პერიოდში ორმაგი კრიზისითსვის მოუწია გამკლავება. ერთი ეს იყო მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მეორე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკაზე ამ ორი კრიზისის ეფექტების განცალკევება საკმაოდ რთულია.

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, 2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო მიიღებდა 4,55 მილიარდი აშშ დოლარს, საიდანაც 2,55 მლრდ იყო კრედიტი, ხოლო 2 მილიარდი-გრანტი. ომის შემდეგ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო. 2009 წლის 6 აგვისტოს, იმავე პროგრამის ფარგლებში IMF-მა საქართველოს დამატებით 420 მლნ აშშ დოლარი მისცა (პაპავა 2013, 66). 2009 წლის გაზაფხულზე ბანკებს გასასტუმრებელი ჰქონდათ 500 მლნ აშშ დოლარის ვალდებულება, რისი რესურსიც არ გააჩნდათ და სწორედ ამ დახმარებებიადან გამოიყო 636 მლნ აშშ დოლარი, რამაც ბანკებს ფინანსური სტაბულირობა შეუნარჩუნა (World Bank, United Nations 2009). შედეგად სახეზე გვაქვს „ომის პარადოქსი“, როცა ქვეყნისთვის უარყოფითმა

მოვლენამ - ომმა, საერთაშორისო პარტნიორების დახმარების ხარჯზე მოგვცა საშუალება თავიდან აგვეცილებინა ფინანსური კოლაფსი (Papava 2010, 47).

5. დასკვნა

2008-09 წლების ფინანსური კრიზისი უმძიმესი იყო მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში. კრიზისამდე მიმავალ პერიოდში, ადამიანები იღებდნენ დიდი რაოდნეობით სესხებს სახლების საყიდლად. ამავდროულად, სამშენებლო სექტორი წარმოებას არ წყვეტდა და შეიქმნა ვალების ჭარბწარმოების კრიზისი, რომელიც მიწოდების ჭარბწარმოების კრიზისად გადაიქცა. აშშ-ში დაწყებულ კრიზისს მალევე გლობალური სახე მიეცა, ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობა რისკის ქვეშ დადგა, უმუშევრობის დონე გაიზარდა, უძრავი ქონების სექტორში ინვესტორებმა უდიდესი ზარალი ნახეს და დაიწყო გლობალური რეცესია.

მრავალი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს მის გამომწვევ მიზეზად. მათ შორის მნიშვნელოვანია აშშ-ს მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ინოვაციები, ნაკლები რეგულაციები, ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთკავშირი და რისკების მართვის სერიოზული ხარვეზები. კრიზისმა საქართველოსაც მძიმე დარტყმა მიაყენა, თუმცა, როგორც ვნახეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ზარალი ბევრად ნაკლები იყო. ამას დაემატა რუსეთ-საქართველოს ომი, მაგრამ "ომის პარადოქსმა" ქვეყანას ეკნომიკური მდგრადობა შეუნარჩუნა და ფინანსური კოლაფსს გადაარჩინა.

ვის მიუძღვის ბრალი 2008-09 ფინანსური კრიზისის შექმნაში? იმ ადამიანებს ვინც შექმნა ახალი პროდუქტები როგორებიცაა CDO, CDS და მოდელები რომლებიც მათ აფასებს? თუ მაღალი კლასის მენეჯმენტი, რისკ მენეჯერები რომლების ზედმეტად მაღალ რისკს იღებდნენ და ტრეიდერები რომლებიც ჭარბ ინვესტირებას აკეთებდნენ? იქნებ AAA რეიტინგით სარისკო ფასიანი ქაღალდების შეფასება გახდა მიზეზი? ან სარისკო სექტორში ჭარბი ინვესტირების გაშვება? ან რეგულატორები რომლებიც უშვებდნენ ასეთ გაუთვალისიწნებელ, ჭარბ ინვესტირებას სარისკო სექტიორში?

პასუხია: ყველა მათგანი! ფინანსური კრიზისის მთავარი გამომწვევი ადამიანების დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა იყო. ფინანური კრიზისი ყველასთვის დიდი გაკვეთილია. დღევანდელი მეტად დახვეწილი რისკ მენეჯმენტი და რეგულაციები, რომლებიც ბანკებს მეტი ლიკვიდობის დატოვებას ავალდებულებს იმედის მომცემია სამომავლო კრიზისებისაგან თავის დასაზღვევად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acharya, Viral, Thomas Philippon, Matthew Richardson, and Nouriel Roubini. 2009. "The Financial Crisis of 2007-2009: Causes and Remedies." *Financial Markets Institutions & Instruments* 89-137.
2. Anonymous. 2008. "Confessions of a Risk Manager." *The Economist.*
3. Baily, Neil Martin, and Douglas Elliott. 2009. "The U.S. Financial and Economic Crisis: Where Does It Stand and Where Do We." *The Initiative on Business and Public Policy* 1-26.
4. Brockes, Emma. 2009. *He told us so.* January 24. Accessed 05 16, 2021. https://www.theguardian.com/business/2009/jan/24/nouriel-roubini-credit-crunch.
5. Fender, Ingo, and Martin Scheicher. 2008. "The ABX: How do the markets price subprime mortgage risk?" *Bank for International Settlements* 67-81.
6. GARP. 2020. "Financial Risk Manager." In *Foundation of Risk Management*, by GARP, 159-160. New York: Pearson Education.
7. Garriga, Carlos, Bryan Noeth, and Don Schlagenhauf. 2017. "Household Debt and the Great Recession." *Federal Reserve Bank of St. Louis Review* 183-205. doi:https://doi.org/10.20955/r.2017.183-205.
8. Gavras, Panayotis, and Panagiota Manoli. 2015. *The Black Sea Region After the 2008 Global Financial Crisis.* Policy Report I, Istanbul: The Black Sea Trust for Regional Cooperation, 48-56.
9. Gordon, Greg. 2009. *How Goldman secretly bet on the U.S. housing crash.* June 16. Accessed 05 20, 2021. https://www.mcclatchydc.com/news/politics-government/article24561376.html.
10. Hodson, Dermot, and Lucia Quaglia. 2009. "European perspectives on the global financial crisis:." *Journal of Common Market Studies* 939-953.
11. Krugman, Paul. 2009. *Reagan Did It.* May 31. Accessed 05 16, 2021. https://www.nytimes.com/2009/06/01/opinion/01krugman.html.
12. Loungani, Prakash. 2006. *IMF Survey* (International Monetary Fund) 308.
13. Marshall, John. 2009. "The financial crisis in the U.S.: Key events, causes and responses." *Research Paper 09/34* . London: House of Commons Library, April 22. 1-55.
14. Meissner, Gunter. 2014. *Correlation Risk Modeling and Management.* Wiley.
15. Mihaelajméno, Marioara. 2015. "Credit rating agency performance in terms of profit." *3rd Economics & Finance Conference.* Italy: Elsevier B.V. 631-642.
16. Papava, Vladimer. 2010. "The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis." *International Centre for Black Sea Studies (ICBSS)* (International Centre for Black Sea Studies (ICBSS)) 1-96.
17. Singh, Manoj. 2021. *The 2007-2008 Financial Crisis in Review.* January 11. Accessed 05 15, 2021. https://www.investopedia.com/articles/economics/09/financial-crisis-review.asp.
18. Stiglitz, Joseph. 2010. *Freefall: America, Free Markets, and the Sinking of the World Economy.* New York: W. W. Norton & Company.
19. Taylor, John. 2009. "Economic policy and the financial crisis: An empirical analysis of what went wrong." *Critical Review: A Journal of Politics and Society* 341-364. doi:http://dx.doi.org/10.1080/08913810902974865.
20. Thakor, Anjan. 2015. "The Financial Crisis of 2007-2009: Why Did It Happen and What Did We Learn?" *Review of Corporate Finance Studies* 155-205.
21. The Federal Reserve Bank of New York. 2020. *FOMC's target federal funds rate or range, change (basis points) and level.* March 16. Accessed May 16, 2021. https://www.federalreserve.gov/monetarypolicy/openmarket.htm.
22. Theater, David, and Mark Milner. 2005. "GM and Ford plunge to junk status." *The Guardian.*
23. World Bank, United Nations. 2009. *Georgia: Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction.* Progress Report, The United Nations and the World Bank.

24. პაპავა, ვლადიმერ. 2013. "რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ." *ქართული პოლიტიკა* 65-70.
25. ჩიქობავა, მალხაზ, ნაზირა კაკულია. 2017. "ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი." *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

The Nature, Formation, and End of 2007-2008 Global Financial Crisis

Tsotne Gogishvili
TSU PhD Student

SUMMARY

The paper reviews the main causes of the 2007-2008 financial crisis and the impact it had on world and especially Georgia. The main sources of the crisis are financial instruments, insurance companies, interdependence between investment banks and rating companies, US monetary policy. Also, the paper summarizes the steps taken by governments and regulators to overcome the crisis. Finally, as a conclusion, we will find out what are the main causes of the crisis and what we should consider in the future for avoiding it.

Key words: Global financial crisis, financial crisis of 2007-2008, global recession, securitization, subprime mortgage crisis, causes of financial crisis.

ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში

მანანა ებანოიძე
თსუ მაგისტრანტი

ჩატარებული კვლევის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობაზე კოვიდ პანდემიის გავლენის ანალიზი, მათ მიმართ ძალადობის გამოვლენის ფორმების იდენტიფიცირება, ძალადობის მაპროვოცირებელი/აღმკვეთი ფაქტორების შეფასება, ქალთა მიმართა ძალადობისადმი საზოგადოებრივი აზრის დიფერენციაციის გამოვლენა სქესის მიხედვით. შედეგებმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ ხშირია ძალადობის ფაქტების არ გახმაურება. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქალი, მიუხედავად მისი განათლების, ეკონომიკური მდგომარეობის თუ სხვა ფაქტორისა.

საკვანძო სიტყვები: *ქალთა მიმართ ძალადობა, მსხვერპლი, მოძალადე, კვლევა, ანალიზი.*

დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ, გენდერული თანასწორობის იდეა სულ უფრო აქტიურად ხვდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა საკმაოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში. 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15–64 წლის ქალების დაახლოებით 6 %-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვთ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან; შვიდი ქალიდან ერთს (დაახლოებით 13%) გამოუცდია ფსიქოლოგიური, 10%-ს კი ეკონომიკური ძალადობა. (UN Women, 2018)

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, ქალების 78.3% ოჯახში ძალადობას მხოლოდ ოჯახის საქმედ მიიჩნევს, 51%-ს კი მიაჩნია, რომ კარგი ცოლი იმ შემთხვევაშიც ემორჩილება ქმარს, როცა პირადად არ ეთანხმება. 34.1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს და ოჯახში ძალადობას სამართალდარღვევად არ თვლის,შესაბამისად არ მიმართავს პოლიციას. (ჯავახიშვილი & ჩიტიშვილი, 2010)

იმ პირობებში როდესაც მოძალადის ქცევის მიზეზად ხშირად სტრესული სიტუაცია ან ეკონომიკური ფონი სახელდება, სავარაუდოა რომ კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში ოჯახური/ქალებზე ძალადობის ფაქტების რაოდენობა გაიზრდება, მით უმეტეს სახლიდან მუშაობის, ან სამსახურის დროებით დაკარგვის გამო, გაზრდილია ოჯახის წევრების მიერ ერთად გატარებული დროის მოცულობა.

ოჯახური ძალადოების შესაბამისი ინფორმაციული ბაზის არსებობა სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების აუცილებელი პირობაა, ეს უკანასკნელი კი

სწორი პოლიტიკისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების საფუძველი შეიძლება იყოს. ამ მიმართულებით შესაბამისი სტატისტიკის მნიშვნელობა ხაზგასმულია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში.

მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს, რათა ყველა ქალმა იცოდეს, რომ ისინი არ არიან გამონაკლისნი. სხვებზეც ძალადობენ და ძალადობის ფაქტის გამჟღავნება დანაშაული არაა, როგორც მათ შეიძლება ამას რელიგიის/ტრადიციების/ გარემომცველ საზოგადოებაში დამკვიდერული მახინჯი ნორმების სახელით აჯერებენ.

საქართველოში ქალთა მიმაერთ ძალადობის შესახებ რამდენიმე კვლევაა ჩატარებული რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა, მაგრამ აღსანიშნავია რომ ისინი ძირითადად წარსული პერიოდის მდგომარეობას ახასიათებს. მაგალითად, გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2009 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა სქართველოში. უნდა ითქვას რომ ჩვენს ქვეყანაში ოჯახურ ძალადობაზე კორონა ვირუსის გავლენის მახასიათებელი კვლევების დეფიციტია. საკითხთან ყველაზე ახლოს დგას ორგანიზაცია „საფარის“ მიერ ჩატარებული კვლევა ,,ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვისების მიწოდებისას არსებული გამოწვევები კოვიდ-19-ის პანდემიის დროს.“ წინამდებარე კვლევის მიზანია შეავსოს აქამდე არსებული კვლევებით მიღებული ინფორმაცია და გამოკვეთოს ძირითადი გამოწვევები.

კვლევის პროცესში შემუშავდა 21 კითხვისგან შემდგარი კითხვარი, ამასთან ეტაპების შესაბამისად გამოყენებულ იქნა სტატისტიკრი დაკვირვების, თავმოყრა - დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ანალიზის მეთოდებიდან კი კონკრეტულად საშუალო სიდიდეების, ვარიაციის, შერჩევითი, კლასტერული და სხვა მეთოდები. მიღებული მონაცემების დამუშავება განხორციელდა საოფისე პროგრამა EXCEL -სა და კომპიუტერული პროგრამა SPSS -ის საფუძველზე.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკითხა 397 რესპოდენტი, რომელთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1

რესპოდენტთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით[1]

სქესი	18 წლამდე	18-24	25-44	45 წელი და უფროსი	სულ
მამრობითი	0.3%	10.8%	10.3%	5.3%	26.7%
მდედრობითი	0.5%	35.5%	23.2%	14.1%	73.3%
სულ	0.8%	46.3%	33.5%	19.4%	100.0%

კვლევაში მონაწილეობა 106 მამაკაცმა (26,7%) და 291 მანდილოსანმა (73,3%). რესპოდენტების დაახლოებით ნახევარი (46,3%) 18-24 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელია. ყვეაზე მცირე წილი (0.8%) 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის.

გამოკითხულთა განაწილება განათლებისა და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამა 1-სა და დიაგრამა 2-ზე.

დიგრამა 1

რესპონდენტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



კვლევაში მონაწილეთა თითქმის 71% უმაღლესი განათლების მქონეა.

დიაგრამა 2

რესპონდენტთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით



[1] შენიშვნა: მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი ყველა ცხრილი და დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა 44% დაქირავებულია, 27 % სტუდენტი. ყველაზე მცირე წილით პენსიონერები არიან წარმოდგენილები.

მდედრობითი სქესის რესპოდენტებს კითხვარში ხვდებოდათ კითხვა უგძვნიათ თუ არა ოდესმე თავი ძალადობის მსხვერპლად, რაზეც 96 მათგანმა (33%) დადებითად უპასუხა. (იხ. დიაგრამა 3)

დიაგრამა 3

ქალ რესპონდენტთა განაწილება ძალადობის მსხვერპლად ყოფნის მიხედვით (%)



გამოვიკვლიეთ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმები. დიაგრამა 4-ზე ნაჩვენებია ძალადობის შემთხვევათა განაწილება ძალადობის ფორმების მიხედვით.

დიაგრამა 4

რესპონდენტების განაწილება ძალადობის შემთხვევების ფორმების მიხედვით[2]



ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობაა (80%), შემდეგ მოდის სიტყვიერი ძალადობა (60%), ყველაზე მცირე კი ეკონომიკური ძალადობის წილია, მსხვერპლთა 15 % საუბრობს ამ ტიპის ძალადობრივ გამოცდილებაზე.

ძალადობის მსხვერპლი ქალების 68%-ის განცხადებით მომძალადე იყო არა-პარტნიორი, 32% კი მიუთითითებს პარტნიორის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე.

[2] შენიშვნა: ამ დიაგრამაზე პროცენტთა ჯამი აჭარბებს 100%-ს, რაც განპირობებული იმით რომ რესპოდენტებს კითვაზე რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ.

დიაგრამა 5

რესპონდენტების განაწილება ძალადობის პროვოცირების გარემოებების მიხედვით



ძალადობის მაპროვოცირებელ გარემოებად მსხვერპლთა დიდი ნაწილი ემოციურ აღელვებასა (40%) და ოჯახის/სოციუმის გავლენას ასახელებს, სადაც მოძალადე ცხოვრობს/გაიზარდა (36%). ყველაზე მცირე წილს იკავებს ტრადიციების გავლენა. სხვა ფაქტორებს შორის განიხილება ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, კომპლექსები, ყველა გარემოების ერთობლივი მოქმედება და სხვ.

ძალადობის მსხვერპლ ქალთა ნახევარზე მეტს (59%) არ უწევდა მოძალადესთან დარჩენა.დარჩენის მიზეზებს შორის კი ლიდერობს მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება (15%) და სართო შვილების გამო დარჩენა (13%). (იხ. დიაგრამა 6)

დიაგრამა 6

რესპონდენტების განაწილება მოძალადესთან დარჩენის მიზეზების მიხედვით



დიაგრამა 7

რესპონდენტების განაწილება ძალადობის ფაქტის გაცხადების შემდეგ წარმოქმნილი სირთულეების მიხედვით



ძალადობის სხვერპლ რესპონდენტთა 58 %-ს ძალადობის ფაქტის შესხებ არ განუცხადებია. იმ რესპოდენტთათვის ვინც ფაქტი განაცხადა ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი აზრისა და ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემას წააწყდა.

დიაგრამა 8

რესპონდენტების განაწილება ძალადობის ფაქტის გახმაურებაზე გარშემომყოფთა რეაქციის მიხედვით



იმ ქალთა 43%, რომელთაც ძალადობის ფაქტზე დაიწყეს საუბარი, ამბობს რომ გარშემომყოფები გვერდში დაუდგნენ და ყველანაირად დაეხმარნენ. თუმცა ასევე მაღალია იმ შემთხვევების წილი, როცა მსხვერპლს რეალობის შეგუებისკენ მოუწოდეს (32%), მოძალადის ქცევა ნორმალურად მიიჩნიეს (15%) ან მსხვერპლი გაკიცხეს და დაადანაშაულეს (10%).

კითხვაზე ყოფილა თუ არა მსხვერპლი ქალების შემთხვევაში მათი დასაქ-მების სტატუსი ოჯახში ძალადობის მიზეზი, პასუხები შემდეგნაირად გადანა-წილდა: იხ. დიაგრამა 9. 22 %-ის შემთხვევაში კი პასუხი დადებითია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და აჩენს იმის საფრთხეს რომ სამუშაო ძალს გამოაკლდეს

ქალთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც ვინ იცის რამდენად ღირებული ეკონომიკური დოვლათის შექმნა შეეძლოთ.

დიაგრამა 9

რესპონდენტების განაწილება დასაქმების გამო ოჯახში დაძაბულობის მიზეზის მიხედვით



ძალადობის მსხვერპლ რესპოდენტებს ასევე შევაფასებინეთ რადენად იქონია პანდემიამ გავლენა ოჯახში დაძაბულობის ზრდაზე. 20 %-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, 18 %-მა დადებითი ხოლო 62% უარყოფითი პასუხი გაგვცა.

დიაგრამა 10

რესპონდენტების განაწილება პანდემიის გამო ოჯახში ერთად გატარებული დროისა და დაძაბულობის ზრდის მიხედვით



კითხვარის შემდგომი კითხვები უკვე ყველა რესპონდენტზე იყო გათვლილი და ემსახურებოდა საზოგადოებრი აზრის შეფასებას ქალთა მიმართ ძალადობისადმი.

დიაგრამა 11

რესპონდენტების განაწილება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის ხილვისას რეაქციების მიხედვით



რესპოდენტთა ნახევარზე მეტი (50.9%) აღნიშნავს რომ შეეცდებოდა მსხვერპლის დახმარებას და პარალელურად მიმართავდა პოლიციას. მაღალია იმ რესპოდენტთა წილი რომელიც კონკრეტული სიტოაციის თავისებურებიდან გამომდინარე გადაწყვეტს როგორ იმოქმედოს (33.5%). 4.5% კი ამბობს რომ სიტუაციისგან განრიდებას არჩევდა, თუკი ეცოდინებოდა რომ ძალადობის ფაქტს ხშირი სახე აქვს და მსხვერპლს ფიზიკურად არ აზიანებს.

დიაგრამა 12-ზე მოცემულია ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორები რესპოდენტთა შეხედულების მიხედვით. ყველაზე მაღალია ოჯახის/სოციუმის წილი სადაც პიროვნება იზრდება და განათლების ნაკლებობაც მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად განიხილება.

დიაგრამა 12

რესპონდენტების განაწილება ზოგადად ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორებისადმი დამოკიდებულების მიხედვით



რესპონდენტების დაახლოებით 57%-მა დაფიქსირა რომ არ სმენოდა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში 2012 წელს მომხდარი ცვლილებების შესახებ, რითაც მოხდა ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაცია.

კითხვარის ბოლოს რესპონდენტებმა ლაიკერტის შკალით შეაფასეს ერთიდან ხუთ ქულამდე სისტემით, რამდენად ეთანხმებოდნენ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულ დებულებებს. ამ შეფასების მიხედვით კლასტერული ანალიზის, კერძოდ ორნაბიჯიანი ანალიზის (TwoStep Cluster Analysis), საფუძველზე, კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით შევძელით რესპოდენტები მსგავს ჯგუფებად გაგვეერთიანებინა. გამოიყო ორი ჯგუფი:

1. რესპნოდენტები რომელთა აზრით, ქალთა მიმართ ძალადობა არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული; (რესპონდენტთა 79%).

2. შედარებით რადიკალურად განწყობილი რესპონდენტები, რომელთა აზრით, არსებობს შემთხვევები როცა ქალის ქცევა ძალადობით დასჯის ღირსია. (რესპონდენტთა 21%)

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, სამწუხაროდ, ფიქსირდება, ამასთან შეინიშნება ზრდადი ტენდენციები. დინამიკაში ქალთა მიართ ძალადობის ფაქტების რაოდენობის ზრდას ორგვარი ბუნება აქვს, ერთი რომ მართლაც გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები და მეორე რომ თავად მსხვერპლები უფრო ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის შესაბამის ორგანოებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემბის მიხედვით კვლევაში მონაწილე ქალთა 33% აცხადებს რომ ოდესმე თავი ძალადობის მსხვერპლად უგძვრნია. ძალადობის მსხვერპლ რესპონდენტთა 58 %-ს ძალადობის ფაქტის შესხებ არ განუცხადებია. ის რესპონდენტები, ვინც ფაქტი განაცხადა, ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი აზრისა და ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემას წააწყდნენ. ძალადობის ფორმებს შორის კვლევის შედეგად ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობაა (80%). ძალადობის მაპროვოცირებელ გარემოებად მსხვერპლთა დიდი ნაწილი ემოციურ აღელვებასა (40%) და ოჯახის/სოციუმის გავლენას ასახელებს, სადაც მოძალადე ცხოვრობს/გაიზარდა (36%). მოძალადესთან დარჩენის მიზეზებს შორის ლიდერობს მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება (15%) და საერთო შვილების გამო დარჩენა (13%).იმ ქალთა 43%, რომელთაც ძალადობის ფაქტზე დაიწყეს საუბარი, ამბობს რომ გარშემომყოფები გვერდში დაუდგნენ და ყველანაირად დაეხმარნენ. 32 %-ის შემთხვევაში მსხვერპლს რეალობის შეგუებისკენ მოუწოდეს.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კვლავაც საკმაოდ მწვავედ დგას ქალთა მიმართ ძალადობაზე საზოგადოებრივი აზრის და ოჯახის/სოციუმის გავლენის საკითხი, სადაც პიროვნება იზრდება, აქტიურად უნდა ჩატარდეს კამპანიები საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის. ამასთან, მოძალადესთან დარჩენის მთავარ მიზეზად რესპოდენტები მასზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ასახელებენ, შესაბამისად კარგი იქნება არსებობდეს სპეციალური პროფესიული გადამზადების პროგრამები ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის, რათა მათ შეძლონ დასაქმება და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, ძალადობის ფაქტზე საუბრის დაწყების შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც მსხვერპლები წააწყდნენ ინფორმაციის ნაკლებობაა. ვფიქრობთ, კარგი იქნება ყოველწლიურად მომზადდეს

კრებული, რომელიც შეაჯამებდა ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის ყველა ასპექტს, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და თავშესაფრებში განთავსების შესახებ, და ორიენტირებული იქნებოდა მოწყვლად ჯგუფებზე, რომელიც ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება.

სასურველია სასამართლო და ძალოვანი ორგანოების მიერ წარმოებული სტატისტიკა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მეტად ფართო სპექტრს იძლეოდს, მეტად თვალსაჩინო და მარტივად აღქმადი ფორმით ქვეყნდებოდეს.

გარდა ამისა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ონლაინ გამოპასუხებაზე დაფუძნებულ ანონიმურ კვლევებს, პირისპირ ინტერვიუსთან შედარებით. როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, მსგავსი კვლევების შედეგად ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ვლინდება, რადგან რესპოდენტები მსგავს პირობებში უფრო გულწრფელნი არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ორგანიზაცია საფარი. (2020). ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვისების მიწოდებისას არსებული გამოწვევები კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. Retrieved from https://sapari.ge/wp-content/uploads/2021/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D-pdf.pdf?fbclid=IwAR1wLj_O7MmNYrIE8ZHbKdzWq8jhGupjsNsbYhOBNCBe392h6SLNoIpJJ3w;
2. საქართველოს პარლამენტი. (2006). „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21;
3. საქართველოს სახალხო დამცველი. (2021). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში. Retrieved from https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf
4. ჯავახიშვილი, ნ., & ჩიტიშვილი, მ. (2010). ქალთა მიმართ ოახში ძალადობის საკითხების ეროვნულ კვლევა საქართველოში. თბილისი: ეისითი.
5. UN Women. (2018). „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017“. Retrieved from https://www.geostat.ge/media/26060/National-VAW-Study-Report-Geo.pdf

Statistical study of violence against women in Georgia

Manana Ebanoidze
TSU Master Student

SUMMARY

The aim of this thesis is to analyze statistically modern trends of violence against women in Georgia; to identify the factors that have possible effect on violence against women; The survey results show that anyone can be a victim of violence, regardless their education, economic status or any other factors.

Keywords: Violence against women; victim; abuser; research; analysis

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები მცხეთა-მთიანეთში 1990-იანი წლებიდან დღემდე

ლუკა კენტელაძე
თსუ მაგისტრანტი

თანამედროვე მდგომარეობით მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. იგივე ტენდენცი ფიქსირდება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, ეს იმ დროს, როდესაც თავად საქართველოს მოსახლეობა იკლებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) დემოგრაფიული განყოფილების პროგნოზით კლების ტენდენცია გაგრძელდება და 2050 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა მიაღწევს 3,393,665-ს, რაც 294,935-ით ნაკლებია 2022 წელთან შედარებით.

დემოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები და თვითონ დემოგრაფია ყოველთვის იყო ერთ-ერთი აქტუალური თემა, რადგან ის მნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებასა და მის მომავალზე. შესაბამისად, ბუნებრივი მოძრაობის შესწავლა და ტენდენციის გამოვლენა ერთ-ერთი რეგიონის, ამ შემთხვევაში მცხეთა-მთიანეთის მაგალითზე საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია, რადგან ზოგადად, ქვეყნის დემოგრაფიულ სახეს მისი რეგიონები და იქ მცხოვრები მოსახლეობა ქმნის.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესწავლას: შობადობის, მოკვდაობის, ქორწინება-განქორწინების თვალსაზრისით. ჩემი მიზანი რეგიონში არსებული ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციების გამოვლენა, მისი სტატისტიკური ანალიზი და პარალელების გავლებაა ზოგადად საქართველოს მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების მიმართ, რომელთა გამო დღეს დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე ვდგავართ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად 1994 წლიდან 2022 წლის ჩათვლით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 1,241.3 ათასით. სამწუხაროა, რომ მსოფლიოში საქართველო მოსახლეობის რაოდენობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლებით გამოირჩევა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ XXI საუკუნეში საქართველოში სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებდა. პირიქით, ამ პერიოდში დაფიქსირდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ბუნებრივი მატება. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საშუალო წლიური კლება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილმა ქვეყანა დატოვა. ამ პროცესებს თან მოჰყვა შობადობის დონის კლებაც და ფაქტია, რომ ბოლო ხანებში საქართველო განსხვავებულ დემოგრაფიულ რეალობაში ცხოვრობს (ჩიქავა, 2014).

ბოლო ორ წელიწადში მსოფლიოში განვითარებულმა პანდემიურმა ვითარებამ სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. 2020 და 2021 წლებში გარდაცვლილმა მოსახლეობამ გადააჭარბა ცოცხლად დაბადებულთა რიცხვს, რამაც ბუნებრივი მატების კლებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი და უარყოფით ჭრილში გადაიყვანა.

საქართველოში სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. 90-იან წლებში, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. ქვეყანაში მცირდება ქორწინებათა რიცხვი და ამის საპირისპიროდ იზრდება განქორწინებათა შემთხვევები.

დემოგრაფიის შესახებ ბევრი სამეცნიერო და აკადემიური ნაშრომია შექმნილი მეცნიერული შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე. ავტორები ძირითადად სტატისტიკურ ინფორმაციაზე, თავიანთ შეხედულებებსა და თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით აფასებდნენ დემოგრაფიის ზოგად პრობლემებს, ქვეყნისა და მსოფლიო დონეზე, თუმცა, აქამდე ნაკლებად არის შესწავლილი საკითხების რეგიონული ასპექტები, მით უმეტეს მცხეთა-მთიანეთის კუთხით როგორიც, მაგალითად, ჩემს ნაშრომშია წარმოდგენილი.

დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მხარის შესასწავლად გამოყენებულია სტატისტიკური კვლევის მეთოდები როგორიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული გამოსახვის, საშუალო სიდიდეების, დინამიკური მწკრივების საანალიზო, საპროგნოზო მეთოდები და სხვა.

მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა ისტორიულ ჭრილში

უშუალოდ საკითხზე გადასვლამდე მოკლედ მიმოვიხილოთ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ზოგადადი მახასიათებლები. რეგიონი შედგება ოთხი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისაგან, მუნიციპალიტეტისაგან ესენია: დუშეთი, მცხეთა, თიანეთი და ყაზბეგი. ისინი აერთიანებენ 2 ქალაქს, 5 დაბასა და 404 სოფელს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე შეადგენს 16.5 კაცს. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, რეგიონში ცხოვრობდა 94,573 მოსახლე საიდანაც 94% ეთნიკურად ქართველი იყო, 2.5 % აზერბაიჯანელი, 1.4 % ოსი 2.1% სხვა ეროვნების. თავის მხრივ, მოსახლეთა 96% მართმადიდებელია, 2.4% მუსულმია, 1.6% კი სხვა აღმსარებლობის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით მცხეთა-მთიანეთს მოსახლეობამ 2022 წლის პირველ იანვარს 92.4 ათასი ადამიანი შეადგინა.

დიაგრამა 1

მცხეთა-თიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით
1994-2022 წლები (ათასი)



წყარო: საქსტატი https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

დიაგრამა 1 ნათლად ასახავს მოსახლეობის შემცირების ტენდენციას რეგიონში. 1994 წლიდან 2022 წლამდე მოსახლეობა 40.5 ათასი კაცით შემცირდა. 1994-2007 წლებში მოსახლეობის კლების ტენდენცია მაღალი იყო და საშუალოდ წლიურად 3.3%-ს შეადგენდა, 3615 კაცს საშუალოდ ყოველწლიურად. გარდამტეხი გამოდგა 2007-2008 წლები, სწორედ ამ წლებში დაფიქსირდა ყველაზე დაბალი რიცხოვნობა რეგიონში (85.8 ათასი). შემდეგ წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა დასტაბილურდა და უმნიშვნელოდ იცვლება.

გრაფიკული ანალიზისას გამოიყოფა 1994 და 2006 წლები, როდესაც მოხდა მოსახლეობის რიცხოვნობის მაქსიმალური სიდიდით შემცირება ერთ წელში, შესაბამისად 15 და 16.3 ათასი კაცით. როგორც საქსტატის მონაცემებით ირკვევა 1994 წელს დაფიქსირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება 492 კაცით, 2006 წელს კი ბუნებრივი მატება (-79) კაცით. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ამ წლებში მოსახლეობის შემცირება თითქმის სრულად გამოიწვია მექანიკურმა მოძრაობამ, მიგრაციამ.

ზოგადად, რეგრესიის მოდელის აგებით შეგვიძლია დავადგინოთ რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობაზე როგორ გავლენას ახდენდა ბუნებრივი მატება 1994-2021 წლებში. რეგრესიის მოდელის მიხედვით, სადაც დამოკიდებულ ცვლადს (y) მოსახლეობის რიცხოვნობა, ხოლო დამოუკიდებელს (x) ბუნებრივი მატება წარმოადგენს დგინდება, რომ R^2 = 0.605114. გამოდის, რომ ჩვენს წრფივ დამოკიდებულე-

ბაში, 1994-2021 წლებში, მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღწერს მოსახლეობის რიცხოვნობის 60.5% რხევას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების 39.5% სხვა ფაქტორებით კერძოდ კი მიგრაციით არის გამოწვეული.

„პრაქტიკულად არ არსებობს საზოგადოების განვითარების დაგეგმვის არცერთი მხარე, ეს იქნება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა, რომელსაც მთლიანად ან ნაწილობრივ საფუძვლად არ დაედოს დემოგრაფიული პროგნოზები“ (ხმალაძე & ჩიტალაძე, 2020). აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება მოვახდინოთ მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის პროგნოზი. გამოვიყენოთ საშუალო წლიური ზრდის ტემპი, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი ემყარება ექსტრაპოლაციის მეთოდს. პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდება შემდეგი მოდელით: $\hat{y}_n = y_1 * K^{(n-1)}$ (გელაშვილი & აბესაძე,2021) ექსტრაპოლაციის ბაზად შეიძლება ავიღოთ ემპირიული მწკრივის ბოლო რვა დონე (2015-2022 წლების მიხედვით). ასეთი მიდგომა ლოგიკურადაც გამართლებულია, რადგან საქართველოს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოსახლეობის დონის შემცირება, რაც რეგიონზეც აისახება.

ცხრილი 1

მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი 2023-2027 წლებისათვის

წელი	2023	2024	2025	2026	2027
საპროგნოზო მნიშვნელობა	91871	91595	91321	91047	90774

გამოდის, რომ საშუალო წლიური ზრდის ტემპის 2015-2022 წლის დონეზე შენარჩუნების პირობებში მცხეთა-თიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1577-ით შემცირდება მომავალ 5 წელიწადში.

რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობა

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ისტორიულად სასოფლო დასახლებებში იყო განაწილებული. საშუალოდ 2009-2022 წლის განმავლობაში მოსახლეობის 23% საქალაქო დასახლებებში, ხოლო 77% სასოფლო დასახებებში იყო წარმოდგენილი.

რეგიონში 2015 წლიდან 2022 წლამდე მოსახლეობა საშუალოდ წლიურად 251 კაცით მცირდებოდა. ამავე წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა სასოფლო დასახლებებში მცირდებოდა წელიწადში საშუალოდ 392 კაცით. საქალაქო დასახლებებში კი იზრდებოდა წელიწადში საშუალოდ 141 კაცით. გამოდის, რომ მცხეთა-მთია-

ნეთის მოსახლეობის შემცირება 2015-2022 წლების განმავლობაში მთლიანად მოდიოდა სასოფლო დასახლებების ხარჯზე.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები მცხეთა-მთიანეთში ასე გამოიყურებოდა: 50.4% მამაკაცი, 49.6% ქალი. თავის მხრივ, თუ მას შევადარებთ 2002 წლის აღწერის მონაცემებს (48% მამაკაცი, 52% ქალი) შევნიშნავთ, რომ ამ პერიოდში მამაკაცების წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში გაზრდილა, ისევე როგორც საქართველოს მასშტაბით.

დიაგრამა 2

მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 2014 წლისთვის.



წყარო: სააქსტატი http://census.ge/ge/results/census1/demo

განვითარებულ ქვეყნებში, ისევე, როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მამაკაცების მოკვდაობა აღემატება ქალებისას. მამკაცების გადაჭარბებით მოკვდაობას, როგორც წესი, ადგილი აქვს დაბადების შემდეგ ყველა ასაკში, მაგრამ ის გაცილებით შესამჩნევია საშუალო და მაღალ ასაკებში. როგორც დიაგრამა 2 გვიჩვენებს, 2014 წლისათვის რეგიონში მამაკაცთა რიცხოვნება ქალებისას აჭარბებდა 54 წლამდე ყველა 5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში. +54 წლის ასაკობრივ ჯგუფებში კი ქალთა რიცხოვნობა ყოველთვის აჭარბებს მამაკაცებისას, რაც ზემოთ მოყვანილ ზოგად ტენდენციას ეთანხმება.

მცხეთა-მთიანეთისათვის მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი ე.ი 65+ მოსახლეობის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში 2014 წლისათვის 17%- შეადგენდა. გამოდის, რომ გაეროს სტანდარტით რეგიონში მოსახლეობა დაბერებულია.

მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის შობადობისა და მოკვდაობის ტენდენციები

დიაგრამა 3 მნიშვნელოვან ტენდენციას გვიჩვენებს. 2003 წლის შემდეგ რეგიონში წლის განმავლობაში გარდაცვალებათა რიცხვი ყოველთვის აჭარბებდა დაბადებულთა რიცხვს. გამონაკლისი 2009 წელია როდესაც დაბადებულთა მცირედი მეტობა დაფიქსირდა. აღნიშნული ტენდენცია მეტად საყურადღებოა რეგიონისათვის, რადგან ბუნებრივი მატების უარყოფითი სალდო ბოლო წლებში მეტად და მეტად იზრდება. სწორედ, 2021 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი უარყოფითი სალდო.

დიაგრამა 3

მცხეთა-მთიანეთში დაბადება-გარდაცვალებათა ტენდენციები 1994-2021 წლებში.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება დაბადებულთა რიცხვი გარდაცვლილების რიცხვს ჯერ კიდევ 1994 წელს რეგიონში 1.5-ის ტოლი იყო მაშინ, როცა 2012 წელს 0.79-მდე შემცირდა, 2021 წელს კი 0.59-მდე.

რეგიონში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მოკვდაობისას ჩამორჩება 2004 წლიდან მოყოლებული. შობადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი უკავშირდება 2009 წელს როდესაც დაფიქსირდა 14.7 დაბადებული 1000 მცხოვრებზე. მოკვდაობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი კი დაფიქსირდა 2021 წელს 18.5 გარდაცვლილი 1000 მცხოვრებზე. გრაფიკზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ პანდემიური 2019-2021 პერიოდი. სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდა რეგიონში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ყველაზე მაღალი ზრდა ორ წელიწადში 4.5 პრომილე.

თანამედროვე, ბავშვთა მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში, ნაყოფიერების მაქსიმალური რეალიზაცია საჭირო აღარ არის. აქედან გამომდინარე, არსებობს შობადობის დონის შეზღუდვის ხარისხის დადგენის სხვადასხვა ხერხები. ჩვენს შემთხვევაში რეგიონში შობადობის შეზღუდვა შეგვიძლია დავადგინოთ 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებისა და ამერიკელი დემოგრაფის ე. კოულის ინდექსის გამოყენებით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$If = \frac{N}{\sum Fx * Wx}$$

სადაც N ჩვენს შემთხვევაში არის დაბადებულთა რიცხვი მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობაში 2014 წელს; Fx – ჰუტერიტების ასაკობრივი შობადობაა. იგი ტოლია: 15-19 წლის ჯგუფში - 300‰, 20-24-ში - 550‰, 25-29-ში - 502‰, 30-34-ში -447‰, 35-39-ში -406‰, 40-44-ში - 222‰, 45-49-ში 61‰; Wx – მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რეპროდუქციული ასაკის ქალების რიცხვია.

ე. კოულის ინდექსის გამოყენებით გამოდის, რომ შობადობის (ფაქტობრივად ნაყოფიერების) შეზღუდვამ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2014 წელს მიაღწია 85% (100-15=85) რეალიზაციამ კი 15%-ს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია ჰიპოთეტურთან შედარებით.

ჩვილთა მოკვდაობის ზრდა და მკვდრადშობადობა მეტად უარყოფითი მოვლენებია, ისინი მიგვითითებენ ქვეყანაში, ცხოვრების პირობების და განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის გაუარესებაზე. (ხმალაძე & ჩიტალაძე, 2020) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ამ კუთხით სიტუაცია მძიმე იყო 1994 წლიდან 2009 წლამდე. ამ პერიოდში დაბადებული 1000 ბავშვიდან საშუალოდ 18.6 ვერ აღწევდა ერთ წლამდე. სიტუაცია გამოსწორდა 2009 წლის შემდეგ. 2010 წლიდან 2021 წლამდე დაბადებული 1000 ბავშვიდან საშუალოდ 11.5 ვერ აღწევდა 1 წლის ასაკს. თავის მხრივ, მკვრადშობადობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი რეგიონში დაფიქსირდა 2006-2010 წლებში საშუალოდ 13.7 პრომილე. ბოლო წლებში მაჩვენებელი გამოსწორდა 2016-2021 წლებში საშუალოდ 8.5 პრომილე დაფიქსირდა ე.ი 1000 ახალშოილზე მოდიოდა საშუალოდ 8.5 მკვდრადშობილი.

ქორწინების მაჩვენებელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით კლების ტენდენცია აქვს. ქორწინების კოეფიციენტი ყოველწლიურად ყოველ 1000 ადამიანზე მცირდებოდა, 1960 წლიდან 2018 წლამდე. ხოლო განქორწინების შემთხვევაში საპირისპირო სიტუაცია გვაქვს, მაჩვენებელი გაზრდილია ყოველწლიურად[3].

[3] https://ourworldindata.org/marriages-and-divorces#:~:text=Overall%2C%20the%20trend%20shows%20a,women%20were%20married%20or%20cohabitated.

დიაგრამა 4 :

მცხეთა-მთიანეთში რეგისტრირებულ ქორწინება-განქორწინებათა რიცხვი 1994-2021.



დიაგრამა 4 აშკარად გვიჩვენებს რეგიონში განქორწინებათა შემთხვევების ზრდას. 1994 წლიდან 2019 წლის ჩათვილთ მაჩვენებელმა თითქმის 7-ჯერ მოიმატა. თავის მხრივ რეგიონში 2009 წლიდან მოყოლებული ქორწინებათა შემთხვევები კლების ტენდენციას ავლენს. აღნიშნული თავის მრივ განაპირობებს იმას, რომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში განქორწინებათა შემთხვევები ქორწინებების თითქმის ნახევარია. დავითვალოთ 2021 წლისათვის რეგიონში ქორწინებისა და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები. ქორწინებისათვის გვექნება 4.5 პრომილე, განქორწინებისათვის 2 პრომილე. გამოდის რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2021 წელს 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 4.5 ქორწინებისა და 2 განქორწინების შემთხვევა.

დასკვნა

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები არაერთგზის არის შესწავლილი სხვადასხვა მეცნიერისა თუ მკვლევარის მიერ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონული ტენდენციის გამოვლენა, რადგან სწორედ ისინი ქმნიან ერის დემოგრაფიულ პროფილს. შესაბამისად, გამოვლენილი ტენდენციები საინტერესო და მნიშვნელოვანია.

1994 წლიდან 2022 წლამდე მცხეთა-მთინეთის მოსახლეობა 40.5 ათასი კაცით შემცირდა. 1994 წლიდან მოსახლეობის კლების ტენდენცია მაღალი იყო 2007-2008 წლებამდე, როდესაც დაფიქსირდა ყველაზე დაბალი რიცხოვნობა რეგიონში 85.8 ათასი კაცი. შემდეგ წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა დასტაბილურდა და უმნიშვნელოდ იცვლება.

საშუალო წლიური ზრდის ტემპის 2015-2022 წლის დონეზე შენარჩუნების პირობებში მცხეთა-თიანეთის მოსახლეობა ყოველ შემდეგ წელს მიაღწევს შესაბამისად: 91871, 91595, 91321, 91047, 90774 მცხოვრებს. გამოდის, რომ უკანასკნელი ტენ-

დენციების უცვლელად შენარჩუნების პირობებში, რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა 1577-ით შემცირდება მომავალ 5 წელიწადში. ეს მაშინ, როცა გაეროს პროგნოზით 2050 წლისათვის ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა 294,935-ით შემცირდება 2022 წელთან შედარებით.

2003 წლის შემდეგ რეგიონში წლის განმავლობაში გარდაცვალებათა რიცხვი ყოველთვის აჭარბებდა დაბადებულთა რიცხვს. ბუნებრივი მატების უარყოფითი სალდო ბოლო წლებში მეტად და მეტად იზრდება. 1994 წლიდან 2009 წლამდე დაბადებული 1000 ბავშვიდან საშუალოდ 18.6 ვერ აღწევდა ერთ წლამდე. სიტუაცია გამოსწორდა 2009 წლის შემდეგ. 2010 წლიდან 2021 წლამდე დაბადებული 1000 ბავშვიდან საშუალოდ 11.5 ვერ აღწევდა 1 წლის ასაკს. ბოლო წლებში რეგიონში გამოსწორდა მკვდრადშობადობის მაჩვენებელიც 2016-2021 წლებში 1000 ახალშობილზე მოდიოდა საშუალოდ 8.5 მკვდრადშობილი.

ქორწინებითი მდგომარეობა უმნიშვნელოვანესია შობადობის ზრდისთვის. თუმცა ტენდენცია ამ მხრივადაც არასახარბიელოა. 2009 წლიდან მოყოლებული ქორწინებათა შემთხვევები კლების ტენდენციას ავლენს. მაშინ, როცა 1994 წლიდან 2019 წლის ჩათვლით განქორწინების მაჩვენებელმა თითქმის 7-ჯერ მოიმატა. რეგიონში უკანასკნელ დეკადაში 1 ქორწინება იძლეოდა საშუალოდ 2.2 ბავშვს, ეს მაშინ როცა 90-იან წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 3.8-ის ტოლი იყო. აღწერის წლებს შორის პერიოდში შემცირებულია მოსახლეობის დაუქორწინებელთა წილი, გაზრდილია ქვრივთა და განქორწინებულთა წილი რეგიონის მოსახლეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., აბესაძე ნ., სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. თსუ, თბილისი, 2021
2. ხმალაძე მ., ჩიტალაძე ქ., დემოგრაფიული სტატისტიკა. თსუ, თბილისი , 2020.
3. ჩიქავა ლ., საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები შრომების კრებული, თბილისი, 2014. გვ. (6-19).
4. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2002 წლის შედეგები, იხილეთ: http://cenus.ge/ge/2002-results
5. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის შედეგები, იხილეთ: http://census.ge/ge/results/census1/demo
6. საქართველოს რეგიონული სტატისტიკის ზოგადი მაჩვენებლები, იხილეთ: https://www.-eostat.ge/regions/
7. მსოფლიო ქვეყნების და მათ შორის საქართველოს მოსახლეობის პროგნოზები (გაერო): https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/files/documents/2020/Jan/un_2017_world_population_prospects-2017_revision_databooklet.pdf
8. ქორწინება-განქორწინებისმსოფლიოტენდენციები: https://ourworldindata.org/marriages-anddivorces#:~:text=Overall%2C%20the%20trend%20shows%20a,women%20were%20married%20or%20cohabitated.

Trends of Natural Population Movement in Mtskheta-Mtianeti from the 1990s to the Present Day

Luka Kenteladze
TSU Master Student

SUMMARY

the world population is growing at a rapid pace. The same trend is observed in the neighboring countries of Georgia, at a time when the population of Georgia is decreasing. According to the United Nations (UN) Demographic Division, the decreasing trend will continue and the country's population will reach 3,393,665 by 2050, which is 294,935 less than in 2022.

Demography and related issues have always been actual topics, because it has a significant impact on the development of the country and its future. Accordingly, I consider it necessary and interesting to study the natural movement and reveal the trend of the regions, in this case Mtskheta-Mtianeti, because in general, the demographic face of the country is created by its regions and the population living there.

In the work, I paid attention to the study of the current processes in the Mtskheta-Mtianeti region, from the point of: birth, mortality, marriage and divorce. My goal is to reveal the trends of the natural movement in the region, its statistical analysis and draw parallels with the demographic processes taking place in the population of Georgia, due to which we are on the verge of a demographic crisis today.

2011-2020 წლების მიგრაციის სტატისტიკა საქართველოში

ბექა სიმონიშვილი
თსუ მაგისტრანტი

თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად საგრძნობლად იზრდება მიგრაცია, რაც დადებით მხარეებთან ერთად, მრავალი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, გამონაკლისი არც საქართველოა. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნების საზღვრები უფრო და უფრო პირობით ხასიათს ატარებს. შესაბამისად, მრავალი მოქალაქე ტოვებს საკუთარ საცხოვრებელს უკეთესი განათლების, საცხოვრებელი თუ სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის და ეს გრძელდება წლობით, ზოგჯერ კი სამუდამოდ.

რამდენიმე ათეული წელია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სწორედ მიგრაცია წარმოადგენს. ბოლო წლები სულ უფრო და უფრო იზრდება ემიგრანტთა რაოდენობა. მთავარ ფაქტორს კი მაღალი ანაზღაურების მიღება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება განვითარებულ ქვეყნებში მიიღონ ცოდნა, აიმაღლონ კვალიფიკაცია და დაბრუნდნენ უკან, თუმცა სამწუხაროდ ხშირად ეს ასე არ ხდება. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ბოლო დეკადის, 2011-2020 წლების საქართველოს გარე მიგრაციულ პროცესებზე. ანალიზი დაფუძნებულია სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდებზე.

ტერმინი მიგრაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან, რაც გადასახლებას ნიშნავს. მოსახლეობის მიგრაციის გარდა სარგებლობენ ტერმინით: მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობა, მოსახლეობის სივრცითი გადაადგილება. მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს ადამიანთა გადაადგილებას ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, საცხოვრებელი ადგილის მუდმივად ან დროებით შცვლის მიზნით.

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს რთულ დემოგრაფიულ პროცესს. ყოველწლიურად, მილიონობით ადამიანი იცვლის საცხოვრებელ ადგილს, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, სოფლიდან ქალაქში, ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში და ა.შ. მიგრაცია განპირობებულია რიგი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით. [მ. ხმალაძე, ქ.ჩიტალაძე, დემ.სტატისტიკა]

მოსახლეობის მიგრაციის ანალიზის მიზნით ხდება მოსახლეობის მიგრაციის კლასიფიკაცია რიგი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა: დამოკიდებულება საზღვრის გადალახვის მიმართ, მიგრაციის მიმართულება, დროის ნიშანი, მიზეზები, რეალიზაციის ფორმა, გადაწყვეტილების ხასიათი. თემაში თავდაპირველად მოყვანილია სტატისტიკური უნფორმაცია ემიგრანტებისა და იმიგრანტების შესახებ, ხოლო შემდგომ დახარისხებული და დამუშავებულია სქესობრივ-ასაკობრივი კუთხით, მისი შემადგენლობის მიხედვით და ა.შ.

2011-2020 წლების მიგრაციის სტატისტიკა და მისი განვითარების რაოდენობრივი ტენდენციების გამოვლენა საქართველოში

ცხრილში მოცემულია მიგრანტებისა და ემიგრანტების სტატისტიკა 2011-2020 წლების მიხედვით.

წელი	იმიგრანტთა რდნ. კაცი	ემიგრანტთა რდნ. კაცი	მიგრაციის სალდო	მიგრაციის კოეფიციენტი
2011	71,220	107,202	-35,982	-9,5
2012	69,063	90,584	-21,521	-5,8
2013	92,458	95,064	-2,606	-0,7
2014	82,161	88,704	-6,543	-1,8
2015	92,557	95,965	-3,408	-0,9
2016	90,228	98,288	-8,060	-2,2
2017	83,239	85,451	-2,212	-0,6
2018	88,152	98,935	-10,783	-2,9
2019	96,864	105,107	-8,243	-2,2
2020	89,996	74,264	15,732	4,2

ცხრილი 1.1 წყარო: საქსტატი

ამ მოაცემებზე დაყრდნობით, იმიგრანტების ყოველწლიური საშუალო რაოდენობა დაახლოებით 85593 კაცია, ხოლო ემიგრანტების 93956, შესაბამისად სალდო შეადგენს -8363-ს, აქედან გამომდინარე, მიუხედავად ბოლო წლის დადებითი სალდოსა, რაც თავისი მიზეზითა განპირობებული, კერძოდ, COVID-19 პანდემიის გამო, სალდო მაინც საკმაოდ უარყოფითია და ქვეყანას 8363 კაცით მეტი ტოვებს ყოველწლიურად, ვიდრე შემოდის.

საქართველოში შემოსულთა რიცხვი თუ დავაკვირდებით ჯაჭვურ აბსოლუტურ მატებას, საკმაოდ არასტანდარტულად იცვლებოდა. კლება იცვლებოდა ზრდით და პირიქით, მხოლოდ 2017-2019 წლებში ხასიათდება ის ზრდით, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გვაქვს საპირისპირო მიმართულებები ყოველწლიურად. რაც შეეხება საბაზისო აბსოლუტურ მატებას, აქ სრულიად სხვა სურათს ვხედავთ, თუ არ ჩავთვლით 2012 წელს, ყველა დანარჩენ წელს ქვეყანაში იმიგრანტების რაოდენობა 2011 წელთან შედარებით მუდმივად იცვლებოდა ზრდის კუთხით, თუმცა ეს ზრდაც არასტანდარტული იყო. ემიგრანტების შემთხვევაშიც სურათი დაახლოებით მსგავსია. ასევე არასტანდარტულად იცვლება ემიგრანტთა რაოდენობა წლების განმავლობაში, ხან მატების ხან კლების მიმართულებით და მას რაიმე კანონზომიერების სახე აქ აქვს. ყველაზე დიდი განსხვავება წლებს შორის 2019 და 2020 წლებში ფიქსირდება, როდესაც ემიგრანტთა რაოდენობა 30000ზე მეტიტ შემ-

ცირდა, რაც როგორც ზეემოთ ვახსენეთ, მის მიზეზად COVID-19 შეგვიძლია დავასახელოთ, როდესაც ჩაიკეტა ქვეყნები, აიკრძალა საერთაშორისო ფრენები და ა.შ. რაც შეეხება, საბაზისო აბსოლუტურ მატებას(კლებას), ამ შემთხვევაში სრულიად საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ემიგრანტთა რიცხვი 2011 წელთან შედარებით ყოველწლიურად მეტ-ნაკლებად მცირდებოდა, რაც 2011 წელს რეკორდულად მაღალი ემიგრანტთა რიცხვის შედეგია, ყველაზე ახლოს ამ წელთან შედარებით იყო 2019 წელი, როდესაც საქართველოს საზღვარი 105107 კაცმა დატოვა და განსხვავება საბაზისო წელთან შედარებით მხოლოდ დაახლოებით 2000 კაცს შეადგენდა.

ჯაჭვური ზრდის ტემპის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიგრანტების რაოდენობა წლების მიხედვით საკმაოდ არათანაბრად იცვლებოდა, გვაქვს როგორც ზრდის ისე კლების ტემპები, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 2013 წელს ფიქსირდება, როდესაც იმიგრანტების რიცხვი 134%-ით გაიზარდა, ხოლო ყველაზე დბალი მაჩვენებელი 2014 წელს იყო და მან მხოლოდ 89% შეადგინა. რაც შეეხება საბაზისო ზრდის ტემპს, ყოველ წელს 2011 წელთან შედარებით იმიგრანტთა რაოდენობა იმატებდა და ყველაზე დიდი ზრდა 136%-იანი, 2019 წელს დაფიქსირდა. ემიგრანტების შემთხვევაში ყველაზე დიდი ზრდა 2018 წელს დაფიქსირდა და მან წინა წელტან შედარებით 116% შეადგინა, ხოლო ყველაზე მცირე ზრდა 2020 წელს შეინიშნება და ის მხოლოდ 70%-ის ტოლია. რაც შეეხება ზოგად სურათს 2011 წელთან შედარებით აქ აშკარაა ზრდის დაბალი ტემპის ტენდენციის გამოკვეთა, ყოველ წელს ემიგრანტთა რიცხვი 2011 წელთან შედარებით მეტ-ნაკლებად მცირდება, ყველაზე მცირე ზრდა ამ შემთხვევაშიც 2020 წელსაა და ის თითქმის ჯაჭვური სახით გაანგარიშებული კოეფიციენტის ტოლია და 69%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მაღალი ზრდა 2019 წელს შეინიშნება, როდესაც ემიგრანთთა მაჩვენებელი თითქმის გაუთანბრდა 2011 წლისას და მან 98% შეადგინა.

რაც შეეხება მატების(კლების) ტემპებს, ემიგრანტების შემტხვევაში ყველაზე მაღალი მატების ტემპი 2013 წელს ფიქსირდება და ის 34%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მაღალი კლების ტემპი 2014 წელს გვაქვს და მისი მნიშვნელობა -11%-ია. რაც შეეხება საბაზისო მეთოდით გაანგარიშებას, აქ აშკარაა 2012 წლის შემცირების შემდეგ, ზრდა. ყველაზე მაღალი ზრდა 2019 წელს დაფიქსირდა 36%, ხოლო ყველაზე მცირე 15% კი 2014 წელს. ჯაჭვური ზრდის ტემპის მეთოდზე დაყრდნობით, ყველაზე მაღალი მატების ტემპი ემიგრანტებისთვის 2018 წელს შეინიშნება, 2017 წელთან შედარებით ის 16%-ით გაიზარდა, ხოლო ყველაზე მაღალი კლება, 30%-იანი 2020 წელს ფიქსირდება. საბაზისო მეთოდის საფუძველზე კი ვხედავთ, რომ 2011 წელთან შედარებით ყოველ წელს კლების ხასიათი გვაქვს. ყველაზე მცირე 2%-იანი კლება 2019 წელს ფიქსირდება, ხოლო 31%-იან კლებას აქვს ადგილი 2020 წელს.

ზოგადად იმიგრანტთა რაოდენობა 2011 წლიდან 2020 წლამდე საშუალოდ ყოველ წელს 2086 კაცით იზრდებოდა, ხოლო საპირისპირო სიტუაცია გვაქვს ემიგრანტებთან მიმართებაში, 2011 წლიდან მათი რიცხვი ყოველწლიურად 3660 კაცით მცირდებოდა. სხვა სიტყვებით, იმიგრანტების რიცხვი 2011-20 წლის განმავლობაში წლიურად 1,02ჯერ იზრდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით ემიგრანტების შესახებ. ამ შემთხვევაში სრულიად საპირისპირო შემთხვევა გვაქვს - მათი რიცხვი 2011 წლიდან ყოველწლიურად საშუალოდ 0,96ჯერ იზრდება ანუ კლების ხასიათი აქვს.

მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლები და განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით

მიგრაციის ზოგადი კოეფიცინტების საფუძველზე დაყრდნობით (გამოთვლები მოიცავს 2020 წელს), საქართველოში შემოსულთა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე, დაახლოებით 24 კაცს შეადგენს. რაც შეეხება გასულთა რიცხვს, იგი 20 კაცის ტოლია 1000 კაცზე გაანგარიშებით და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ყველაზე ნაკლები ემიგრანტი სწორედ ამ წელს გყვავდა. ამის საფუძველზე, მიგრაციული მატება საქართველოში 2020 წელს ყოველ 1000 კაცზე 4 კაცს შეადგენდა. საერთო ბრუნვის(ინტენსივობის) კოეფიციენტი 44.12‰-‘-, რომელიც გვიხასიათებს ზოგადად რამდენი შემოსული და გასული მოდის მოცემულის ტერიტორიის ყოველ ათას მაცხოვრებელზე.

ახლა კი განვიხილოთ ემიგრანტებისა და იმიგრანტების სქესობრივ-ასაკობრივ განაწილება.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



20-39 ასაკობრივი ჯგუფი მთლიანი შემადგენლობის თითქმის ნახევარსაც შეადგენს, რაც ლოგიკურია იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ასაკის ჯგუფი შედარებით უფრო შრომისუნარიანია, სხვა ჯგუფებტან მიმართებით. ყურადღებაა გასამახვილებელი ასევე 0-19 ასაკის ჯგუფზე, რაც იმითაა განპირობებული, რომ ემიგრაციაში ხშირია მთლიანი ოჯახით წასვლა და ასევე სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ემიგრანტების აღნიშნული ჯგუფი იმიგრანტებისას მნიშვნელოვნად აღემატება. აღნიშნულის გასამყარებლად ასაკობრივი ინტენსივობის მახასიათებელი კოეფიციენტი შეგვიძლია გამოვიყენოთ. კერძოდ, 20-39 წლის მოსახლეობაში ყოველ 1000 კაცზე დაახლოებით 36,5 კაცი ტოვებს ქვეყანას, ხოლო 40-59 ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი 1,6ჯერ ნაკლებია. მიგრაციის ზოგად კოეფიციენტს მიგრაციის ინტენსივობა 20-39 ასაკში აღემატება 1.77ჯერ, ხოლო 40-59 ასაკში კი 1,15ჯერ. ხოლო 2020 წელს ემიგრანტების 49% მოდის 20-39 წლის ასაკის მოსახლეობაზე, რითაც ის ფაქტი დასტურდება, რომ მოსახლეობის მიგრაცია ახალგაზრდული ფენომენია.

რაც შეეხება სქესობრივ განაწილებას, როგორც იმიგრანტებში ისე ემიგრანტებში კაცების რიცხვი ქალებისაზე დაახლოებით 10-15 ათასით მეტია ყოველწლიურად, თუმცა ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სხვაობა ემიგრანტებში უფრო მცირეა, ვიდრე იმიგრანტებში, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოდან ქალების დიდი რაოდენობაც მიდის საზღვარგარეთ.

UN DESA-ს მონაცემებით, საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით, ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან რუსეთში იმყოფება. საქართველოში დაბადებული პირების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვხვდება ასევე საბერძნეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

კორელაციური ანალიზი

კორელაციური ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს თუ როგორი კავშირი არსებობს ცვლადებს შორის. კოვარიაცია სტატისტიკური საზომია, რომელიც ორ ცვლადს შორის წრიფივ ურთიერთდამოკიდებულებას გვიხასიათებს. კორელაცია კი ორ ცვლადს შორის კავშირის სიძლიერეს გვიჩვენებს.

ემიგრანტთა(იმიგრანტთა) რაოდენობასა და მიგრაციის სალდოს შორის წრფივი ურთიერთკავშირის დასადგენად სწორედ კოვარიაციას ვიყენებთ, რომელთა საფუძველზეც შესაბამისად იგი ტოლია -94,5432 და 85,6029. დადებითი კოვარიაციის მაღალი სიდიდე ძლიერ წრფივ დადებით კავშირზე მიანიშნებს, ხოლო მაღალი უარყოფითი სიდიდე - ძლიერ უარყოფით კავშირზე. შესაბამისად ემიგრანტებსა და მიგრაციის სალდოს შორის უარყოფითი, ხოლო მიგრანტებსა და მიგრაციის სალდოს შორის დადებითი წრფივი ურთიერთკავშირი არსებობს.

რაც შეეხება კორელაციის კოეფიციენტს, მისი დიაპაზონი -1დან +1მდეა,რაც უფრო ახლოსაა იგი ნულთან, ურთიერთკავშირი მით უფრო სუსტია.ჩვენს მაგალითში კორელაციის კოეფიციენტი -0,69-ისა და 0,72-ის ტოლია, რაც იმას მიგვანიშნებს რომ ემიგრანტებს(იმიგრანტებს) და მიგრაციის სალდოს შორის ძლიერი ურთიერთკავშირია.

დასკვნა

როგორც ვახსენეთ ჩვენი თემის მიზანს გარე მიგრაციის ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი წარმოადგენდა, რასაც გარკვეულწილაად მივაღწიეთ. დავამუშავეთ აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია დეტალურად სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. თავდაპირველად ზედაპირული შეხედვით ვნახეთ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას გამოკვეთილი კანონზომიერება არ ახასიათებდა. წლების განმავლობაში მცირდებდა ან იზრდებოდა, თუმცა გამოკვეთილია ერთი კანონზომიერება - სალდო უარყოფით ხასიათს ატარებდა 2020 წლამდე, რაც ლოგიკურაცაა და რისი მიზეზიც არაერთხელ ვახსენეთ - COVID-19 პანდემია. შემდგომ ნაბიჯი უშუალოდ რაოოდენობრივი ტენდენციების გამოვლენას ეხებოდა. აბსოლუტური მატების(კლების) ტემპების და ა.შ გაანგარიშებით დავრწმუნდით, რომ ყოველწლიურად ორივე მონაცემი არასტანდარტულად იცვლებოდა, თუმცა გამოკვეთილი იყო კანონზომიერება საბაზისო წელთან მიმართებით, სადაც ემიგრანტების შემთხვევაში მაჩვენებელი სულ მცირდებოდა, ხოლო იმიგრანტებისათვის პირიქით თუ არ ჩავთვლით 2012 წელს. შემდგომი საფეხური ეფუძნებოდა ასაკისა და სქესის მიხედვით მონაცემების დაჯგუფებას. დავასაბუთეთ, რომ 20-39 წლის ასაკის ინდივიდები წარმოადგენენ მიგრან-

ტების თითქმის ნახევარს, რაც მათი მაღალი შრომისუნარიანობიდანაა განპირობებული. სქესის მიხედვით დაჯგუფებამ აჩვენა, რომ მამაკაცების რიცხვი 10-20 ათასით აღემატება ქალი მიგრანტების მაჩვენებლებს, თუმცა ეს სხვაობა კიდევ უფრო მცირეა ემიგრანტების შემთხვევაში. კორელაციური ანალიზის საფუძველზე ვნახეთ თუ როგორი დამოკიდებულებაა ემიგრანტებს, იმიგრანტებსა და მიგრაციის სალდოს შორის და როგორია აღნიშნული კავშირის სიძლიერე.

საბოლოოდ, დანამდვილებით ერთი რამის თქმა შეგვიძლია, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მწვავდება პრობლემა ემიგრანტებთან მიმართებაში. გამოკვლევებით ქართველ მიგრანტთა 35%-ზე მეტს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, შესაბამისად საქმე გვაქვს ტვინების გადინებასთან, რაც არც ერთი ქვეყნისთვის არ არის დადებითი მოვლენა და მითუმეტეს, ჩვენნაირი პატარა, განვითარებადი ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka
2. დემოგრაფიული სტატისტიკა - მერაბ ხმალაძე, ქეთევან ჩიტალაძე
3. სტატისტიკური ანალიზის მეთოდები - სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე
4. Forbes.ge/blogs - მიგრაცია - ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი.

2011-2020 Migration Statistics in Georgia

Beqa Simonishvili

TSU Master student

SUMMARY

In the modern world, migration increase perceptibly every day, which, despite of its positive sides, is one of the main problem for many countries, Georgia is not exception. The borders of the countries are more and more provisory in the conditions of the globalization. According as, many citizens are leaving own homes for better education, better habitation or working conditions and it continues for many years, sometimes forever.

Migration is one of the main problem for our country for several decades. Numbers of emigrants has been increasing more and more during the last years and The main reason is the high indemnification. Also important migration of students, who leaves the country to improve their skills. On the one hand, positive side for our country that citizens can learning in developed countries, to improve their qualifications and return back. But unfortunately, this often does not happen. The article focuses on the external migration processes of Georgia during the last decades. The analysis is based on various statistical methods.

ინფო–ტურში მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში

სოფიო სტეფანიშვილი
თსუ დოქტორანტი

თანამედროვე ტურისტული ბაზარი წარმოადგენს სხვადასხვა სახის ინფო-ტურების მრავალფეროვნებას. ინფო-ტურები სულ უფრო პოპულარული ხდება, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანია ტურისტული პროდუქტის კომპონენტების უკეთ შესასწავლად, მიმართულია სარეკლამო პროგრამაზე და თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე და კომპანიები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროცესებში, წარმატებულად და სწორი მიმართულებებით მუშაობენ ტურიზმის დარგში, მომგებიან პიარდრეკლამას უკეთებენ საკუთარი ბიზნესს და, ზოგადად, რეგიონის ცნობადობის ამაღლების და ტურისტული ბიზნესის აღორძინების ხელშეწყობის მისიას ემსახურებიან.

მის მიზანია ინფო-ტურის მნიშვნელოვანი კონცეპტუალური და პრაქტიკული ასპექტების განხილვა საქართველოს ტურისტული კომპანიის Travel Bee LTD მაგალითზე. ამისთვის გაანალიზებულია დღეისათვის ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი მიდგომები და განვითარებული პრაქტიკა, ჩატარებულია საველე კვლევა და წარმოდგენილია გამოვლენილი გამოწვევები და შემდგომი განვითარების რეკომენდაციები. ნაშრომი ეხება ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში, ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში ინფო-ტურის როლს და მნიშვნელობას. ნაშრომში აღბეჭდილი კვლევა მოიცავს ინფო-ტურის ეფექტურობის ანალიზის გამოვლენას და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი კონცეპტუალური რეკომენდაციების შემუშავებას ტურისტული კომპანიებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ინფო-ტური; შემეცნებითი ტური; სარეკლამო-შემეცნებითი ტური.*

დასვენებისა და საქმიანი მოგზაურობის გლობალურ ბაზრებზე მზარდი კონკურენციის პირობებში ტურისტული ბიზნესის მწარმოებლები სტანდარტების შესაბამისი ტურისტული პროდუქტების შემუშავების მიზნით ინფოდტურში მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და შემოთავაზებულ შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებენ. აღნიშნული ღონისძიება ეწყობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ადმინისტრაციების, შემომყვან ტურდოპერატორთა ასოციაციების, ტურისტული პროდუქტების მქონე მცირე თუ დიდი იმ კომპანიების მხარდაჭერით, რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიციური კადრები და ორგანიზაციული შესაძლებლობები. ინფოდტური მოიცავს გასტრონომიულ და საინფორმაციო მასტერდკლასების ერთობლიობას და ემსახურება ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავების, ახალი ტურისტული ობიექტების, თანამედროვე მარშრუტების, ღირშესანიშნაობების, სტანდარტების შესაბამისი სერვისების განვითარებად-

პოპულარიზაციის მიზანს. ინფოდტური ასევე ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას რეგიონების ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოსაჩენად. სწორედ ამიტომაა ტურ-ოპერატორის გადამწყვეტ ორგანიზაციულდმაკომპლექტებელ როლთან ერთად მომსახურების მომწოდებელთა რესურსების შესწავლის მიზნით მოწყობილი ინფო ტურის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის სფეროში აღიარებული.

ტურისტული პროდუქტის თითოეული კომპონენტის შესწავლა და კვლევა ნებისმიერი ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას არის აუცილებელი, რამდენადაც ისინი განაპირობებენ ტურ-პაკეტის ეფექტურობას. მხოლოდ მეილით განხორციელებული ურთიერთობა და პირდაპირ ინვოისების გამოთხოვა მომსახურეობის მიმწოდებლებთან ადგილზე სტუმრობის, დათვალიერების, საინტერესო დეტალების შესწავლა-გადამოწმების, ფასებზე წინასწარი მოლაპარაკებების და სხვა წინამოკვლევითი სამუშაოების გარეშე, არამომგებიანია.

არჩეული თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტურიზმის სფეროს სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო ტურისტული მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას. კვლევის ობიექტია ინფოდტური სომხეთში. კვლევის საგანია ინფოდტურის, როგორც ტურისტული პროდუქტის კომპონენტების შესწავლის მეთოდი. კვლევის მიზანია გამოავლინოს ინფოდტურის ორგანიზების თავისებურებები, მისი როლი და მნიშვნელობა ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში. მიზნის მიღწევა მოიცავს შემდეგი ამოცანების დასახვას და გადაჭრას: ინფოდტურის როლისა და მნიშვნელობის შესწავლა; ინფოდტურის გეგმის ჩამოყალიბების და ამ გეგმების შემდგომი რეალიზების ეტაპები; ინფოდტურის ეფექტურობის ანალიზი.

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული ტურისტული კომპანიის Travel Bee LTD (www.traveltogeorgia.com.ge) მიერ კოვიდ–პანდემიის დაწყებამდე ტურ–ოპერატორებისთვის ტურისტული პროდუქტების კომპონენტების უკეთ შესწავლა-დახვეწის მიზნით სომხეთში მოწყობილი ინფო-ტური.

სომხეთში რეგისტრირებული ტურისტული ორგანიზაციების და ფირმების დიდი ოდენობიდან ტურისტულმა კომპანიამ Travel Bee LTD შეარჩია მომსახურეობის მომწოდებელი კომპანიები, რომელებმაც გამოამჟღავნეს საინფორმაციო ტურში თანამშრომლობის ინტერესი და, რომლებიც კარგი საქმიანი კვალიფიკაციით და რეპუტაციით სარგებლობდნენ. ინფო–ტურის მასპინძელი კომპანია ერევანში იყო პარტნიორი ტურისტული კომპანია Yerani Travel LTD (www.yerani-travel.com), ტურისტული კომპანია Hyur Travel LTD (www.hyurservice.com) და სასტუმრო ''Konyak Hotel'' (www.konyakhotel.am).

პროფესიონალური და ხარისხიანი მომსახურეობა მცოდნე და მაღალკვალიფიციური კადრების მხრიდან (რომლებიც არიან თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებიდ-სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები) კონკურენტუნარიანი ფასები და სუფთა ურთიერთობებზე დაფუძნებული მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობები ამართლებს სამივე ტურისტული კომპანიის მიზანს, რომ იყვნენ სერვისით გამორჩეულები და ქონდეთ ერთდერთი საიმედო კომპანიის სახელი.

Travel Bee LTD საშუალო სიდიდის ტურისტული კომპანია, რომლის ორი მთავარი ტურდოპერატორი ითავსებს მენეჯერის, გაყიდვების და სარეკლამო აგენტის ფუნქციებსაც. აქედან გამომდინარე, ტურისტული კომპანიის თხოვნა ინფოდტურის შემსრულებელთათვის იყო - შეეთავაზებინათ მათთვის შესაბამისი საინფორმაციო შინაარსის ტური. ინფოდტურის - „ინფო–ტური მენეჯერებისთვის'' მიზანი არის ხოლმე ქვეყნის და ინფრასტრუქტურის, სასტუმროს ბაზის და სხვა ტურისტული პროდუქტების კომპონენტების ცვლილებების შესწავლა და სიახლეების აღბეჭდვა[13]. ვინაიდან ტურისტული პროდუქტი ცვალებადია, მის კომპონენტებზე მუდმივი დაკვირვება სიახლეების შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია, რადგან ტუროპერატორმა იცოდეს, რამდენად შესაბამისობაშია ისინი არსებულ ფასებთან. აღნიშნულ ინფოდტურს ვერ ექნებოდა ვერც ტურისტული პროდუქტების კომპონენტების ფასებზე მოლაპარაკებების მიზანი (მსგავსი მიზნით ეწყობა ხოლმე „ინფო–ტური დირექტორთათვის''[13], სადაც განიხილება ტურისტებით დატვირთულობის მიხედვით ფასების არსებობა) და ვერც მხოლოდ ქვეყნის ინფრასტრუქტურის, კლიმატის, კვების თავისებურებების, ადათ–წესების და სხვა მახასიათებლების შესახებ ზოგადი ცოდნის და შთაბეჭდილებების მიღების მიზანი (მსგავსი მიზნით ეწყობა ხოლმე „ინფო–ტური ტურბიზნესის დამწყებთათვის''[13], თუმცა, ინფორმაცია, რომელსაც ის იღებს აღნიშნული ტურიდან, ზღვაა და მისი დამახსოვრება ერთბაშად ძნელია და შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ტური მაინც შთამბეჭდავია და ეს შთაბეჭდილება განაპირობებს მენეჯერის არჩევანს არჩეული მიმართულება აქტიურად ჩართოს გაყიდვებში). ტურისტული კომპანიის Travel Bee LTD ტურ–ოპერატორისთვის სომხეთი ახალი მხარე იყო, თუმცა, შემომყვანი ტურიზმის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების გამო მისთვის არც ერთი განზოგადებული კატეგორიის ინფო–ტურში მონაწილეობა არ იქნებოდა ეფექტური მოცემულ ეტაპზე, თუ ის არ იქნებოდა მასზე მორგებული. ამიტომ, კომპანიამ Travel Bee LTD და პარტნიორი კომპანიები შეჯერდნენ ინფო–ტურის მონაწილე ჩართულიყო ქალაქის ინდივიდუალურ და რამდენიმედღიან რეგიონალურ ჯგუფურ ტურებში, რომელიც არა მხოლოდ მენეჯერის, არამედ ტურისტის თვალითაც შეაფასებდა შექმნილი ტურ-პაკეტის ეფექტურობას. მისთვის შედგენილ იქნა ოთხდღიანი დატვირთული, მაგრამ არა გადატვირთული ტურ–პროგრამა

(ALL INCLUSIVE პირობებით), რომელიც გაზრდიდა მის ცოდნას ტურისტული მარშრუტების და ობიექტების შესახებ, იმისთვის რომ მას შეეგრძნო ის, რასაც აქამდე ყიდიდა და შემდგომ განევითარებინა, და გაერკვია რა არის რეალური და რა არა, რა უნდა გაეყიდა თამამად და რა სიფრთხილით, რა შეიცვალა უკეთესობისკენ და რა უარესობისკენ და ა. შ.

ტურისტულმა კომპანიამ 4 დღიანი ინფოდტურის განმავლობაში შემოქმედებითი მარკეტინგული მიდგომებით სოციალური მედიის პლატფორმები აქტიურად გამოიყენა და მის მიერ ყოველდღიური აქტივობების დეტალური აღწერილობით კომპანიის გვერდებზე ჰაშთეგებით და სხვა მეთოდებით მაქსიმალურად ეცადა თავიდანვე მიეპყრო მიზნობრივი აუდიტორიის ყურადღება და ამასთანავე, იქვე ეწარმოებინა დაინტერესებული საზოგადოების გამოხმაურებებზე მიმოწერა, როგორც კომენტარებში, ასევე პირად შეტყობინებებში. ბოლოს კი, ინფოდტურში მიღებული ცოდნის და გამოცდილების შედეგად ახლებურად დამუშავებული ტურდპაკეტით იმავე პლატფორმებზე რეკლამირება მოახდინა.

პანდემიის დაწყებამდე შეიმჩნეოდა საქართველოს ტურისტული კომპანიების მხრიდან ტურისტულ ბაზარზე ინტერნეტ საშუალებების პოტენციალის გამოუყენებლობა და ონლაინ გაყიდვების თითქმის არ არსებობა. არადა, თუ კომუნიკაციის პროცესი უწყვეტი არ არის, იკლებს ჩართულობის კოეფიციენტი. სოციალური ქსელი კი მრავლისმომცველი პლატფორმაა. ეს არის ის ადგილი, სადაც მომხმარებლები კომპანიას ეკონტაქტებიან, უზიარებენ მათ მოსაზრებებს პროდუქტების შესახებ, უსმენენ სხვა მომხმარებლებს და კითხულობენ მათ კომენტარებს. მულტიმედია ზრდის პროდუქტის ცნობადობას და ეხმარება ბრენდს პოზიციონირებაში. ამიტომ კომპანიებმა, რომლებსაც აქვთ მდიდარი მედია ფოტო/ვიდეოს სახით ხშირად უნდა გამოიყენონ ხსენებული პლატფორმა, ვინაიდან მომხმარებელი რომელიც მოიწონებს მას, აუცილებლად გააზიარებს[8].

კომპანია Travel Bee LTD ინფოდტურის განმავლობაში აქტიურად ცდილობს სოციალურ პლატფორმებზე მიზნობრივი აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, ამის დასტურია მისი პირველი აქტივობა – განხორციელებული ორი დღით ადრე, ინფოდტურის პროგრამის შინაარსის ტურის დაწყებამდე გასაჯაროვებით. აღნიშნული საჯარო განაცხადი კავკასიის სამივე ქვეყანაში მოგზაურობის სურვილის აღძვრისკენაა მიმართული; ამასთანავე ის მკითხველს ინტერესს უჩენს, თვალი ადევნოს დაგეგმილ ტურს და ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პირდება. აქცენტი არის ისეთ საინტერესო დეტალებზე, როგორებიცაა ქვეყნების ტრადიციები, ადათდწესები და კულტურა (ასევეა ინფრასტრუქტურაზე, სატრანსპორტო სისტემაზე და სასტუმროზე). (აქტივობა 1). გამგზავრება ხდება თბილისიდან ჩახვეული მთების, ფართო ველდმინდვრების, ულამაზესი კავკასიის

მთებისა და ტბების, უძველესი არქიტექტურული ძეგლების და შთამბეჭდავი სოფლების გავლით. ოთხდღიანი ინფორმაციული ტურდპაკეტი მოიცავდა ორმხრივი მიკროავტობუსის ბილეთს (თბილისიდერევანიდთბილისი), სამოგზაურო დაზღვევას, ოთხდღიან ჯგუფურ ტურებს სომხეთში კომფორტაბელური მიკროავტობუსით და გიდის თანხლებით, მუზეუმებში შესასვლელი ბილეთების და სადილის ჩათვლით (ქალაქ ერევნის 2 დღიანი ტური - Yerevan city tour; გარნი–გეგარდის ტური - Garni-Gegard tour; წახნაძორი–სევანის ტური -Tsakhnadzori-Kacharis-Sevan Sevanavank tour;), სასტუმროში განთავსებას (BB Room), შიდა მგზავრობის საფასურს და საღამოს გალა-ვახშმებს ქალაქის ცნობილ კაფე–რესტორნებში.

განთავსება მოხდა 3–ვარსკვლავიან კომფორტულ, ლამაზ და სუფთა 4*–იან სასტუმროში ''Konyak Hotel''. სასტუმროს აქვს სხვადასხვა კატეგორიის 40 ნომერი ბალკონებით (Premium luxe, Deluxe, Standard Twin@doublr, Family, Junior Suite@Suite rooms), საკუთარი რესტორანი და საზაფხულო კაფე შენობის მედ8-ე სართულზე, ღვინის და კონიაკის სადეგუსტაციო მარანი და ღია საცურაო აუზი, რომელიც ზამთარშიც თბება. სასტუმრო შეირჩა ქალაქის ცენტრთან სიახლოვის გათვალისწინებითაც. ის მდებარეობდა ერევნის ცენტრალურ ბაზართან ახლოს, ოდნავ ზევით, მშვიდ რაიონში, ქალაქის ცენტრიდან 10 წუთის ფეხით სავალ მანძილზე. 5-აათიანი მგზავრობის შემდეგ, სასტუმროში გამასპინძლებული სადილის შემდეგ, გამოყოფილი იყო 3 საათიანი დასასვენებელი დრო. ინფო-ტურის პირველი დღე იყო თავისუფალი და მოიცავდა მხოლოდ სასტუმროს დათვალიერებას საღამოს ვახშმამდე. ყოველი მნიშვნელოვანი დეტალი სასტუმროს შესახებ ასახულია ინფოდტურის დაწყების პირველივე დღეს სოციალური ქსელების პლატფორმებზე. (აქტივობა 2).

ინფოდტურის პროგრამა მეორე დღეს სრულდებოდა ტურისტული კომპანიის ''Hyur Travel LTD'' მიერ და მოიცავდა სასტუმროში საუზმის შემდეგ დედაქალაქის დათვალიერებას (ტურის ხანგრძლივობა/გზა – 8სთ/100კმ.) ქალაქის საფეხმავლო ტური მოეწყო ქალაქ ერევანში, რომელიც არის უძველესი ქალაქი, ბაბილონისა და რომის მსგავსად. მონახულებულ იქნა ქალაქის მთავარი ღირშესანიშნაობები, ძეგლები და მონუმენტები, ქუჩები, ტაძრები, ქალაქის მთავარი შესასვლელი, სომხეთის უდიდესი კათედრალი – წმ. გრიგოლის საკათედრო ტაძარი (იტევს 1700 ადამიანს, სიმაღლე 54მ.), სატელევიზიო ანძა, რესპუბიკის მოედანზე მდებარე ფოსტა, მთავრობის სახლი, მოსკოვის კინო, ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, სამხატვრო გალერეა, ისტორიის მუზეუმი, ეროვნული გალერეა, მოცეკვავე ფანტანები, თავისუფლების მოედანი, ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი, გაფესჩიანის ეროვნული ცენტრი, ფრანგული მოედანი, ბაგრამიანის, საიათნოვას და მაშტოცის გამზირები, ხაჩატუროვ აბოვიანის

ვარდისფერი ტუფით ნაგები შენობიანი ქუჩა, რომელიც სუვენირების მაღაზიების სიმრავლით გამოირჩეოდა, მარტისონ სარიანის ქუჩა, თამანიანის ქუჩა, დავიდ სასუნცის ძეგლი, შეყვაებულების პარკი(1,6ჰა), ერევნის კასკადი - ერთგვარი ამფითეატრი (გიგანტური კიბეების კომპლექსი შადრევნებით და ქანდაკებებით და ხედით არარატის მთაზე), გიგანტური კიბეები, წიწერნაკაბერდი (1915 წ. გენოციდის მსხვერპლთა საპატივსაცემოდ აგებული მემორიალი) და ა.შ. სადილი გაიმართა სასადილოში ''jengyalov hac yerevan''. მენიუში შედიოდა ''ჟენგიალოვის ქუდები'' - "პური მწვანილით" - ცომისა და ოცი ადგილობრივი მწვანილისგან გაკეთებული ეროვნული კერძი მთიანი ყარაბაღიდან (სომხეთში ამ რეგიონს არცახს უწოდებენ). ერევანში ჟენგიალოვის ქუდებს სთავაზობენ, როგორც ჩანს, ყველა რესტორანში, მაგრამ სწორედ ამ სასადილოში ამზადებენ მის საუკეთესო ვარიანტს: წვნიან, მწვანილიან თხელ, შემწვარ ლავაშს. ვახშამი გაიმართა რესტორანში "კავკასიელი ტყვე". როგორც ამბობენ, აქ დააგემოვნებთ კავკასიური სამზარეულოს ყველაზე დახვეწილ კერძებს და შეხვდებით ამავე სახელწოდების ფილმის გმირებს: კარებთან გამორჩეული სამეული – "კომსომოლის წევრი, სპორტსმენი და უბრალოდ მშვეიერება“, და „საბჭოთა სასამართლო - ყველაზე ჰუმანური სასამართლო მსოფიოში“ დაგხვდებათ.

ჩატარებული ქალაქის ტურის შესახებ ყველა ზემოთ აღწერილი ინფორმაცია განთავსებულ იქნა სოციალური ქსელების პლატფორმებზე. (აქტივობა 3).

მეორე დღეს, საუზმის მერე, ტურისტული კომპანიის Yerani Travel LTd მიერ მოწყობილი მარშუტით გამგზავრება მოხდა სოფელ გარნში იქ არსებული მონასტრის მოსანახულებლად, რომელიც იყო I საუკუნის წარმართული სამლოცველო და სომეხი მეფეების რეზიდენცია III საუკუნეში. ტურის ხანგრძლივობა/მარშრუტი - 8 სთ/200 კმ. შემდგომ გამგზავრება მოხდა შუა საუკუნეების მონასტრის (XII საუკუნე), გეგარდის მიმართულებით, რომელიც დაარსებულია გრიგოლ განმანათლებლის მიერ (IV) და წარმოადგენს სომხური შუასაუკუნეების არქიტექტურის ბრწყინვალე მაგალითს. ტურის ბოლოს მოეწყო მასტერკლასები. ლავაშის ცხობა, ღვინის და კონიაკის, ხილის არყების დეგუსტაცია ჩატარდა კულტურულდსაგამოფენო მაღაზიაში ''Noah`s garden'', რომელიც მდებარეობდა სოფელ გარნში, გარნის ტაძრის გვერდით. აქვე ტარდებოდა მასტერკლასები ჭურჭლის, ხის დამუშავების და ხალიჩების ქსოვის. სადილი გაიმართა რესტორანდმარანში. მოეწყო შოფინგდტური მისსავე სუვენირების მაღაზიაში. საღამოს ვახშამი მოეწყო სასტუმროში, გამომდინარე იქიდან რომ ტური იყო ხანგრძლივი. ჩატარებული ტურის შესახებ ყველა ინფორმაცია დადებულ იქნა სოციალური ქსელების პლატფორმებზე. (აქტივობა 4)

მომდევნო დღეს ტურისტული კომპანიის Hyur Travel LTD მიერ მოეწყო ტური სომხეთის ჩრდილოეთით, წახნაძორიდკაჭარისიდსევანის ტბის მიმართულე-

ბით (აქტივობა 5). ტურის ხანგრძლივობა/გზა - 8 სთ/250 კმ. თანამედროვედ აღ-ჭურვილი საბაგირო გზით მონახულებული იქნა სპორტული კომპლექსი და ზამ-თრის კურორტი ხელუხლებელი ტყეებითა და მდელოებით. შემდგომ მოეწყო ტუ-რები კაჭარისის მონასტერში წახნაძორის მახლობლად (XI-XIII სს.), სევანის ტბის და სევანავანქის (შუა საუკუნეების ტაძრის კომპლექსი ნახევარკუნძულზე) კომ-პლექსის მოსანახულებლად. სევანის ტბაზე, რესტორანში "Kompus" მოეწყო კალმა-ხის მწვადის მასტერკლასი (კალმახი "იშხანი" სრულიად განსხვავდება ევროპის ქვეყნების კალმახისაგან). გალადვახშამი გაიშალა სასტუმროში. ჩატარებული ტუ-რის შესახებ ყველა ინფორმაცია დადებულ იქნა სოციალური ქსელების პლატფორ-მებზე. (აქტივობა 5).

გამომდინარე ყველა ზემოთ აღნიშნული ინფოდტურის დეტალურ აღწერი-ლობზე და შეფასებებზე ჩანაწერებიდან, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ ინ-ფოდტური არის მიმართული სარეკლამო პროგრამაზე და თანამშრომელთა კვალი-ფიკაციაზე.

კვლევა წარიმართა ტურისტული კომპანიების მიერ საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების მასშტაბით შესრულებული ინფო-ტურების საერთო რაოდე-ნობის გამოსავლენად და დაფიქსირდა დიაგრამებში #1,2,3 ნაჩვენები მონაცემები:

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 3



ამ მიმართულებით რესპოდენტთა გამოკითხვებმა ნათლად მიუთითა შესრულებული ინფო-ტურების არასაკმარის რაოდენობაზე. მონაწილეობის ეს მაჩვენებლები უკიდურესად დაბალია. გარდა კახეთისა, არცერთ სხვა რეგიონში არ დაფიქსირდა გამოკითხულთა მხრიდან ინფო-ტურში მონაწილეობის 5-ზე მეტი მაჩვენებელი.

ყველაზე ეფექტური და ყველაზე სარწმუნო მაჩვენებელი იმისა, რომ ინფო--ტურში მონაწილეობამ ჩაიარა წარმატებულად და მისი მიზანი და მისია შესრულ-

და, არის გაყიდვების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა.[3] კვლევაში მონაწილე ტურისტული კომპანიები გაყიდვების მატების სხვადასხვა მონაცემებს აღიარებენ. (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



ტურისტულმა კომპანიებმა ინფო-ტურებში მონაწილეობა მხოლოდ ახალი პროდუქტის შესწავლის მიზნით კი არა, არამედ შემდეგაც უნდა უზრუნველყოფენ გაყიდული პროდუქტის მოწინავე პოზიციის შენარჩუნება მუდმივი ინფორმაციული განახლებით, კომერციული წინადადებების გამოყენებითა და ფასდაკლებებით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ტურ-ოპერატორების ინფორმირება ყველა ახალ გაუმჯობესებასა თუ ცვლილებაზე. ეს ყველაფერი კი, ინფო-ტურებში ხშირი მონაწილეობის გზით არის მხოლოდ შესაძლებელი.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა: საკითხების წამოჭრა და კვლევა იმ მიმართულებით, თუ რა როლი უკავია ტურისტული პროდუქტის ფორმირებაში ინფო-ტურებში მონაწილეობას და ინოვაციური იდეებისა და არგუმენტირებული მოსაზრებების წარმოჩენა ინფო-ტურების ორგანიზაციაში.

ტურისტული კომპანიის Travel Bee LTD ინფო-ტურში მონაწილეობის მაგალითი სრულ წარმოდგენას ქმნის ინფო-ტურის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რომელიც გამოსადეგია ტურისტული პროდუქტის ფორმირების სტრატეგიის შემუშავებაში და რეალიზაციის ახალი ხერხების გამოყენებაში და ტურიზმის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში.

ნაშრომში აღწერილი ინფო-ტური წარმოადგენს არა რომელიმე სახეს კლასიკური ინფო-ტურების ჩამონათვალიდან და განზოგადებული კატეგორიის ინფო--ტურს, არამედ მასზე მორგებულ ინფო-ტურს, რომელიც არა მხოლოდ მენეჯერის, არამედ ტურისტის თვალითაც შეაფასებდა შექმნილი ტურ-პაკეტის ეფექტურობას. ამით მკვეთრად იკვეთება ტურისტული კომპანიის მხრიდან ინფო-ტურის გეგმის

შემუშავების ღრმა ანალიზი და ინტერესი განევითარებინა თავისი ტურისტული პროდუქტი უფრო მეტად.

ორგანიზებული ინფო-ტური მაგალითის მიმცემია სხვა ტურისტული კომპანიებისთვის სოციალური ქსელების პოტენციალის გეგმაზომიერად გამოყენების და მიზნობრივ აუდიტორიაზე ყურადღების მიპყრობის მაქსიმალური მცდელობით. აღსანიშნავია, მისი მხრიდან ყოველ ტურისტულ ობიექტზე, ისტორიულ თუ არქიტექტურულ ძეგლზე საკმაოდ ამომწურავი, მრავლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება პუბლიკისთვის. ამით ის მომგებიან პიარ-რეკლამას უკეთებს საკუთარ ბიზნესს და ზოგადად ქვეყნის ტურისტული ბიზნესის აღორძინების მისას ემსახურება.

ტურისტული კომპანიის Travel Bee LTD მიერ ინფო-ტურში მონაწილეობის დეტალური აღწერით და შეფასებით ნაშრომი ერთგვარ გზამკვლევად გვევლინება ტურიზმის ბიზნესით დაინტერესებული მკითხველისათვის - ისინი რომ ადვილად დაარწმუნონ ახალი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად რაოდენ დიდია ინფო-ტურის საჭიროება, ხოლო, უკვე არსებული პროდუქტის სრულყოფისთვის კი, რაოდენ მნიშვნელოვანია ტურისტული პროდუქტის კომპონენტებზე ინფორმაციის განახლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვლევაში მონაწილე საქართველოს ტურისტული კომპანიების ინტერნეტ გვერდები
2. Борисов Ю.Н. " Маркетинг в туризме ", Издательство " Инфра-М" 2010г.
3. https://www.cactus-journal-of-tourism.ase.ro/Pdf/vol7/Radut%20Casiana.pdf
4. https://giirj.com/index.php/giirj/article/view/1175
5. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2322643
6. https://eric.ed.gov/?id=EJ1207892
7. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14649373.2012.689711
8. https://www.thieme-connect.com/products/ejournals/html/10.1055/s-0034-1381239
9. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=23aZffuaKywC&oi=fnd&pg=PA337&dq=info-tour&ots=4AMlHJHYun&sig=hjf9JsyRevRqsSOHXH2T_RwvIVY&redir_esc=y#v=onepage&q=info-tour&f=false
10. https://geniusjournals.org/index.php/esh/article/view/826
11. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-7091-6848-6_5
12. https://link.springer.com/chapter/10.1007/10720296_11
13. https://www.unwto.org
14. My LaGuardia - Student Portal (cuny.edu) https://mail.lagcc.cuny.edu/viplogin/Default.aspx
15. https://academicjournals.org/journal/JHMT/article-full-text-pdf/924D05B53147

The Role and Importance of Participation in an Info-Tour in the Formation of a Tourist Product

Sopio Stepanishvili
TSU PhD Student

SUMMARY

A modern tourist market represents a variety of different types of info-tours, that are becoming more and more popular, as they are one of the most effective ways to better understand the components of a tourism product, aimed at the advertising program and the qualifications of employees. The companies involved in these processes, work successfully and to the right directions in the field of tourism, make profitable PR-advertisement of their business and in general, serve the mission of raising awareness of the region and promoting revival of the tourism business.

The aim of the work is to discuss the important conceptual and practical aspects of the info-tour on the example of the Georgian tourist company Travel Bee LTD. For this purpose, the latest important approaches and developed practices have been analyzed, field research has been conducted and challenges and recommendations for further development identified. The paper deals with the role and importance of an info-tour in the tourism and hospitality industry, in formation of the tourist product. The research presented in the work includes the analysis of the effectiveness of the info-tour and the development of relevant conceptual recommendations for tourism companies based on the obtained results.

Keywords: Info-tour; Cognitive tour; Advertising and cognitive tour.

დემოგრაფიული მდგომარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში

ლევან ფაცურია
თსუ მაგისტრანტი

ნაშრომში განხილულია სამეგრელო-ზემო სვანეთის დემოგრაფიული მდგომარეობა, კერძოდ: შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინებისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. საქართველოში არსებული კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ქვეყანა მიეკუთვნება განვითარებად ქვეყანათა რიცხვს, დემოგრაფიული თვალსაზრისით კი - განვითარებულს. უფრო კონკრეტულად, ქართველების დემოგრაფიული ქცევა მსგავსია დასავლეთ ევროპის. გამომდინარე აქედან, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება.

პრობლემაში იგულისხმება შობადობის მკვეთრი შემცირება. დღეს კი, მათ საზრუნავს წარმოადგენს, როგორც ძალიან დაბალი შობადობა, ასევე მოსახლეობის დაბერება და მიგრაციული პროცესები. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით მაღალია იმიგრაციული ნაკადები დანარჩენი მსოფლიოდა. ქართული რეალობა განსხვავებულია. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ასობით ათასმა საქართველოს მოქალაქემ დატოვა სამშობლო. აღნიშნულ საკითხში დასავლეთ ევროპული და ქართული გამოცდილება განხსვავდება, თუმცა მსგავსია შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება და მოსახლეობის დაბერება. შესაბამისად, მათ მეტი გამოცდილება აქვთ წარმოდგენილ დემოგრაფიულ პრობლემებზე მუშაობის, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ოპტიმალური გზების მოძიების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მათ მიერ განვლილი გზისა და ქართული გამოცდილების ანალიზი დაგვეხმარება ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობის დინამიკა, დემოგრაფიული პოლიტიკა, შობადობა, გარდაცვალება, ბუნებივი მატება.*

ნაშრომის მიზანი: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვა და სტატისტიკური ანალიზი.

თემის აქტუალობა: წინა საუკუნის ბოლოდან დემოგრაფია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა. ტერიტორიულად მცირე ქვეყნისთვის დემოგრაფიული პრობლემები მეტისმეტად მტივნეული ასპექტია, აქედან გამომდინარე, ქვეყნის რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი მნიშნველოვანია, რადგან სწორი შეფასება და ანალიზი ეხმარება სახელმწიფოს დროულად რეაგირებაში, ისეთი პრობლემების გამკლავებაში, როგორიცაა: მოსახლეობის ცვალებადი მოთხოვნა განათლებასა და ჯანდაცვაზე. რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრისთვის გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მოსახლეობის

რივხოვნობა, შობადობისა და სიკვდილიანობის დონე, განათლების დონე, მიგრაცია, სიცოცხლის ხანგრძლივობა და მათი სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მიგრაციისა და ბუნებრივი მატების შესახებ ნათელია, რომ ქვეყანა განიცდის მწვავე დემოგრფიულ კრიზისს. მისი გადაჭრისთვის სწორ ანალიზთან ერთად მნიშნველოვანია, სამეცნიერო კვლევაზე დაყრდნობით ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება. ასევე აუცილებელია, მოხერხდეს აღნიშნული დემოგრაფიული კრიზისის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება.

შედეგზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მისი თითოეული რეგიონის მდგომარეობის ანალიზი.

როდესაც ვმსჯელობთ საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებზე, მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხი განვიხილოთ რეგიონულ ჭრილშიც. საქართველოში რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები. დაბლობებსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა დიდი რაოდენობით და მჭიდროდ არის დასახლებული, განსხვავებით მთიანი რეგიონებისგან.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალე ჩემი კვლევითი პროქტის თემად შემერჩია საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მხარის , როგორც ტერიტორიული ისე მოსახლეობის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთის დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია დინამიკური მწკრივის დასახასიათებლად საჭირო მაჩვენებლები და ბუნებრივი მოძრაობის სხვადასხვა სახის კოეფიციენტები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა ყველა ქვეყანა და ხალხი თავისი დემოგრაფიული ისტორიის გზაზე ერთი და იგივე ეტაპებს გადის, რომელთაგანაც თითოეულს მოსახლეობის აღწარმოების არკვეული ტიპი შეესაბამება. ეს აზრი განვითარებული არის „დემოგრაფიული გადასვლის“ კონცეფციაში. თეორია ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ა. ლანდრის, რომელიც შემდგომში ამერიკელმა დემოგრაფმა ფრანკ ნოუთსტაუნმა განავითარა. აღნიშნული თეორიის თანახმად გამოიყოფა 4 ფაზა და თითოეულ მათგანში ყოფნა დამოკიდებულია სოციალურეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველო ისევე, როგორც ბევრი სხვა ევოპული სახელმწიფო, დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაში იმყოფება, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობისა და მოკვდაობის დაბალი დონე, კოეფიციენტებიც თითქმის თანაბარია (გოგსაძე გ. 2008 გვ:24-26). როგორც ავღნიშნეთ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით განვითარებულ ქვეყანათა

ჯგუფს მიეკუთვნება, საქართველო კი განვითარებადს, თუმცა დემოგრაფიული მახასიათებლები მსგავსია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში კრიზისული დემოგრაფიული მდგომარეობა მხოლოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით არ არის განპირობებული და მის გამოკვლევას სიღრმისეული კვლევა სჭირდება.

ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული ფაქტორი. დემოგრაფიული პროცესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რიგ ეკონომიკურ მოვლენაზე, როგორიცაა საგადასახადო შემოსავლების შემცირება, რომელიც პირდაპირ აისახება სახელმწიფოს ბიუჯეტზე; პენსიებისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა, რასაც იწვევს ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და ა.შ .როგორც ვიცით, დემოგრაფიულ პროცესებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, მიგრაცია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური ანალიზი

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დახასიათებისთვის აუცილებელია მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამოქვეყნებულული მონაცემების მიხედვით საშუალო მოსახლეობა სამეგრელო-ზემო სვანეთში 2022 წელს 301,2 ათასია

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება და განქორწინება. განვიხილოთ თიოთეული მათგანი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჭრილში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 1 მოცემულია ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.

ცხრილი 1

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 998	4 797	4 436	3 972	3 473	3 286	3 203
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	595	545	511	491	418	393	418
აბაშის მუნიციპალიტეტი	224	245	223	188	183	212	190
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1 020	994	1 610	1 462	1 244	1 115	1 090
მარტვილის მუნიციპალიტეტი	478	470	454	358	326	324	307
მესტიის მუნიციპალიტეტი	188	196	176	155	139	172	133
სენაკის მუნიციპალიტეტი	625	563	516	450	405	347	393
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	327	324	276	259	214	212	199
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	381	354	324	304	249	248	239
ხობის მუნიციპალიტეტი	409	386	346	305	295	263	234

თავდაპირველად გავნიხილეთ მოსახლეობის რაოდენობა მთლიანად მხარესა და ცალკეული რაიონების მიხედვით და ცხადი იყო მოსახლეობის მკვეთრი შემცირების სურათი, რაც აიხსნებოდა არაერთი მიზეზით, რომელთაგანაც ერთ-ერთი არის საშუალო მოსახლეობა და ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, იქიდან გამომდინარე რის მიხედვითაც იანგარიშება შობადობის დონე. აქედან გამომდინარე მოცემული ცხრილების მიხედვით თვალნათლივ ჩანს შობადობისა და საშუალო წლიური მოსახლეობის შემცირების მეტად სამწუხარო ტენდენცია.

2021 წელს სამეგრელო ზემო სვანეთში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ტოლია $\frac{3203}{01200}$ *1000 = 10,6 პრომილი, რაც ნიშნავს იმას, რომ სამეგრელო ზემო სვანეთში 2021 წელს ყოველ ათას მცხოვრებზე იბადება 10,6 ბავშვი.

ამჯერად განვიხილოთ გარდაცვლილთა რიცხოვნობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისა და თვითმმართველი ქალაქების მიხედვით.

ცხრილი 2

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**5 397**	**5 532**	**5 119**	**4 904**	**4 874**	**4 946**	**5 578**
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	560	542	541	536	509	541	645
აბაშის მუნიციპალიტეტი	408	401	383	401	350	370	399
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	840	932	1 636	1 556	1 546	1 508	1 697
მარტვილის მუნიციპალიტეტი	592	580	571	536	539	531	618
მესტიის მუნიციპალიტეტი	120	128	129	131	121	139	150
სენაკის მუნიციპალიტეტი	694	663	634	585	630	622	776
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	370	353	364	365	323	349	347
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	435	462	394	353	393	394	443
ხობის მუნიციპალიტეტი	482	461	467	441	463	492	503

შობადობისგან განსხვავებით საპირისპირო სოტუაციაა გარდაცვლილთა რიცხოვნობის დინამიკაში. 2015-2019 წლამდე რეგიონშიც და ცალკეულ ქალაქებში აიღინიშნებოდა შემცირების ტენდენცია თუმცა 2019 დან 2021 წლამდე საკმაოდ მზარდია გარდაცვლილთა რიცხოვნობა განსაკუთრებით დიდია განსხვავება 2020 და 2021 წლებს შორის, რაც შესაძლოა პანდემიის უარყოფითი მოქმედების შედეგი იყოს. მხარის დიდ და მცირე ქალაქებშიც იდენტური სიტუაციაა. შობადობის მსგავსად შედარებით სტაბილური მდგომარეობაა მესტიაში, თუმცა 2021 წელს წინა წელთან შედარებით პროცენტულად მნიშნველოვანი ზრდა აღინიშნება.

2021 წელს სამეგრელელო-ზემო სვანეთში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ტოლია: $\frac{5578}{301200}$*1000 =18,51 პრომილი, რაც ნიშნავს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის 18,51 გარდაცვლილი.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის სხვაობას ბუნებრივი მატება ეწოდება, რომელიც გვიჩვენებს დაბადებულებსა და გარდაცვლილებს შორის სხვაობას აბსოლუტური მნიშვნელობით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივი მატების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემაოთ მოყვანილ ცხრილში

ცხრილი 3

რეგიონი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-399	-735	-683	-932	-1 401	-1 660	-2 372

მოცემული ცხრილებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავთვალოთ ბუნებრივი მატების კოეფიციენტები.

2021 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში ეს მონაცემი შეადგენდა $\frac{3203-5578}{301200}$ *1000 = -7,88 პრომილე, რაც ნიშნავს რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში 2021 წელს აღინიშნებოდა 7,88 ადამიანით კლება ყოველ ათას მოსახლეზე.

გარდა ამისა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ხასიათდება სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება გარდაცვლილთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვს $K_{ხოგ} = \frac{N}{M}$

2021 წელს ეს მაჩვენებელი იყო 3203 / 5578 =0,57,

სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტის ეს მაჩვენებელიც რეგიონის მეტად არასახარბიელო მდგომარეობაზე მეტყველებს.

შობადობის და მოკვდაობის ჯამს ადამიანთბრუნვას უწოდებენ, რაც ბუნებრივი მოძრაობის ეფექტიანობის დახასიათებისთვის გამოიყენება.

2021 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ეკონომიურობუს კოეფიციენტი ტოლი იყო $\frac{8.51-10.6}{8.51+10.6}*100=27.1\%.$

ბუნებრივი მოძრაობის შემდეგი მახასიათებელი არის ქორწინება.

მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის და ქორწინებითი მდგომარეობის ანალიზი დემოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხთა წრეს მიეკუთვნება.

სამეგრელო-ზემო სვანეთში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის შესახებაც მონაცემები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

ცხრილი 4

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 598	2 241	2 101	2 055	1 943	1 363	1 908
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	308	264	266	255	240	179	294
აბაშის მუნიციპალიტეტი	131	101	110	99	138	86	103
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	474	384	780	790	688	460	684
მარტვილის მუნიციპალიტეტი	214	181	183	156	174	122	157
მესტიის მუნიციპალიტეტი	88	66	56	73	75	46	72
სენაკის მუნიციპალიტეტი	303	255	213	217	235	165	215
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	160	154	153	133	101	85	108
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	208	186	172	173	137	108	140
ხობის მუნიციპალიტეტი	203	212	168	159	155	112	135

ცხრილიდან ჩანს, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთში 2015დან 2020 წლამდე აღინიშნებოდა ქორწინების შემთხვევების კლება ხოლო 2021 წელს 2020თან შედარებით, საგრძნობი ზრდა, რაც ბუნებრივია პანდემიის ეფექტებიდან იყო განპირობებული, რაც შეეხება ცალკეულ მუნიციპალიტეტებს აქაც ანალოგიური სიტუაციაა.

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება დაქორწინებულთა რიცხვი შეფარდებული მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან.

რეგიონის ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი პრომილებში წლების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 5

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7,830018	6,823995	6,480568	6,40586	6,144845	4,381228	6,18677

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტიც წლების განმავლობაში მცირდებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე პანდემიიდან გამომდინარე კატასტროფული ვარდნა იყო 2020 წელს თუმცა 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დაუბრუნდა ძველ ტენდენციას. იგი 2019თან შედარებით ოდნავ გაიზარდა თუმცა 2018 შედარებით კვლავ კლება აღინიშნება.

ბუნებრივი მოძრაობის შემდეგი მაჩვენებელი არის განქორწინება.სამეგრელო-ზემო სვანეთში რეგისტრირებულ განქორწინებათა შესახებ სტატისტიკური იფნორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 6

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამეგრელო-ზემო სვანეთი	654	725	825	813	1 021	694	969
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	90	67	119	121	139	88	135
აბაშის მუნიციპალიტეტი	27	43	48	45	52	44	53
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	126	189	326	329	448	291	406
მარტვილის მუნიციპალიტეტი	46	54	57	61	70	49	58
მესტიის მუნიციპალიტეტი	14	20	16	20	22	12	18
სენაკის მუნიციპალიტეტი	95	76	100	76	111	83	118
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	26	42	39	40	35	31	44
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	48	48	58	53	79	46	70
ხობის მუნიციპალიტეტი	58	48	62	68	65	50	67

ცხრილის მიხედვით განქორწინებათა რიცხვი წლების განმავლობაში იზრდებოდა როგორც მთლიანად რეგიონში ისე ცალკეულ თვითთმართველ ერთეულებში. განქორწინების შემთხვევაში 2020 წელს აღინიშნება საგრძნობი კლება, რაც სავარაუდოდ კვლავაც პანდემიის ზემოქმედების შედეგია. 2021 წელს არის საგრძნობი ზრდა თუმცა 2019 წლის მაჩვენებელს მცირედით ჩამორჩება, 2018 წელთან შედარებით კი ზრდა გვაქვს.

რაც შეეხება განქორწინების ზოგად კოეფიციენტს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მიხედვით ეს მაჩვენებელი პრომილებში მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 7

2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
1,971067	2,207674	2,544725	2,534289	3,228969	2,230794	3,142023

ბუნებრივია, განქორწინების ზოგადი კოეფიციენტის ზრდისა და კლების ტენდენცია იგივეა რაც განქორწინების რიცხოვნობის იყო.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, ისევე როგორც მის რეგიონში სამეგრელო-ზემო სვანეთში XXI საუკუნის დასაწყისში, დემოგრაფიული პროცესების მძიმე მდგომარეობით ხასიათდება, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. არსებული მდგომარეობა აუცილებელს ხდის გააზრებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომლის შემად-

გენელი ნაწილი უნდა იყოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა და ყურადღების გამახვილება დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია არსებული შობადობის დონის კლების ტენდენციის შენარჩუნება და დაწყებული დეპოპულაციის (ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ან მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რომლის დროსაც მომდევნო თაობების რიცხოვნება ნაკლებია წინაზე (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015) მეტად გამწვავება.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება ევროპელებმა დაიწყეს საოჯახო პოლიტიკის გატარებით და პირველ რიგში დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციით. მიდგომამ გაამართლა, რისი ნათელი მაგალითია სკანდინავიის ქვეყნები, სადაც შობადობის დონე ყველაზე მაღალია ევროპაში (www.esa.un.org) და სადაც დეკრეტული შვებულების ყველაზე ლიბერალური პირობები არსებობს ორივე მშობლისათვის. სკანდინავიური დეკრეტული შვებულების პირობები ევროპული ქვეყნების მიერ პირდაპირ იქნა აღიარებული საუკეთესო მოდელად და შობადობის დონის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად. სკანდინავიური მოდელი გულისხმობს შობადობის რაოდენობის გაზრდას და ამავდროულად ქალთა დასაქმების მაღალ დონეს. სკანდინავიური მოდელისგან განსხვავებული და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების უფრო დიდი გამოცდილება აქვს საფრანგეთს, რომლის დამსახურებითაც ის ახერხებს, რომ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი შობადობა აქვს. შობადობის კოეფიციენტის გაზრდის კუთხით, ქმედით პოლიტიკას ატარებს საფრანგეთი. საფრანგეთში ჯერ კიდევ 1913 წელს შემოიღეს ანაზღაურებადი შვებულების ცნება ორსულობისა და მშობიარობის გამო. 1939 წელს კი მიიღეს საოჯახო კოდექსი. საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობა, შობადობის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, ითვალისწინებს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობისა და მშობიარობის გამო, სოციალურ დახმარებას ბავშვებზე, საოჯახო სოციალურ დახმარებას, სოციალურ დახმარებას მარტოხელა მშობლებისათვის, სოციალურ დახმარებას შვილად აყვანის შემთხვევებში და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სამი ან მეტი შვილის ყოლის შემთხვევებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთში შობადობის კოეფიციენტის უკეთესი მაჩვენებელი ფიქსირდება, არც საფრანგეთის მიერ გატარებული პოლიტიკა აღმოჩნდა საკმარისი ყველა დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად, რამდენადაც როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

ასევე, პრობლემურია და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დადებით გავლენას ნამდვილად ვერ ახდენს ის ფაქტი, რომ დღემდე დასახვეწია

მარტოხელა მშობლის სამართლებრივი სტატუსისა და მდგომარეობის განსაზღვრის საკითხი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მარტოხელა მშობლის სოციალურ გარანტიებს უზრუნველყოფდა, მაშინ, როდესაც საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისი პრივილეგიებით სარგებლობენ. შვილის ყოლა ისედაც მრავალ ფინანსურ საზრუნავთან არის დაკავშირებული. შობადობის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, სახელმწიფომ განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს მარტოხელა მშობლის მიმართ და იგი მყარი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოს, იმის გათვალისწინებითაც, რომ მარტოხელა მშობლების რიცხვი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მზარდი ხდება.

სკოლამდელი განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მოქნილი, საფრანგეთის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა შექმნას და გააფართოვოს ბავშვთა მოვლის საჯარო დაწესებულებების ქსელი, საჭიროა საბავშვო ბაღები უზრუნველყოფდნენ სრულ დღიურ მოვლას, რაც დადებითად აისახება შობადობის კოეფიციენტის ზრდაზე. საფრანგეთმა, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით 1995-1998 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2.3% მიმართა მიზნობრივი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოთ განხილულს მივყავართ დასკვნამდე, რომ დემოგრაფიულ პრობლემებთან ბრძოლის ერთი, უნივერსალური გზა არ არსებობს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროა მისი სიღრმისეულად შესწავლა და შემდეგ პოლიტიკის შემუშავება. ევროპული მაგალითის გათვალისწინება კი, მოგვცემს შესაძლებლობას, გავაანალიზოთ რა შეიძლება იყოს ოპტიმალური საქართველოსთვის და რა ფუჭი მცდელობა. დემოგრაფიული ქცევის შეცვლა მყისიერად არ ხდება. შესაბამისად, ამ საკითხის გადადებამ და უგულვებელყოფამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2020). სოციალური სტატისტიკა. სახელმძღვანელო, „უნივერსალი“, თბილისი.
2. მერაბ ხმალაძე, ქეთევან ჩიტალაძე (2020). დემოგრაფიული სტატისტიკა. სახელმძღვანელო, თბილისი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge
4. Geography AS Notes - Alex Jackson „France, a Pro Natalist Country“: www.geographyas.info
5. საქართველოს პარლამენტი: http://parliament.ge
6. https://publika.ge/article/ratom-ar-mravldeba-saqartvelos-mosakhleoba/
7. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/562/Birth%20rate%20in%20Samegrelo-Upper%20Svaneti%20region.pdf?sequence=1&isAllowed=y

8. https://www.gnb.ca/legis/business/committees/previous/reports-e/demog/what-e.asp
9. https://www.economist.com
10. https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2016/Failebi/account.pdf

Demographic Situation in Samegrelo-Zemo Svaneti Region

Levan Patsuria
TSU Master student

SUMMARY

The present work will discuss the demographic situation in Samegrelo-Upper Svaneti. The critical demographic situation in Georgia is complex. In terms of economic development, the country belongs to the number of developing countries, and in terms of demographics - developed. More specifically, the demographic behavior of Georgians is similar to that of Western Europe. Given here, it is necessary to take into account the experience of European countries in developing demographic policy.

European countries have been facing a demographic crisis for decades. In Europe, France was the first country to focus on the demographic situation created and began to discuss ways to address it. After France, other Western European countries faced the same demographic problem. The problem involves a sharp decline in birth rates. Today, they are concerned about very low birth rates, as well as population aging and migration processes. Immigration flows to the rest of the world are high in the direction of Western European countries. Georgian reality is different. Since the 1990s, tens of thousands of Georgian citizens have left their homeland. Western European and Georgian experience is being solved in this regard, although there is a significant reduction in birth rates and population aging, so they have more experience in working on demographic problems, optimal ways to develop and implement demographic policies. Therefore, the analysis of the path and Georgian experience they have taken will help us to develop optimal demographic policy.

სოციალური საწარმოების ტურისტული პოტენციალის ათვისების შესაძლებლობები საქართველოში

გიორგი ხიდეშელი
თსუ დოქტორანტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სოციალური საწარმოების ტურიზმის ინდუსტრიაში ინტეგრირების შესაძლებლობები, პერსპექტივები და პოტენციური სარგებელი. ეკონომიკის ზემოხსენებული ორი მიმართულების ურთიერთთანამშრომლობის გზების განხილვამდე, ცალკე თავი დაეთმო სოციალური მეწარმეობის კონცეფციის შესწავლას. ნაშრომის მეორე ნაწილის ამო-ცანა საერთაშორისო ტურიზმში ახლადამკვიდრებული ტენდენციების შესწავლა იყო, რის საფუ-ძველზეც განისაზღვრა სოციალური საწარმოების ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზან-შეწონილობა. გარდა ამისა, გაიწერა იმ კრიტერიუმთა ნუსხაც, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ სოციალური საწარმო დაასრულებს მისი ნაწარმისა თუ მომსახურების ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნას და მზად იქნება სტუმრების მისაღებად. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემული სარეკომენდაციო პაკეტი კი ზემოხსენებული ინტეგრაციის პროცესის ყველა მოქმედი რგოლის ფუნქცია-მოვალეობებისა და როლების განსაზღვრას ემსახურება.

ნაშრომის ფარგლებში დადგინდა, რომ მოგზაურების გარკვეული ნაწილი ცდილობს მასპინძელი ქვეყნის მონახულებისას თავისი წვლილი შეიტანოს ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერებაში. სოციალური საწარმოებიც სწორედ რომ იმავე მიზანს ემსახურებიან და შესაბამისად მათ მომსახურებასა თუ პროდუქტში გადახდილი თანხა ავტომატურად საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებს ხმარდება. აქედან გამომდინარე, ტურიზმის ინდუსტრიაში მათი ინტეგრირება ყველა მხარისთვის მომგებიანია. სოციალური საწარმოები ზრდიან შემოსავლის მიღების შანსებს, ხოლო ტუროპერატორები კლიენტთა ინტერესებზე მორგებულ სერვისს ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სოციალური საწარმო ინდივიდუალურია, სწორი სამოქმედო გეგმის შემუშავების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ტურისტული პოტენციალის იმგვარი ათვისება, რომ აღნიშნულმა მოვლენამ საქართველოში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უდავოდ პოზიტიურად იმოქმედოს.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური საწარმო, ტუროპერატორული ბიზნესი, მდგრადი განვითარება*

მსოფლიოში მდგრადი ტურიზმი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მოგზაურები მაქსიმალურად ცდილობენ მათ მიერ დახარჯული თანხა ადგილობრივი საზოგადოებების განვითარებას მოხმარდეს (UNESCO, n.d.). ამისათვის კი ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი სოცია-ლური საწარმოების მონახულება შეიძლება იყოს. საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალია-ნსის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად ამჟამად რეგისტრირებული 65 სოციალური საწარმოდან 16 ანუ დაახლოებით 25% ტრადიციული რეწვით არის დაკავებული. საერთაშორისო

ტურიზმის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით მათი საწარმოო პროცესი და ნაწარმი შესაძლოა ტუროპერატორულმა კომპანიებმა სამოგზაურო პროგრამების გასამდიდრებლად გამოიყენონ. ასეთი ტიპის სოციალურ საწარმოებს თვითორგანიზებულ მოგზაურებშიც შეუძლიათ დიდი დაინტერესების გამოწვევა.

სოციალური მეწარმეობა არის ის ახალი ნიშა, რომლის საშუალებითაც ქართულ ტუროპერატორებს შანსი ეძლევათ ფეხი აუბან ტურიზმის თანამედროვე ტენდენციებს და შექმნან მაღალი ხარისხის მომსახურება. შესაბამისად, სოციალური საწარმოების სამოგზაურო პროგრამებში ჩასმა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორ კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება. აღნიშნული თანამშრომლობა თავის მხრივ მომგებიანია სოციალური საწარმოებისთვისაც, ვინაიდან ახალი ბაზრების ათვისებით გაზრდიან არამარტო შემოსავლებს, არამედ სოციალური მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს.

საინტერესოა, თუ რა ფაქტორები აფერხებენ ამ ორი სექტორის თანამშრომლობას? ეს კითხვა თავის მხრივ წარმოადგენს საკვლევ პრობლემას. ტუროპერატორული კომპანიები ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ სოციალური მეწარმეობის იდეას და მის ტურისტულ პოტენციალს. მეორე მხრივ სოციალური საწარმოები ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად ათვისებას და მათი სერვისის ტურისტული ბაზრისთვის შეთავაზებას. აქედან გამომდინარე, ნაშრომი სამიზნე აუდიტორიას, კერძოდ ტუროპერატორებს, სოციალურ საწარმოებს, არასამთავრობო სექტორსა და სახელმწიფოს კვლევაზე დაფუძნებულ სამოქმედო გეგმას შესთავაზებს.

ნაშრომის მიზანია განიხილოს სოციალური მეწარმეობისა და ტურიზმის ინდუსტრიის თანა-მშრომლობის პერსპექტივები და სარგებლიანობა. ცალკე ყურადღება ეთმობა სოციალური საწარ-მოების მომსახურებისა თუ პროდუქტის ტურისტულ სანახაობად გარდაქმნის პროცესის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრას.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. ინფორმაციის შეგროვების მიზნით დამუშავდა მეორადი წყაროები, კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქ-ვეყნებული ანგარიშები და დარგის ექსპერტთა სამეცნიერო სტატიები. ასევე, საწარმოთა საქმია-ნობის მახასიათებლების და დეტალების შესასწავლად დამუშავდა საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები

სოციალური მეწარმეობის კონცეფცია

სოციალური მეწარმეობა ბიზნეს მიდგომების გამოყენებით საზოგადოებაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. სოციალური საწარმოების კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავალი არა კერძო, არამედ საზოგადო ინტერესებს ხმარდება.

ტრადიციული საწარმოებისგან განსხვავებით, მათთვის მოგება საშუალებაა და არა მიზანი. აღნიშნული კონცეფციის მთავარი ამოსავალი წერტილი მეწარმეობის ინოვაციური გზების დანერგვით ფინანსური რერუსების მობილიზება და ისეთი სოციალური მიმართულებების მდგრად განვითარებაში ინვესტირებაა, როგორებიცაა: განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ეკოლოგია და სხვა. აქედან გამომდინარე, სოციალური მეწარმეები საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოწვევების დაძლევის პასუხისმგებლობას ნებაყოფლობით იღებენ საკუთარ თავზე და ბიზნეს საქმიანობის წამოწყებით მომხმარებლებს ირიბ ინვესტორებად აქცევენ (Dees, 1998, 4-5).

სოციალური მეწარმეობის ტრადიციული მეწარმეობისგან გამიჯვნის მიზნით ევროპულმა კვლევითმა ქსელმა (EMES)[1] ბიზნეს პრინციპებით მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის დამახასიათებელი 9 ძირითადი კრიტერიუმი შეიმუშავა.

1. სოციალური საწარმო უწყვეტ რეჟიმში უნდა ახორციელებდეს სერვისის მიწოდებას ან პროდუქტის წარმოებას, რათა გამოიმუშაოს არსებობისთვის საჭირო მატერიალური რესურსები. მისი შემოსავლების მინიმუმ 50% ეკონომიკური აქტივობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი;

2. სოციალურ საწარმო აუცილებლად უნდა ქმნიდეს ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და აერთიანებდეს თანამშრომელთა მცირე ჯგუფს მაინც. თუმცა იგი მოხალისეების ადამიანისეული რესურსის გამოყენებისგანაც არ არის შეზღუდული;

3. სოციალური საწარმოს საქმიანობის შემაფერხებელი რისკების მართვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მის დამაარსებლებსა და წევრებს ეკისრებათ. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელის წარმატება მეტწილად ინდივიდთა ძალისხმევაზეა დამოკიდებული;

4. სოციალურ საწარმოს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი საზოგადოებრივი მიზანი, რომლის ფარგლებშიც მისი ძალისხმევა მიმართული იქნება კონკრეტული სამიზნე ჯგუფის საჭიროებებისკენ. იგი არ უნდა ემსახურებოდეს ცალკეული ინდივიდის პირად ინტერესებს;

5. სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება შეუძლიათ საერთო იდეის გარშემო გაერთიანებულ მოქალაქეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

6. სოციალური საწარმოს იდეა ეწინააღმდეგება მოგების მეწილეებზე განაწილების პრაქტიკას. მფლობელების ან მეწილეების მხრიდან პირადი მოგების მაქსიმიზაცია კატეგორიულად მიუღებელია;

7. სოციალური საწარმოს დამაარსებელი მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი გადაწყვეტილების მიღების პროცესში განუსაზღვრელ ავტონომიას ფლობს. მხო-

[1] European Research Network

ლოდ მათ შეუძლიათ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;

8. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური საწარმოს თითოეულ წევრს ერთი თანაბა-რი მნიშვნელობის ხმა აქვს და კაპიტალის მფლობელებს რაიმე სახის პრივილეგიები არ აქვთ;

9. მომხმარებლებს, ბენეფიციარებსა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერ-თონ სოციალური საწარმოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ღიად გამოთქვან თავი-ანთი მოსაზრებები (ჩიტიშვილი, და სხვ., 2019, 13-15).

სოციალური მეწარმეობის კონცეფციის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია საზო-გადოების გაძლიერებისა და განვითარების პროცესში მისი როლის გამოკვეთა. ზოგადთეორიულ ჭრილში სოციალური მეწარმეობა „სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლასა“ და საზოგადოებრივი სიკეთეებისთვის ღირებულების მინიჭებას ცდილობს (Gawell, 2012, 1076). სოციალური ცვლილე-ბების განხორციელებას ისეთი ქმედებების განხორციელებით ახერხებენ, როგორებიცაა:

1. მოწყვლადი, მარგინალური და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების დასაქმებით;

2. სამიზნე ჯგუფებისთვის, კერძოდ მოწყვლადი ინდივიდებისთვის სპეციალური სოციალური სერვისების მიწოდებით, მაგ. ხანდაზმულთა მოვლა;

3. მოწყვლადი რეგიონებში/დასახლებულ პუნქტებში შემოსავლის წყაროების შექმნითა და მიგრაციის პროცესების შეჩერებით;

4. სხვადასხვა სფეროებში განვითარების მუხტის შექმნით (დათუაშვილი, და სხვ., 2019, 15-18).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მეწარმეობა საზოგადოებისა თუ ადგილობრივი თემის გაძლიერებით დაინტერესებული მოქალაქის ან მოქალაქეთა ჯგუფის ხელში დასახული მიზნების მიღწევის საშუალებაა, რომელიც ცალსახად ბიზნესის კეთების მეთოდს ემყარება. სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებით კონკრეტული იდეის გარშემო გაერთიანებულ ინდივიდებს რესურსების მობილიზების, თვითრეალიზებისა და ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალება ეძლევათ.

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

დღეისათვის საქართველოში სოციალური საწარმოების იურიდიული ფორმა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. აქედან გამომდინარე ნებისმიერ სამეწარმეო თუ არასამეწარმეო სუბიექტს შეუძლია დაკავდეს სოციალური მეწარმეობით. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები ძირითადად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა

და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არიან დაფუძნებულნი (მხეიძე, 2017, 10-12).

მიმდინარე პერიოდში საქართველოში 65 რეგისტრირებული სოციალური საწარმო ფიქსირდება. მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ვებგვერდზეა[2] განთავსებული. აღნიშნული ორგანიზაცია 2016 წელს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით დაარსდა. სოციალურ საწარმოთა ალიანსის საჯარო ელექტრონული ბაზის შესწავლით დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები შვიდი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ 65 საწარმოში ჯამში 579 ადამიანია დასაქმებული.

სოციალური საწარმოების საქმიანობა მიმართულებების მიხედვით ცხრილი 1	
მიმართულება	საწარმოთა რაოდენობა
სერვისები	19
ტრადიციული რეწვა	16
ნატურალური პროდუქტები	10
დეკორაციები და საყოფაცხოვრებო ნივთები	7
შემეცნებითი საშუალებები	7
სოციალური სერვისები	4
გარემოს დაცვა	2
ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ	

სოციალური მეწარმეობის იდეის უკეთ გასააზრებლად რომელიმე სოციალური საწარმოს საქმიანობის განცილვაც საკმარისია. მაგალითად 2011 წელს წეროვნის დევნილთა დასახლების მაცხოვრებელთა ჯგუფმა დააარსა ტიხრული მინანქრის სახელოსნო „იკორთა“. აღნიშნული სოციალური საწარმოს მისია დევნილთა დასახლებაში მცხოვრები პირების ეკონომიკური მდგო-მარეობის გაუმჯობესებაა. ძველი ქართული ტექნოლოგიის გამოყენებით დამზადებული სამკა-ულების გაყიდვით შემოსული თანხა დასაქმებულთა (10 იძულებით გადაადგილებული პირი) მზარდ ხელფასებს ხმარდება. იკორთა ტრადიციული საქმიანობის გაცოცხლებით მოწყვლადი ჯგუფის ეკონომიკურ მხარდაჭერას ემსახურება (Seageorgia, იკორთა, თ. გ.).

[2] www.seageorgia.ge

წინა აბზაცებში განხილული სოციალური საწარმოები ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში სოციალური მეწარმეობა ეკონომიკის ეფექტიან მიმართულებას წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ 65 საწარმოდან მრავლად არიან ისეთებიც, რომლებმაც ვერ შეძლეს მეტ-ნაკლებად კონკურენტულ გარემოში წარმატებით ფუნქციონირება და პასიურ საქმიანობას ეწევიან. აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია თითოეული მათგანის სოციალური მედია ანგარიშების შესწავლით.

სოციალური საწარმოები ტურიზმის ინდუსტრიაში

საერთაშორისო ტურიზმი მუდმივ ფორმირებას განიცდის. მოგზაურთა სურვილები და ინტერესები წლიდან წლამდე იცვლება. დიდი ბრიტანეთის ტუროპერატორთა ასოციაციის (ABTA)[3] 2022 წლის ანგარიშის მიხედვით გამოკითხულთა 54%-სთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მომსახურება მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიებისგან მიიღოს (ABTA, 2022, 7). ლოგიკურია, რომ შემომყვანი და გამყვანი ტუროპერატორები მაქსიმალურად ცდილობენ ფეხი აუბან თანამედროვე სტანდარტებს, რაც მდგრადი განვითარების ინდივიდუალური პოლიტიკისა და თანამედროვე ყაიდის სამოგზაურო პროგრამების შემუშავებაში გამოიხატება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ შემუშავებული თეორიული ჩარჩოს მიხედვით ტურიზმის მდგრადი განვითარება ეკონომიკურ, სოციო--კულტურულ და გარემოსდაცვით მიმართულებებს აერთიანებს. ზემოხსენებული თეორიის მიზანი მოგზაურების, ინდუსტრიაში ჩაბმული სუბიექტების და ადგილობრივი საზოგადოებების ამჟამინდელ და სამომავლო საჭიროებებზე ზრუნვაა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად კონკრეტული დირექტივებიც განსაზღვრა. მაგა--ლითად, ინდივიდებმა და კომპანიებმა სასურველია:

1. ხელი შეუწყონ ადგილობრივთა სოციოეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შემოსავლის მიღების შესაძლებლობების შექმნის გზით. წვლილი შეიტანონ სიცოცხლისუნარიანი ადგილობრივი ეკონომიკების ჩამოყალიბებასა და სიღარიბის დაძლევაში;
2. პატივი სცენ ადგილობრივი საზოგადოებების კულტურასა თუ ტრადიციებს და წვლილი შეიტანონ მათ უცვლელი ფორმით შენარჩუნებაში;
3. ოპტიმალურად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები, იზრუნონ ეკოლოგიასა და ბიომრავალ-ფეროვნების შენარჩუნებაზე (UNWTO, n.d.)

[3] დიდი ბრიტანეთის ტუროპერატორთა ასოციაცია (ABTA) – აერთიანებს 39 მილიარდი ფუნტის ჯამური ბრუნვის მქონე 4000-მდე ბრენდს. იგი 70 წელია რაც ოპერირებს ბაზარზე და წვლილი შეაქვს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში (ABTA, 2022, 8).

ტუროპერატორულ კომპანიებს ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერება მხოლოდ და მხოლოდ მათთან ახლო თანამშრომლობის გზით შეუძლიათ. ადგილობრივები ინდივიდუალურ ან ორგანიზაციულ დონეზე ქმნიან ისეთ ტურისტულ პროდუქტს, რომელიც მათი უნიკალურ კულტურასა და ტრადიციებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების სახით მოგზაურებამდე მიიტანს. ტურისტული საგენტოები კი ზემოთ ხსენებულ მომსახურებაში შესაბამის საფასურს იხდიან. შესაბამისად იქმნება, ურთიერთთანამშრომლობის წრე, რომლის დახმარებითაც ტუროპერა-ტორები ქმნიან მრავალფეროვან, კონკურენტუნარიან და გაყიდვად სამოგზაურო პროგრამებს, ხოლო ადგილობრივები იუმჯობესებენ სოციო-ეკონომიკურ პირობებს.

ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და სოციალური მეწარმეობის კონცეფციები მეტ-ნაკლებად საერთო მიზნებს ემსახურებიან. სოციალური საწარმოები მომსახურებისა თუ პროდუ-ტის შექმნით საზოგადოებაში სოციალური პრობლემების დაძლევას ცდილობენ. ხშირად მათი საქმიანობა სანახაობრივ ნაწილს მოიცავს, რასაც ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნის საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. მაგალითად, მინანქრის, თიხის ნაწარმის, მოწნული ავეჯის, ხის სათამა-ოების, ნაქსოვი ტანსაცმლის ტრადიციული მეთოდით შექმნის პროცესი იმთავითვე საინტე-რესოა ადგილობრივი კულტურის შესწავლით დაინტერესებული მოგზაურებისთვის. შესაძლოა სოციალური საწარმო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (მაგ. ხალხური ცეკვა, სიმღერა და სხვა) შენარჩუნებით იყოს დაკავებული და მისი საქმიანობა პერფორმანსის სახით შესთავაზოს ინდივიდუალურ თუ კორპორატიულ კლიენტებს. გარდა ამისა, სოციალურ საწარ-მოს შეუძლია შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც სუვენირის რანგში გაიყიდება. სოციალურ საწარმოებს თავიანთი ტურისტული პოტენციალი 3 მიმართულებით შეუძლიათ განავითარონ, ესენია:

1. ტრადიციული რეწვის მასტერკლასები;
2. კულტურული დატვირთვის მქონე პერფომანსები;
3. ტრადიციული შინაარსისა და ფორმის სუვენირები;

სოციალური საწარმოების ათვისება ტუროპერატორული კომპანიებისთვისაც მარკეტინგუ-ლად მომგებიანი ნაბიჯია. მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მოგზაურები ცდილობენ მათ მიერ გადახდილი თანხის ნაწილი ადგილობრივი საზოგადოებების განვითარებას მოხმარდეს (McClanahan, 2021). სოციალური საწარმოების სამოგზაურო პროგრამებში ინტეგრირება კი მათი სურვილების სისრულეში მოყვანის პირდაპირ და ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს.

რეკომენდაციები

ტურიზმის ინდუსტრიაში სოციალური საწარმოების ინტეგრირების პროცესი ამ უკანასკნე-ლთა შესაძლებლობების განსაზღვრითა და ტურისტული პროდუქტის შექმნით იწყება. ამისთვის კი მათ უნდა:

1. შეადგინონ მომსახურების დეტალური პროგრამა - რას სთავაზობენ სტუმრებს;
2. განსაზღვრონ მომსახურების ფასი და შეიმუშაონ სხვადასხვა ფასის პაკეტები;
3. გაეცნონ მასპინძლობის მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს;
4. შენობა აღჭურვონ შესაბამისი ინფრასტრუქტურით;
5. მოამზადონ ბიზნეს შეთავაზება ტუროპერატორებისთვის;
6. განახორციელონ მარკეტინგული ღონისძიებები;
7. გაზარდონ სოციალურ მედიაში მათ შესახებ ინფორმაციის წვდომის ხარისხი;

აღსანიშნავია, რომ საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე. მათი როლი ამ შემთხვევაში კონსულტაციების გაწევა, ფინანსების გამოყოფა და სექტორებს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულებაა. გარდა ამისა, არასამთავ-რობო სექტორს შეუძლია ისეთი ღონისძიებების ორგანიზება, რომელთა ფარგლებ-შიც სოციალური საწარმოებისა და ტუროპერატორული კომპანიების წარმომად-გენლები ერთმანეთს შეხვდებიან, იდეებს გაცვლიან და სამომავლო თანამშრომ-ლობას ჩაუყრიან საფუძველს. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს გამოფენა-გა-ყიდვის ტიპის შეხვე-დრა, ეგრეთ წოდებული Trade Fair-ი.

სწორი და ეფექტიანი მარკეტინგის დახმარებით სოციალური საწარმოებს ნამ-დვილად აქვთ შანსი, რომ თვითორგანიზებული მოგზაურები დააინტერესონ. ეს უკანასკნელნი მომხმარებელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც ინტერ-ნეტსივრცეში განთავსებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე გეგმავენ მოგ-ზაურობას. თუმცა, ბაზრის სრულყოფილად ათვი-სების მიზნით ტუროპერატო-რულ კომპანიებთან თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. ამისთვის კი სოცია-ლურმა საწარმომ ტუროპერატორულ კომპანიას ბიზნეს წინადადებით უნდა მი-მართოს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად პირიქითაც ხდება, ვინაიდან ტურის-ტული სააგენტოები სერვისის გამრავალფეროვნებასა და კლიენტებისთვის ექ-სკლუზიური აქტივობების შეთავაზებას ცდილობენ. ნებისმიერ შემთხვევაში მო-ლაპარაკებები სასურველია კონკრეტული სოციალური საწარმოს განახლებულ სა-მოგზაურო პროგრამაში ჩასმითა და B2B თანამშრომ-ლობის დაწყებით დაგვირ-გვინდეს.

დასკვნა

სოციალური მეწარმეობა და მდგრადი ტურიზმი როგორც კონცეპტუალურ, ისე პრაქტიკულ დონეზე საერთო მიზანს, კერძოდ ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერებას ემსახურებიან. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ სოციალური საწარმოების ბიზნეს საქმიანობას ტურის-ტულ სერვისად გარდაიქმნის პოტენციალი გააჩნია. ამ კუთხით განსაკუთრებით მოქნილები ტრადიციულ რეწვაზე ორიენტირებული სახელოსნოები არიან. მდგრადი ტურიზმით დაინტე-რესებული მოგზაურები კი სოციალური საწარმოების მონახულებისას არამარტო ადგილობრივი კულტურის ელემენტებს ეცნობიან, არამედ მომსახურებასა თუ კონკრეტულ პროდუქტში გადახ-დილ თანხას ავტომატურად ადგილობრივთა სოციო-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში აბანდებენ.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოების ტურიზმის ინდუსტრიაში ინტეგრირების პროცესი ტუროპერატორული ბიზნესის ჩართულობის გარეშე რთულად წარიმართება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის მოგზაურებისა და სოციალური მეწარმეების ერთ-ერთი მაკავშირებელი რგოლი. მდგრადი ტურიზმის ტენდენციებიდან გამომდინარე ინდივიდები ისეთ სამოგზაურო პროგრამებს ჯავშნიან, რომლებშიც გათვალისწინებულია ადგილობრივი საზოგადოებებისა თუ მოწყვლადი ჯგუფების სოციო-ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტი.

სოციალური საწარმოების ტურიზმის ინდუსტრიაში ინტეგრირებით ორივე მხარე თანაბარ სარგებელს მიიღებს. სოციალური საწარმოები შეძლებენ მომხმარებელთა რიცხვის გაზრდას, დამატებითი შემოსავლების მიღებას, თავიანთი სოციალური მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უფრო ეფექტიან მობილიზებასა და ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებას. ტურისტულ კომპანიებს კი შანსი ეძლევათ შექმნან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამოგზაურო პროგრამები, მოიზიდონ მეტი კლიენტი და ბაზარზე მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ამ ორ მიმართულებას ერთმანეთის გამოწვევების დაძლევაზე პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში სოციალური მეწარმეობა ეკონომიკის შედა-რებით ახალი მიმართულებაა და შესაბამისად, მისი სტრატეგიული განვითარების ხედვა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. აქედან გამომდინარე, სოციალური საწარმოების ტურიზმის ინდუსტრიაში ჩაბმის პროცედურებიც არ არის შემუშავებული. მეოთხე თავში წარმოდგენილ შვიდპუნქტიან სამოქმედო გეგმაში ის კონკრეტული მოქმედებებია გაწერილი, რომელთა განხორციელების შემდეგ სოციალური საწარმოები ტუროპერატორული კომპანიებისა და მოგზაურების ყურადღების მიქცევას შეძლებენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მეწარმეობისა და ტურიზმის ინდუს-ტრიის ურთიერთანამშრომლობა საზოგადოებაში არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლე-მების დაძლევის კიდევ ერთ ეფექტიან მექანიზმს შექმნის. ამისთვის კი აუცილებელია არასამთა-ვრობო სექტორი სოციალურ მეწარმეებს ისეთი უნარების გამომუშავებაში დაეხმაროს, რომელთა გამოყენებითაც ეს უკანასკნელნი თავიანთ საქმიანობას ტურისტულ სერვისად გარდაქმნიდნენ. სახელმწიფომ ამ ხედვის სისრულეში მოსაყვანად ფინანსები უნდა გამოყოს, ხოლო ტუროპერატორულმა ბიზნესმა მიღებული პროდუქტის მასობრივი გაყიდვა დაიწყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუაშვილი, ე. (2020). *სოციალური მეწარმეობა საქართველოში.* თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.
2. მხეიძე, ი. (2017). *საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევებ.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი.
3. ჩიტიშვილი, გ., დათუაშვილი, ე., კანდელაკი, ქ., კუსიანი, ს., ჩიქოვანი, ა., მურღულია, შ., ხუციშვილი, ს. (2019). *სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
4. ABTA. (2022). *Travel in 2022.* London: ABTA.
5. Dees, J. G. (1998). The Meaning of “Social Entrepreneurship”. *Kauffman Center for Entrepreneurial Leadership* , 1-5.
6. Gawell, M. (2012). Social Entrepreneurship: Action Grounded in Needs, Opportunities and/or Perceived Necessities? *International Society for Third-Sector Research, 2013*(24), 1071-1090.
7. McClanahan, P. (2021, April 22). *How to Travel More Sustainably*. Retrieved May 18, 2022, from The New York Times: https://www.nytimes.com/2021/04/22/travel/sustainable-travel.html
8. Seageorgia. (n.d.). *იკორთა*. Retrieved მაისი 12, 2022, from საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი: https://seageorgia.ge/ka/social-enterprises/10
9. UNESCO. (n.d.). *10 ways to support local communities and cultures*. Retrieved May 18, 2022, from UNESCO Sustainable Travel Pledge: https://unescosustainable.travel/en/support-local-communities-cultures
10. UNWTO. (n.d.). *Sustainable Development*. Retrieved May 16, 2022, from World Tourism Organization: https://www.unwto.org/sustainable-development

Tourism Capacity Utilization Possibilities of Social Enterprises in Georgia

Giorgi Khidesheli
TSU PhD Student

SUMMARY

This paper discusses the possibilities, perspectives and potential benefits of integrating social enterprises into the tourism industry. Before discussing the ways of mutual cooperation of the two above-mentioned directions of the economy, a separate chapter was devoted to the study of the social entrepreneurship concept. The objective of the second part of the research was to study the newly established trends in international tourism, on the basis of which the expediency of the tourism capacity utilization of social enterprises was determined. In addition, a list of criteria was written, after the fulfillment of which the social enterprise will complete the transformation of its products or services into a tourist product and will be ready to receive guests. The recommendation package given in the final part of the paper serves to determine the functions and roles of all stakeholders of the above-mentioned integration process.

Within the scope of the work, it was established that a certain part of the travelers try to contribute to the strengthening of local communities while visiting the host country. Social enterprises also serve the same purpose and therefore the money paid for their services or products is automatically used for the vulnerable groups of the society. Therefore, their integration into the tourism industry is beneficial for all parties. Social enterprises increase the chances of earning income, and tour operators create a service tailored to the interests of clients. Despite the fact that each social enterprise is individual, if the right action plan is developed, it is possible to utilize their tourist potential in such a way that the mentioned event will undoubtedly have a positive effect on the improvement of the existing socio-economic situation in Georgia.

Keywords: social enterprise, tour operating business, sustainable development

დანიელ გოლმანის ემოციური ინტელექტის მოდელი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში

შავლეგო ხუნაშვილი
თსუ დოქტორანტი

ემოციური ინტელექტის ცნებას მრავალნაირად განსაზღვრავენ და მისი ერთგვაროვანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. ემოციური ინტელექტის თემა განსაკუთრებით პოპულარული გახდა დანიელ გოლმანის ნაშრომის გამოცემის შემდეგ - „Emotional intelligence: why it matters more than IQ", რომელიც გამოიცა 1995 წელს და დიდი წარმატება მოუტანა ავტორს (წიგნი ითარგმნა 40 ენაზე და გაიყიდა 5 მილიონზე მეტი ეგზემპლარი). დღემდე ცნობილია ემოციური ინტელექტის 3 მოდელი:

- ✓ *ემოციური ინტელექტი როგორც უნარი;*
- ✓ *ემოციური ინტელექტი როგორც პიროვნული ნიშანი;*
- ✓ *ემოციური ინტელექტი, როგორც შეძენილი კომპეტენცია (შერეული მოდელი).*

ყველაზე გავრცელებული, შერეული მოდელის მიხედვით, რომელიც შექმნა დანიელ გოლმანმა, ემოციური ინტელექტი არის შეძენილი, დასწავლილი კომპეტენცია. ამ თეორიის მიხედვით ადამიანი იბადება გარკვეული უნარებით, რომელსაც შემდგომში სჭირდება გაუმჯობესება და დახვეწა. აქედან გამომდინარე, ემოციური ინტელექტის გაუმჯობესება შესაძლებელია.

რა არის ემოციური ინტელექტი და რა მნიშვნელობა აქვს მას ბიზნესში? რატომ არის ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა დიდწილად დამოკიდებული რიგითი თუ ხელმძღვანელი თანამშრომლის ემოციურ მდგომარეობაზე? რატომ ხდება ხოლმე, რომ ძალიან მაღალი დონის სპეციალისტები ხშირად ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას?

საკვანძო სიტყვები: *ემოციური ინტელექტი, თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია, სოციალური უნარები, ლიდერობა, ემოციური უნარები.*

1. დანიელ გოლმანის ემოციური ინტელექტის მოდელი

ემოციური ინტელექტის ცნებას მრავალნაირად განსაზღვრავენ და მისი ერთგვაროვანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. ყველაზე გავრცელებული მათ შორის არის შემდეგი: ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვისა და რეგულირების უნარი. ის დაახლოებით ასე ფორმულირდება: ამოიცანი, გაიგე და მართე შენი ემოციები. ამოიცანი გაიგე და მოახდინე გავლენა სხვათა ემოციებზე. დანიელ გოლმანის მიხედვით მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანს შეუძლია ემოციების გაცნობიერება, მათი რეგულირება და ეს პროცესი მიმართულია როგორც საკუთარი თავისკენ, ისე სხვა პიროვნებებისკენ.

ემოციური ინტელექტის შერეული მოდელი, რომელიც შექმნა ამერიკელმა ფსიქოლოგმა დანიელ გოლმანმა, ყველაზე გავრცელებულია. ეს მოდელი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ბიზნესში. უფრო ზუსტად, მენეჯმენტი ცდილობს გამოიყენოს ემოციური ინტელექტის თეორია ადამიანური რესურსების განსავითარებლად, რაც თავის მხრივ აისახება ორგანიზაციის შედეგებზე.

დანიელ გოლმანის მოდელის მიხედვით, ემოციური ინტელექტი არის ემოციური კომპეტენციების ერთობლიობა, რომელიც არ არის თანდაყოლილი ნიჭი ან პიროვნული მახასიათებლები, არამედ შესაძლებლობები, რომელთა სწავლა და განვითარება შესაძლებელია. გოლმანმა ემოციური ინტელექტი დაყო 5 კომპონენტად:

- თვითცნობიერება (Self-awareness);
- თვითრეგულაცია (Self-regulation);
- მოტივაცია (Motivation);
- ემპათია (Empathy);
- სოციალური უნარები (Social skills).

ეს 5 უნარი (კომპეტენცია) ერთიანდება 2 კატეგორიაში: პერსონალური და ინტერპერსონალური უნარები. პირველი სამი მიეკუთვნება პერსონალურ უნარებს, ბოლო ორი - ინტერპერსონალურ უნარებს, რომელიც ძირითადად თავის თავში გულისხმობს ურთიერთობების მართვის უნარებს.

თვითცნობიერება ცნობიერების მესამე და უმაღლესი საფეხურია. ის ემოციური ინტელექტის საკვანძო კომპონენტია. მისი ადვილად გააზრება ცნობილი გამოთქმით შეიძლება: „შეიცან თავი შენი“. თვითცნობიერება საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების, მოთხოვნილებებისა და ღირებულებების, ასევე საკუთარ თავსა და სხვებზე გავლენის მოხდენის ცოდნაა. მაღალი თვითცნობიერების მქონე ადამიანები არც ძალიან თვითკრიტიკულები არიან და არც ზედმეტად ოპტიმისტები. მათ კარგად აქვთ გათავისებული საკუთრი შესაძლებლობები და იციან რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი არა. ისინი გულწრფელები არიან როგორც საკუთარ თავთან, ისე სხვა ადამიანებთან. ასეთი ადამიანების ძირითადი მახასიათებლებია: თავდაჯერებულობა, რეალისტური თვითშეფასება, კარგად განვითარებული იუმორის გრძნობა (ძირითადად საკუთრი თავისკენ მიმართული), კონსტრუქციული კრიტიკის წყურვილი მისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და ა.შ. ამ ადამიანებს კარგად ესმით თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მათ გრძნობებს მათ და სხვათა საქმიანობაზე. მაღალი თითცნობიერების წყალობით, ადამიანი, როგორც წესი, იღებს სწორ გადაწყვეტილებას, რითიც თავიდან იცილებს კოგნიტურ დისონანსს. კოგნიტური დისონანსი წარმოადგენს ერთგვარ კონფლიქტურ მდგომარეობას, რომელიც ვითარდება პიროვნების მიერ მიღებული გადა-

წყვეტილების შედეგად, თუ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პიროვნების ღირებულებებს.

თვითრეგულაცია არის უარყოფითი და ხელისშემშლელი იმპულსების, გრძნობებისა და გუნება-განწყობილების გაკონტროლების ან მიმართულების შეცვლის უნარი. ემოციებს ბიოლოგიური იმპულსები აღძრავენ და მათგან თავის დაღწევა შეუძლებელია, თუმცა მათ სამართავად ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. ეს უნარი საკუთარი გრძნობების ტყვეობიდან გვათავისუფლებს. განვითარებული თვითრეგულაციის უნარის მქონე ადამიანებს ძირითადად ახასიათებთ საიმედოობა, გუნდში ინტეგრირებულობის მაღალი დონე, კომფორტულობა ცვლილებებისა და გაურკვევლობისადმი და ა.შ.

მართალია ხშირად მათ, ვისაც საკუთარი ემოციების გაკონტროლება შეუძლია, ხშირად უგრძნობ და ცივსისხლიან ადამიანებს უწოდებენ, განსაკუთრებით საპირისპირო თვისებების მქონე, იმპულსური ადამიანები, თუმცა იმპულსები და ფეთქებადი ხასიათი ხშირად მათვე საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

თვითრეგულაცია, არ გულისხმობს მხოლოდ ემოციების შეკავებას, ის ასევე მოიაზრებს იმ ემოციების გამოხატვასაც, რომელიც საჭიროა კონკრეტულ სიტუაციაში სასურველი ზემოქმედების განხორციელებისთვის.

მოტივაცია არის საკუთრი და სხვების მოლოდინზე მეტის მიღწევისაკენ სწრაფვის უნარი. ამ დროს ადამიანები კმაყოფილებას განიცდიან მიღწეული შედეგებით და ცდილობენ გააუმჯობესონ ან სულ მცირე, შეინარჩუნონ ეს შედეგები. მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები ხასითდებიან ენერგიულობით, ოპტიმიზმით, ინოვაციურობით, მიღწევის ძლიერი მოთხოვნილებით, მუდმივად გაუმჯობესებისკენ სწრაფვით და ა.შ. ხშირად ამ ადამიანებისთვის ასეთი სწრაფვის მიზეზი უფრო მეტია ვიდრე ფული ან აღიარება. ამ შემთხვევაში წარმატებული იქნება თუ არა ადამიანი თავის საქმეში, მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული მისი მენტალური და ემოციური მდგომარეობით. მაგალითად, მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები ოპტიმიზმს ინარჩუნებენ მაშინაც კი, თუ მიღწეული შედეგები არ შეესაბამება დაგეგმილს. ამ შემთხვევაში მათ თვითრეგულაციაც ეხმარებათ და არა მარტო მსუბუქდება იმედგაცრუებით მიღებული უარყოფითი ემოციების ეფექტი, არამედ შეიძლება ეს მოტივაციის დამატებით ფაქტორად იქცეს.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებისგან განსხვავებით, ემპათია წარმოადგენს ინტერპერსონალურ კომპეტენციას. ემპათია არის სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობის გაგებისა და მათი ემოციური რეაქციის მიხედვით მოპყრობის უნარი. ის ემოციური ინტელექტის უნარებიდან ყველაზე ადვილად ამოცნობადია, რადგან ადამიანი იგებს, თუ რას გრძნობს მეორე ადამიანი, გრძნობს მის მდგომარეობას და უთანაგრძნობს. ემპათიის განვითარებული უნარის მქონე ადამიანები

ძირითადად ხასიათდებიან ტოლერანტობით, სხვების განვითარების უნარით და ა.შ. ემპათიის უნარი განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთ ჯგუფთან მუშაობისას, რომლის წევრებიც განსხვავებული კულტურული ფასეულობების მატარებლები არიან. ასევე, ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია ცოდნის გადაცემის დროს. სხვანაირად ემპათიას „ადამიანური ურთიერთობის“ უნარსაც უწოდებენ. თუმცა აქვე აღსანიშნავია უარყოფითი ეფექტიც, რომელიც ახლავს მომეტებულ ემპათიას, როდესაც ადამიანები ვერ იღებენ ნეგატიურ მაგრამ საჭირო გადაწყვეტილებებს.

სოციალური უნარი, როგორც ემოციური ინტელექტის კომპონენტი, გულისხმობს ურთიერთობისა და კავშირის დამყარებისა და მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის უნარს. ეს არის მიზანმიმართული კეთილგანწყობის მოპოვება კონკრეტული მიზნისთვის. სოციალური უნარის მქონე ადამიანებმა კარგად იციან ურთიერთობების მართვა. მათთვის ძირითადად დამახასიათებელია ნაცნობების ფართო წრე, გუნდის შეკრებისა და მათთან მუშაობის უნარი, ეფექტიანი კომუნიკაციისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარი, ცვლილებების განხორციელების უნარი და ა.შ. სოციალური უნარები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება როდესაც საუბარია ლიდერზე, რომელიც წარმართავს მთლიანად ორგანიზაციის ან რომელიმე ჯგუფის საქმიანობას. დანიელ გოლმანის ემოციური ინტელექტის მოდელის საფუძველზე შეიქმნა ემოციური და სოციალური კომპეტენციის საკვლევი კითხვარი (Emotional and Social Competence Inventory (ESCI)), რომელიც ინდივიდის ემოციური და სოციალური უნარების შეფასების საშუალებას იძლევა ორგანიზაციულ გარემოში.

2. ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში

ნებისმიერი კომპანიის წარმატება გრძელვადიან პერიოდში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კომპანიის მენეჯმენტი და მისი თანამშრომლები იმ უნარების განვითარებას, რომელიც აუცილებელია წარმატების მიღწევისთვის. ემოციური ინტელექტის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1995 წლის შემდეგ, როცა დანიელ გოლმანმა გამოსცა თავისი წიგნი „Emotional intelligence: why it matters more than IQ“. წიგნი ბესტსელერი გახდა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა (დანიელ გოლმანი ამჟამად არის კომპანიებში ემოციური ინტელექტის კვლევის კონსორციუმის თანათავმჯდომარე რატგერსის უნივერისტეტში), ხოლო თავად ემოციური ინტელექტის საკითხმა სწრაფად მიიქცია კომერციული ორგანიზაციების ყურადღება. დღეს დიდი კომპანიების უმეტესობა ქირაობს პროფესიონალ ფსიქოლოგებს, რათა ხელი შეუწყონ იმ კომპეტენციების განვითარებას კომპანიაში, რომელიც აისახება საბოლოო შედეგებზე. განსაკუთრებით ყურადღება

ექცევა ლიდერებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან კომპანიის შედეგებთან და ზეგავლენას ახდენენ მასზე. მაგალითად, კვლევამ ცხადყო, რომ როდესაც ერთი კომპანიის ზედა რგოლის მენეჯერების ემოციური ინტელექტის შესაძლებლობების ჯამი აჭარბებს კრიტიკულ ზღვარს, მათი განყოფილებები დასახულ მიზნებს 20%-ით უკეთესად ასრულებენ.

ბოლო წლებში დანიელ გოლმანი და მისი კოლეგები შეისწავლიდნენ ემოციური ინტელექტის გავლენას სამუშაოს ეფექტიან შესრულებაზე. უფრო ზუსტად, ჩატარდა მასშტაბური კვლევა, რომელმაც მოიცვა 188 კომპანია და მათ შორის ისეთი დიდი კორპორაციები, როგორიცაა British Airways, Credit Suisse და ა.შ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ უნარების განსაზღვრა, რომელიც განაპირობებდა გამორჩეულ საქმიანობას. უნარები გაერთიანდა 3 კატეგორიაში: ტექნიკური, კოგნიტური და ემოციური უნარები. კვლევის შედეგები შთამბეჭდავი და მოულოდნელი იყო. კვლევის ჰიპოთეზა, რომ ეფექტიანი შესრულების მამოძრავებელი ჩვეულებრივი ინტელექტი იყო, არ გამართლდა. კვლევის შედეგების შეჯამებისას გამოითვალა სამუშაოს ეფექტიანი შესრულების მდგენელები ყველა დონის სამუშაოსათვის, აღნიშნული სამი კატეგორიის უნარების (ტექნიკური, კოგნიტური და ემოციური) მიმართ და დადგინდა, რომ ემოციური კომპეტენციების მდგენელი ორჯერ უფრო მეტი იყო დანარჩენების ერთად აღებულ მდგენელზე. გოლმანი ამბობს, რომ სწორედ ეს უნარები განასხვავებს კარგ ლიდერს გამორჩეული ლიდერისგან. შესაძლოა ეს იყოს იმ მდგომარეობის ახსნა, როდესაც ნიჭიერ და გამორჩეულ ადამიანს აწინაურებენ და ის წარმატებას ვერ აღწევს ახალ თანამდებობაზე მაშინ, როცა არცთუ რაიმეთი გამორჩეული და განსაკუთრებული უნარების მქონე ადამიანი ანალოგიურ შემთხვევაში ბევრად წარმატებულია. როგორც ჩანს ხანგრძლივი კარიერული წარმატება კოგნიტურ და ტექნიკურ უნარებზე მეტად დამოკიდებულია ისეთ უნარებზე, როგორიცაა: ინიციატივის აღება, დამოუკიდებლობა, სტრესისადმი მედეგობა და ა.შ. ვინაიდან ემოციური ინტელექტი გავლენას ახდენს ჩვენი კომუნიკაციის უნარებზე, ჰარმონიული ურთიერთობების შექმნისა და შენარჩუნების თვისებაზე, იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში. ადამიანებს, რომელთაც აქვთ დაბალი ემოციური ინტელექტი, სირთულეები ექმნებათ ურთიერთობებში, უჭირთ ობიექტურობის გამოვლენა, აქვთ უარყოფითი ემოციები და ვინაიდან ემოცია გადამდებია, გარშემომყოფებსაც ამას გადასცემენ. მეორეს მხრივ, ადამიანები, რომელთაც მაღალი ემოციური ინტელექტი აქვთ, უადვილდებათ ურთიერთობა და არ იტვირთავენ თავს უარყოფითი ემოციით, გამორჩევიან საკუთარი თავისა და მოვლენების მიმართ ადეკვატური, ობიექტური შეფასებით, შესაბამისად, უფრო ადვილად გადაადგილდებიან სამსახურებრივ კიბეზე. კარგად განვითარებული ემოციური კომპეტენციები ეხმარება თანამშრომლებს

ურთიერთობების დამყარებაში, გუნდური სტრესის შემცირებაში, კონფლიქტების განმუხტვაში და სამუშაოთი კმაყოფილების გაუმჯობესებაში. საბოლოო ჯამში, მაღალი ემოციური ინტელექტი ნიშნავს გუნდის პროდუქტიულობისა და პერსონალის შენარჩუნების პოტენციალის გაზრდის საშუალებას.

დასკვნა

დღეს ორგანიზაციებს კონკურენტულ და დინამიურ გარემოში უწევთ ოპერირება, რაც მათ გადარჩენისათვის პერიოდულად ახალ მოთხოვნებს უწესებს. ასეთ გარემოში წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობა კვალიფიციური სამუშაო ძალაა. XX საუკუნის დასასრულს მეცნიერების სისტემური კვლევის საგნად იქცა ემოციური ინტელექტის საკითხი. მანამდე მიიჩნეოდა, რომ ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების ძირითადი მამოძრავებელი პერსონალის ტექნიკური და კოგნიტური უნარები იყო. მოგვიანებით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ემოციური ინტელექტი სამუშაოს ეფექტიანი შესრულების და ორგანიზაციის წარმატების ბევრად მნიშვნელოვანი მდგენელი იყო. ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ კორელაცია ემოციურ ინტელექტსა და სამუშაოს ეფექტიან შესრულებას შორის საკმარისად მაღალია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ამ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულება ერთგვარი კანონზომიერებაა. რა თქმა უნდა, ეს არ აკნინებს ჩვეულებრივი ინტელექტის მნიშვნელობას. პირიქით, საყოველთაოდ აღიარებულია რომ წარმატების მისაღწევად ემოციურ ინტელექტთან ერთად აუცილებელია ჩვეულებრივი ინტელექტიც.

მეცნიერები ბოლომდე ჯერაც ვერ შეჯერდნენ, რა არის ემოციური ინტელექტი. შეიქმნა რამდენიმე მოდელი, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია ამერიკელი ფსიქოლოგის, დანიელ გოლმანის მიერ შექმნილი მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, ემოციური ინტელექტი დაყოფილია 5 კომპეტენციად, რომელიც ერთიანდება ორ კატეგორიაში. გოლმანის მოდელის მიხედვით, ემოციური ინტელექტი არის ძირითადად შეძენილი კომპეტენცია, თუმცა მეცნიერი არ უარყოფს გენეტიკურ საწყისებს. ის ამბობს, რომ ადამიანი იბადება გარკვეული ემოციური უნარებით, თუმცა მისი ემოციური ინტელექტი ძირითადად შემდგომ, ცხოვრების მანძილზე ყალიბდება. ემოციური ინტელექტის განვითარება ფიზიოლოგიურ დონეზე ნიშნავს ტვინის ნეირონულ უჯრედებს შორის ახალი კავშირების დამყარებას, რაც ახალ ქცევებს აყალიბებს, რომლებიც შემდეგ გადაიქცევა ჩვევებად. ცალკეულ უჯრედს შეუძლია წარმოქმნას 15 000 კავშირი მის მეზობელ უჯრედებთან. აღნიშნული კავშირების გაძლიერება კი განაპირობებს ადამიანთა წარმატებას პირად და პროფესიულ ცხოვრებაში. ემოციური ინტელექტის განვითარება შესაძლებელია

სპეციალიზებული პროგრამებითაც, თუმცა ის საკმაოდ სპეციფიური, შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია.

მაღალი გუნდური და ინდივიდუალური ემოციური ინტელექტის არსებობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის. ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა განსაკუთრებით აღსანიშანავია როცა საქმე ეხება ლიდერებს. რაც უფრო მაღალ თანამდებობას იკავებს პიროვნება, მით უფრო მეტად მნიშვნელვანია მისი ემოციური კომპეტენტურობა. კვლევებმა ცხადყო, რომ ლიდერი რომელსაც აქვს განვითარებული ემოციური ინტელექტი ბევრად უკეთ წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას და ეს განსხვავება გამოსახულია რიცხვობრივ მაჩვენებლებში. აღსანიშნავია ლიდერის გუნება-განწყობილების გავლენა გუნდის მუშაობაზე. უფრო ზუსტად, ლიდერის ემოციური მდგომარეობა გადადის გუნდის წევრებზე და განაპირობებს მათ განწყობას და დამოკიდებულებას დაკისრებული მოვალეობებისადმი. ეს კი თავის მხრივ აისახება ორგანიზაციის საბოლოო შედეგებზე. გარდა ამისა, ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა ორგანიზაციის ფუნქციონირების სხვა ასპექტებშიც ვლინდება. ერთ-ერთი ასეთი ასპექტია კონფლიქტების მართვა, რომელიც მიზნად ისახავს დესტრუქციული კონფლიქტების დარეგულირებას და არსებობს მათ კონტრპროდუქტიულ პროცესებად ქცევის თავიდან აცილებას. ასევე აღსანიშნავია სტრესული სიტუაციების მართვა, სადაც ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა ვლინდება ძირითადად ინდივიდუალურ დონეზე. რამდენად მედეგია ინდივიდი სტრესისადმი განაპირობებს აღქმული სტრესის გავლენას შესრულებულ სამუშაოზე. შესაძლებელია კიდევ არაერთი სარგებელის გამოყოფა, რაც მოაქვს მაღალი ემოციური ინტელექტის არსებობას ორგანიზაციისათვის. ასეთია მაგალითად გაუმჯობესებული კომუნიკაციის პროცესი, ორგანიზაციული ცვლილებებისადმი მოქნილობის ზრდა, თანამშრომელთა კმაყოფილებისა და პროდუქტიულობის დონის ამაღლება, გუნდური მუშაობის წახალისება და ა.შ.

ემოციური ინტელექტის თეორია სულ რაღაც 3 ათეული წელია, რაც ფსიქოლოგიის მეცნიერების აქტიური შესწავლის საგანს წარმოადგენს და უკვე არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი. კრიტიკოსების ძირითადი არგუმენტები ემყარება იმ ფაქტორებს, რომ ჯერჯერობით არ არის შეჯერებული პოზიცია ემოციური ინტელექტის განსაზღვრების შესახებ და რთულია მისი გაზომვა. თუმცა, თემა უკვე საკმაოდ პოპულარულია განსაკუთრებით ბიზნესში და კვლევებმა ცხადყო, რომ მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში გაიზრდება და შესაძლოა განვითარებული ემოციური უნარები გახდეს აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა დამსაქმებლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოლემანი, დანიელ. „რა ქმნის ლიდერს“, HBR'S 10 MUST READS - ემოციური ინტელექტი, თბილისი: ბიზნესლიტერატურა, 2018. pp. 1-27
2. გოლემანი, დანიელ; ბოიაცისი, რიჩარდ და მაკკი, ენი. „ბრწყინვალე შესრულების ფარული მამოძრავებელი“, HBR'S 10 MUST READS - ემოციური ინტელექტი, თბილისი: ბიზნესლიტერატურა, 2018. pp. 27-51
3. Гоулман, Дэниел. "Эмоциональный интеллект в бизнесе" Москва: Манн, Иванов и Фербер, 2013. pp. 86-98
4. http://dictionary.css.ge/content/emotional-intelligence
5. http://www2.psych.utoronto.ca/users/reingold/courses/intelligence/cache/testing_ei.htm
6. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2019.01116/full
7. https://en.wikipedia.org/wiki/Emotional_intelligence
8. https://edu.aris.ge/news/namdvilad-gansazrvravs-inteleqti-warmatebas.html
9. https://positivepsychology.com/emotional-intelligence-theories/
10. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2018.02653/full
11. https://en.wikipedia.org/wiki/Theory_of_multiple_intelligences#Interpersonal
12. https://corporatefinanceinstitute.com/resources/careers/soft-skills/emotional-intelligence-quotient-eq/
13. https://www.universalclass.com/articles/psychology/emotional-intelligence-mixed-model.htm
14. https://positivepsychology.com/emotional-intelligence-training/
15. https://positivepsychology.com/emotional-intelligence-workplace/
16. https://hbr.org/2018/08/boost-your-emotional-intelligence-with-these-3-questions

Daniel Goleman's Model of Emotional Intelligence and its Importance in Modern Business

Shavlego Khunashvili
TSU PhD Student

SUMMARY

The concept of emotional intelligence is defined in many ways and there is no uniform, universally recognized definition of it. The topic of emotional intelligence became especially popular after the publication of Daniel Goleman's work - "Emotional intelligence: why it matters more than IQ", which was published in 1995 and brought great success to the author (the book was translated into 40 languages and sold more than 5 million copies). To date, 3 models of emotional intelligence are known:

- ✓ Emotional intelligence as a skill;
- ✓ Emotional intelligence as a personal sign;
- ✓ Emotional intelligence as an acquired competence (mixed model).

According to the most common, blended model created by Daniel Goleman, emotional intelligence is an acquired, learned competency. According to this theory, a person is born with certain skills that need to be improved and refined later. Therefore, emotional intelligence can be improved.

What is emotional intelligence and how important is it in business? Why does the successful operation of the organization depend to a large extent on the emotional state of the ordinary or senior employee? Why does it happen that very high-level specialists often fail to fulfill their assigned duties?

Keywords: emotional intelligence, self-awareness, self-regulation, motivation, empathy, social skills, leadership, emotional skills.

უნივერსიტეტის
გამომცემლობა